ენგური

ნაკადული
თბილისი
1970

Г 2
899.962.1—1+899.962.1—32
ვ 659

7-6-3

საკმარისია, ადამიანმა დაათვალიეროს რესპუბლიკაში ცნობილი ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომ ადვილად დარწმუნდეს, რაოდენ მდიდარი ისტორიული წარსული აქვს საქართველოს ამ ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს. მდიდარ წარსულს მხარს უმშვენებს საგმირო შრომითი საქმეებით სავსე აწმყოც, მისი დღევანდელი დღე — ენვურეკესი თუ ოვალეწვდენი ჩაის პლანტაციები.

ამ პატარა კრებულში შესული ლექსები, პროზაული ნაწარმოებები თუ წერილები იმის ცდაა, რომ ახალგაზრდა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას ამ კუთხის წარსულსა და დღევანდელობაზე, მის მშრომელ ადამიანებზე. ავტორებიც ამ რაიონის მშრომელები არიან. ისინი სიამაყით აღწერენ თავისი კუთხის გუშინდელ დღეს და სიყვარულით უმღერიან მის ბედნიერ აწმყოსა და ასეთსავე მომავალს.

ბერამ ბუნავა

ენგურჰესი — უნიკალური მშენებლობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო ლენინური გეგმის—გოელროს განხორციელება. მისი პირველი პირშო და მაბარობელი იყო ზაჰესი. შემდეგ ელექტროსადგურთა მშენებლობის ხარაჩოებმა ალაზანზე, ხრამსა და ლაჯანურზე გადინაცვლეს. მაგრამ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს — ენგურჰესს — თავისი მეტად რთული ტექნიკური ჩანაფიქრით მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა შეეუქმნათ, მოდით, ცოტა რამ გავიხსენოთ ციფრების სამყაროდან.

ჩვენი ქვეყნის უდიდესი ელექტრონაგებობის — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს 12,8 მილიონი კუბური მეტრი მიწის დამუშავება მოუხდათ. ეს ციფრი თავის დროზე გაოცებას იწვევდა, ენგურჰესელებს კი 35 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოდან დღეისათვის 20 მილიონზე მეტი უკვე შესრულებული აქვთ. ენგურჰესის ექსპლატაციაში შესასვლელად საჭიროა 5,7 მილიონი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმა, ბრატსკის ჰესზე კი 4,8 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი დაიხარჯა.

ენგურჰესის მშენებლობა 1961 წლის მარტში დაიწყო. მის გენერალურ პროექტზე მუშაობდნენ „თბილჰიდროპროექტის" გამოცდილი ჰიდროსპეციალისტები: ირაკლი მღებრიშვილი, ალექსანდრე ლოსაბერიძე, პეტრე ლომაია, ირაკლი ამირეჯიბი, გიორგი ჯიღაური, სანდრო და გაბო მენაბდეები.

ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებაში უდიდესი

წვლილი შეიტანეს თბილისის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კვლევითმა ინსტიტუტმა, ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირების საკავშირო ინსტიტუტმა, „ორგენერგომშენის" თბილისის ფილიალმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტმა, ჰიდროპროექტების საკავშირო ინსტიტუტმა, „ორგენერგომშენმა" და სხვ.

მშენებლობის ტერიტორია ვრცელზე ვრცელია. იგი წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარიდან იწყება და ასი კილომეტრის იქით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ გუდავასთან მთავრდება. ჯვარის ახლოს აღიმართება 271.5 მეტრი სიმაღლის უნიკალური თაღოვანი კაშხალი. მთების გულში დაგუბდება ზღვა, რომელიც მესტიის რაიონის სოფელ ხაიშამდე მიაღწევს. ზღვის მოცულობა 1,1 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება. ჯვარიდან სადაწნეო დერივაციული გვირაბით, რომლის სიგრძე 15 კმ, ხოლო დიამეტრი 9,5 მეტრი იქნება, ამ „ზღვიდან" წამოსული წყალი სოფელ საბერიოში (აფხაზეთის ასსრ) აამუშავებს პირველი მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებს. ნაჯაფარი ენგური აქ შეუერთდება მდინარე ერისწყალს და სოფელ რეჩხთან (გალის რ.) წარმოქმნის ზღვას. აქ შენდება დაახლოებით 60 მეტრი სიმაღლის ქვანაყარი კაშხალი, ენგურის კასკადზე გათვალისწინებულია აშენდეს 5 ჰიდროელექტროსადგური, მათი საერთო სიმძლავრე მილიონ 640 ათას კილოვატს მიაღწევს. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 5,5 მილიარდი კილოვატსაათი იქნება. ეს კი ბევრად აღემატება საქართველოში დღეისათვის არსებული ჰიდროელსადგურებს თბოელექტროსადგურების ჩათვლით. ახლა ცხადია, თუ რა საკაცობრიო ჰიდროტექნიკური ნაგებობანი შენდება მდინარე ენგურზე.

დღესდღეობით ამ უნიკალურ მშენებლობაზე 12 ათასზე მეტი მშენებელი მუშაობს.

თუ ზაჰესის მშენებლობაზე ძირითადად ხელით მუშაობდნენ. ენგურჰესზე მთელი სამუშაოს 90 პროცენტს მექანიზმები ასრულებენ. დღეისათვის მშენებელთა განკარგულებაშია ათასამდე ავტომანქანა 27 ტონიანი ტვირთამწეობის გიგანტური აუტოთვითმცლელებით: 10 კუბურ მეტრიანი მოსიარულე ექსკავატორი, რომელსაც მშენებლებმა „მიწის ხომალდი" შეარქვეს. ამ მანქანის სიდიდე რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია გავიხსენოთ ერთი ფაქტი — ენგურზე მის ჩამოტანას 120 ვაგონიანი მატარებლის შემადგენლობა დასჭირდა. ეს სასწაული მანქანა ენგურის გამყვან არხზე მუშაობს და თავისი ეეება ხორთუმით 40 მეტრი სიგანის კალაპოტს უმზადებს ენგურს. 24 კილომეტრიანი არხის გავლის შემდეგ ენგური შავ ზღვას შეუერთდება სოფელ გუდავასთან.

ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობენ აგრეთვე 250 ცხენისძალიანი მძლავრი ბულდოზერები. ჯვართან, მდინარე ენგურზე, კაშხალის ბეტონისათვის ინერტულ მასალას ამზადებს გემი-ექსკავატორი — „დრაგა". მას ყოველწლიურად ათასობით კუბური მეტრი ხრეში ამოაქვს მდინარის კალაპოტიდან.

კაშხალის ასაშენებლად გათვალისწინებულია ჩაისხას 4 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი განუწყვეტელი ნაკადით. ამ მიზნით კაშხალთან შენდება მუდმივმოქმედი ქარხანა, რომლის სიმძლავრე საათში 300 კუბური მეტრი იქნება. მას ინერტულ მასალას ენგურის ნაპირებიდან მიაწვედის 5 კილომეტრი სიგრძის საბაგირო გზა.

ამჟამად ენგურზე ფართოდაა გაშლილი სამშენებლო-სამონტაჟო საქმეები. აქ პირველი და მეორეხარისხოვანი საქმე არ არსებობს. ყველას ერთი მიზანი ამოძრავებს — დანიშნულ ვადაზე ენგური სინათლედ აციაფდეს. დღე და ღამე არ წყდება მუშაობა. ადამიანები სასწაულებს ახდენენ ყველა უბანზე — გვირაბის გაყვანა იქნება ეს თუ მიწისზედა საქმეები. სწორედ ენგურჰესელებმა დაამყარეს ორი საკავშირო და ორი რესპუბლიკური რეკორდი გვირაბის ჩქაროსნულ გაყვანაში.

ენგურჰესს 14 ეროვნების ადამიანი აშენებს. ქართველების გვერდით აქ თავდადებით შრომობენ რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ერის შვილები. ათეულობით ადამიანი მოვიდა მშენებლობაზე ისე, რომ სპეციალობა არ ჰქონდათ. მაგრამ დღეს თვითეული აქ მომუშავე ორსა და მეტ სპეციალობას ფლობს.

ენგურჰესის მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შეიდა. დასასრულს ეახლოვდება კაშხალის ქვაბულის სამუშაოები. კაშხალის „საცობმა" უკვე მიიღო პირველი ბეტონი, ვარდნილჰესელებიც შეუდგნენ საგენერატორო ნაგებობის მშენებლობას. ეს პირველი მეკელე ელსადგური იქნება ენგურის კასკადზე. მიმდინარეობს გაშამდიდრებელი ფაბრიკის, საბაგირო გზებისა და უწყვეტი მოქმედების ბეტონის ქარხნის მონტაჟი, ძალოვანი კვანძის სამმართველოს მშენებლები უკვე შეუდგნენ მიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლობას. ასე რომ, ყველაფერი კეთდება, რათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობისათვის მიცემული პირობა ენგურჰესელებმა პირნათლად შეასრულონ და 1971 წლის ბოლოსათვის მრეწველობას მისცენ პირველი ელექტროენერგია. ამ დიდი და საპატიო საქმის შესასრულებლად ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ამ საქმის ვეტერანები, რომლებმაც დიდი გამოცდილება მოიტანეს ენგურჰესზე: მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნ. ჭარხალაშვილი, მშენებ-

ლობის წამყვანი სპეციალისტები: ნ. კაპანაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; ვ. ჯიღაური, ა. გოგიაშვილი, გ. ოდნოროგი, ა. მიქაძე, გ. ვეგეშიძე; მშენებლობის პიონერები: აკ. ცნობილაძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები: ვ. ებრალიძე, გ. წულეისკირი, გ. მაევსკი, ნ. მაკარევიჩი; გამოცდილი ჰიდროშენებლები: ლ. გაჩეჩილაძე, ნ. ეშუხვარი, უ. გოჯიაშვილი, გ. გელდიაშვილი, ო. ჭინჭარაული, ა. დიაკოვი, ვ. ჟორჟოლაძე, თ. ჩუბინიძე, ე. ზაიცევი და სხვები, რომლებიც თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

მთელ მშენებლობას კი 1969 წლის მეორე ნახევრიდან ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ ესაკია.

მშენებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და საწარმოო გეგმების დროულად შესრულების საქმეში დიდ როლს თამაშობენ კომუნისტები. ყველა გადამწყვეტ უბანზე სწორედ მათ შეხვდებით. ენგურჰესის მშენებლობაზე უკვე 30 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, რომელსაც საქართველოს კპ ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტი უძღვება. საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერია აქ პროფკავშირული ორგანიზაციაც. იგი სოციალისტური შეჯიბრების, ახალი რაციონალიზატორული წინადადებების სული და გულია. ენგურჰესზე დღითი დღე იზრდება კომუნისტური შრომის დამკვრელთა რიცხვი.

დიდი ხანია ენგურჰესი კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადეს. ეს შემთხვევითი როდია. მშენებელთა უმეტესობა ახალგაზრდა სპეციალისტები არიან, ისინი ტოლს არ უდებენ გამოცდილ მშენებლებს, ყოველთვის იქ არიან, სადაც მშენებლობის ბედი წყდება.

ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვი კი დღითი დღე იზრდება, ენგურჰესი გახდა მათი ცხოვრების ასპარეზი.

ენგურჰესელებს საკუთარი მრავალტირაჟიანი ოთხგვერდიანი გაზეთიც აქვთ, მას „ენგურის ჩირაღდანი" ჰქვია. გაზეთი გამოსვლის პირველი დღიდან მტკიცედ უდგას მხარში მშენებლებს. იგი მათი ცოცხალი მემატიანეა. მასვე აკისრია კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის როლიც.

ენგურჰესელებს შრომისა და დასვენების ჩინებული პირობები აქვთ შექმნილი. მშენებელთა განკარგულებაშია 10 კლუბი, ამდენივე ბიბლიოთეკა, 4 საშუალო და 3 რვაწლიანი სკოლა, 14 საბავშვო ბაღი და ბაგა, 2 საავადმყოფო და სხვადასხვა სახის სპორტული მოედნები. ენგურჰესზე მომუშავე ახალგაზრდას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შეუძლია

მიიღოს უმაღლესი განათლება — მათ ემსახურებათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ქ. ზუგდიდის ფილიალი, აქ არის ქ. კუიბიშევის საკავშირო ენერგოტექნიკის დაუსწრებელი განყოფილების ფილიალიც, სადაც 200-ზე მეტი მშენებელი ეუფლება ახალ სპეციალობას. ასე რომ, ენგურჰესზე ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ აქ მომუშავე ადამიანს შრომისა და დასვენების ყველაზე საუკეთესო პირობები ჰქონდეს.

ცხადია, ასეთ პატარა წერილში ძნელია სრულად გადმოსცე ენგურჰესის მშენებლობის გრანდიოზულობა, მაგრამ თუკი მკითხველი იგრძნობს, რაოდენ საამაყოა ეკუთვნოდე დიდი სინათლისათვის ბოლაშვრეთა მრავალათასიან არმიას, ქართველი ერისათვის საშვილიშვილო საქმეს რომ აკეთებენ, მაშინ ავტორის მიზანი მიღწეული იქნება.

ზალვა ზენგელი

ენგური ხალიჩაზე

დიდი მდინარე

პატარა, დაწრეტილი ღელე ჩხოუშია გაზაფხულის ნიაღვარს მოვიდებინა და ბობოქარ მდინარედ ექცია.

ხიდზე იდგა ნაბადმოსხმული, სათვალეებიანი ბერიკაცი და მოაჯირს მიყრდნობილი აზვირთებულ მდინარეს გადაჰყურებდა. მიახლოებისთანავე ვიცანი იგი. ოციან წლებში ახალგახსნილი ქოხ-სამკითხველოს ხშირი სტუმარი იყო. წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლაში მუშაობდა. ქართულ ანბანს ასწავლიდა ხუდონელ და წყავაშელ გლეხებს. ჯვარზენშიც დადიოდა და ვიღაც ხუბუტიას სახლში სამოცი წლის მოწაფეებს ამეცადინებდა.

ეს ჯვარელი მოხუცი თავისი მშობელი კუთხის ცოცხალი მატიანე იყო. იცოდა, სად რომელი ქვა ეგდო, რატომ ერქვა ჯვარს — ჯვარი, ლიას — ლია. გვიამბობდა ლეგენდებს ლეშამგეზე, მდინარე მაგანაზე; ფეხით ჰქონდა დაელილი ენგურის ნაპირები სათავიდან ანაკლიამდე.

— ჩხოუშია ასე ადიდებული ჯერ არ მინახავს, — თქვა გვაჩიმ და ისევ წყალს გადახედა. ფაფარაყრილი მდინარე მოაქანებდა მორებს, მოათამაშებდა ნაფოტებს, ზვიადად მოშხუოდა.

— ერთ დროს ამ კალაპოტში ენგურის ტოტის ჩაშვებას აპირებდნენ, ხომ? — იკითხა ისე, რომ მდინარისთვის თვალი არ მოუშორებია.

— კი, აპირებდნენ...

ერთ ხანს ხმა არ ამოუღია. მერე სათვალე მოიხსნა, ხელში შეატრიალა და თქვა:

— არა უშავს რა. ენგურს ახლა უფრო დიდი საქმე დაეკალა. ასჯერ, ათასჯერ დიდი. ჩვენ ეს უნდა გვიხაროდეს, ვინაიდან კაციც და მდინარეც იქ უნდა იყოს, სადაც ხალხს სიკეთეს მოუტანს... დღეს ნამდვილად ვერ ეცნობ ჩხოუშიას. როგორ გავიხარებდით, მუდამ ამხელა რომ მოდიოდეს. — ბერიკაცმა გარშემო მიმოიხედა და განაგრძო: — ზუგდიდში ყველაფერი გაიზარდა — ქუჩაც, სახლიც, ხეც, ადამიანიც ამაღლდა. მდინარეს კი არაფერი ეშველა. საღამოხანს დაიკლებს ნაწვიმარი წყალი და მერე ისევ ისე ილიკლიკებს საცოდავი ჩხოუშია.

ხიდზე გავიარეთ და ტაატით გავუყევით მთავარ ქუჩას.

მარჯვნივ ბაზრის უზარმაზარი პავილიონია აღმართული. ხეივნის თავში კი, სადაც პალმების მწკრივი თავდება, ცოცხალმა კალენდარმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. გვაჩის მოეწონა მებაღე-დეკორატორთა ნახელავი, მარჯვენა შეუქო იქვე მოფუსფუსე გოგონებს, საქმე გაუვარებიათო, ღიმილით უთხრა.

გაზონებში, მთელი ხეივნის გასწვრივ, ათასნაირი ყვავილი ბიბინებდა.

— გაზაფხულზე მარტო მდინარე როდი დიდდება, ყვავილების ნიაღვარიც მოდის, — ჩაილაპარაკა გვაჩიმ.

სასტუმროს წინ შეეჩერდით. საით მიბრძანდებით-მეთქი, ვკითხე დამშვიდობებისას. ერთ-ორ წუთში ჯვარის ავტობუსი გადის და იმას მივყვებიო. მერე თვითონ მკითხა, შენ საითლა გაგიწევიაო.

— მე აგერ, სასტუმრო „ოდიშში“ ენგურჰესის მთავარი ინჟინერი ემუხვარი უნდა მოვინახულო, მინდა მკითხველს ცოტა რამ მოვუთხრო ენგურჰესის მშენებლობაზე.

ამ სიტყვებმა გვაჩი გამოაცოცხლა, ხელი მტაცა და მუდარით მითხრა:

— თუ ძმა ხარ, მოდი, მეც დამასწარი თქვენს საუბარს. მერე რა, რომ ჟურნალისტი არა ვარ. ცნობისმოყვარეობის ამბავია — განა ჯვარელ კაცს გაემტყუნება, რომ ჯვარის მოძავალი აინტერესებდეს?

— სიამოვნებით, წამობრძანდით. თქვენ საათზე იხედებოდით, შინ მიგეჩქარებოდათ, თორემ....

— შინ წასვლა რა საჩქაროა! „ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი,“ — ღიმილით მითხრა გვაჩიმ და სასტუმროში შემომყვა.

ინჟინერმა ნახაზი გაშალა და დაიწყო:

— აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ენგურჰესი უნიკალური ნაგებობა იქნება მსოფლიოში. ეს ისედაც ცნობილი ამბავია. ამჯერად მინდა გაწაროთ, რომ თქვენი ქალაქი დამტკიცებულია მშენებლობის მთავარი შტაბის ადგილსამყოფლად. აქედან ეხელმძღვანელებენ მომიჯნავე წალენჯიხასა და გალის რაიონებში განლაგებულ ობიექტებს.

შემდეგ მთავარი ინჟინერი ამ გრანდიოზული მშენებლობის მთავარ მომენტებსაც შეეხო.

— ამ ბობოქარი მდინარის კასკადი პერსპექტივაში ხუთ საფეხურადაა დაყოფილი. ესენია: ოფარჰესი, ლატარჰესი, ფარიჰესი, თობარჰესი და ბოლოს, ენგურჰესი დამატებით ელსადგურებიანად. ეს-ეს არის იწყება ამ უკანასკნელი, მეხუთე საფეხურის მშენებლობა, რომელიც ენგურის მთელი ენერგიის სამოც პროცენტს გამოიყენებს და, წინასწარი გაანგარიშებით, მილიონ შვიდას ათას კილოვატსაათ ენერგიას მოგვცემს.

ენგურჰესის წლიური გამომუშავება იქნება ხუთ-ნახევარი მილიარდი კილოვატ საათი, ე. ი. იმდენი, რასაც ორმოცდაორი ზაჰესი გამოიმუშავებდა.

— გალის რაიონში, სოფელ საბერიოსთან ახლოს, აიგება მთავარი მიწისქვეშა ელსადგური. დაახლოებით თბუთმეტსართულიანი სახლის სიმაღლისა. — განაგრძობს ნოდარ ემუხვარი. — ამ იმვიათი ნაგებობიდან—მიწისქვეშა ელსადგურიდან—სხვადასხვა მიმართულებით გაიყვანენ არხებს, გვირაბებს, შტრეკებს. შემდეგი იქნება მზიურის ელსადგური. ბოლოს, ჯაფაგამოვლილი ენგური, ვიდრე ზღვას შეერთვოდეს, ერთხელ კიდევ მოხდის ვალს ხალხის წინაშე, ერთხელ კიდევ დაატრიალებს ტურბინებს და ერთბაშად სამ ელსადგურს ააშუშავებს. როგორც ხედავთ, წარმოუდგენელი შრომა მოელით ქართველ ჰიდრომშენებლებს. საკმარისია ითქვას, რომ ენგურჰესის მიწის სამუშაოთა მოცულობა ოთხჯერ აღემატება ბრატსკის ჰესის ასეთსავე სამუშაოებს.

ორიოდე სიტყვა ენგურჰესის კაშხალზე. მსოფლიოს ანცვიფრებს მისი საკარაუდო სიმაღლე — სამასი მეტრი. მსგავსი რამ ჯერ ადამიანის ხელს არ შეუქმნია.

ცხადია, იმ ადგილზე, სადაც კაშხალი უნდა აშენდეს, მილიონობით ტვირთი იქნება გადასატანი და აბა, რა ავტოტრანსპორტი აუვა ამას! ამიტომ გადაწყდა, პირველ რიგში გაყვანილ იქნას ზუგდიდ-ჯვარის რკინიგ-

ზა. გავა დრო და ლაკადის ვიწროებში დაგებულ ლიანდაგებზე პირველი ორთქლმავალი გასრიალდება. ესეც ახალი ბედნიერება იქნება მთის სოფლებისათვის.

ენგურმა რომ თავისი ფსკერი სამშენებლო მოედნად დაგვითმოს, კაშხალის აღმართვის საშუალება მოგვცეს, მარცხენა ნაპირზე გაიყვანენ გვირაბს. ამ გვირაბით ივლის მდინარე კაშხალის აგებამდე. კაშხალი ჯვარს ზემოთ გადაკეტავს ენგურს და წარმოშობს ხელოვნურ ზღვას. მარილიანია, სვანეთის დღევანდელი გზა დიდ მანძილზე წყლით დაიფარება. მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო ფართო საავტომობილო გზატკეცილი გაიჭრება ცოტა მაღლა, სხვა ადგილას...

...ოთახში საღამოს ბინდმა შემოიხედა. ქალაქში უკვე კაშკაშებდა სინათლეები. მასპინძელმა შუქი აანთო და განაგრძო:

-- დიდ, თითქმის ჩვიდმეტკილომეტრიან გვირაბს გაიყვანენ ენგურის მარჯვენა სანაპიროდან. მთის ბობოქარი მდინარე გადაუხვევს თავის საუკუნოვან გზას, გადაეშვება ჯერ გვირაბში, მერე არხში, აფხაზეთის ველ-მინდვრებზე გაინავარდებს და შავ ზღვას გედავასთან შეუერთდება. ენგურის დღევანდელ კალაპოტში კი იდენს მდინარე მაგანა, იგი მრავალ ნაკადულს შეიერთებს.

უცებ ოთახში სინათლე ჩაქრა და შეწყდა საუბარი დიდ სინათლეზე. როგორც ჩანდა, მთელ სასტუმროში და შეიძლება, მთელ ქალაქშიც, ჩაქრა შუქი, რადგან ღია კარიდან უკვე აღარ ჩანდა ჭადრების ხეივანი.

შემოვიდა მეკარე, ბოდიში მოიხადა და სანთლის ნარჩენი შემოიტანა.

-- ეს პირველი შემთხვევა როდია, — თქვა ნოდარ ემუხვარმა და ტელეფონს მისწვდა, ელექტროსადგურის ბორიგეს დაურეკა:

— რატომ ჩაქრა, თუ იცით, სინათლე? რა ბრძანეთ? საიდან ვართ? ენგურჰესის მშენებელთა ოთახიდან. დიახ, სასტუმროა. — ყურმილი მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენა მაღლა ასწია, გაიღიმა და ჩასძახა: — მეგობარო, იცით რა, გვასესხეთ სინათლე და დაგიბრუნებთ, ორმაგად კი არა, მილიონჯერ მეტს.

როცა კვლავ განათდა, გვაჩი ოთახში აღარ იყო.

სად უნდა წასულიყო ჯვარელი ბერიკაკი? რაღა მაინცდამაინც მაშინ გაკიდა, როცა სინათლე ჩაქრა?

ინჟინერმა კი თხრობა განაგრძო. ქებით მოიხსენია საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის სახელგანთქმული სპეციალისტები, არა ერთი სინათლის კერა რომ აენთოთ ჩვენს რესპუბლიკაში, ზაჰესიდან დაწყებული ლაჯანურჰესით დამთავრებული.

ამ დროს ოფიციანტმა ლანგრით კონიაკი და შოკოლადი შემოიტანა. უკან გვაჩი მოჰყვებოდა. მან ჭიქები აავსო და ინჟინერს მიუბრუნდა:

— ამით ჩვენს დიდ მშენებლობას გაუმარჯოს, შვილო ნოდარ. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვო: ენგური სწრაფია და დონდლო კაცი მასთან ვერაფერს გახდება. დაუძახეთ მკლავმაგარ ჭაბუკებს, ისინი მხარში ამოგიდგებიან თქვენ, დიდი სინათლის ასანთებად მოსულთ. მწამს, გავა დრო და ენგურჰესის მშენებელთა სახელს სასოებით, ოქროს ასოებით ჩასწერენ მემატიანეები. მოინახება დღევანდელი გაზეთების თითოეული სტრიქონი, თითოეული სურათი, ენგურჰესელთა შრომით გმირობაზე რომ მოგვითხრობენ, და თაობიდან თაობას გადაეცემა ენთუზიასტთა საქმეები. მაშ, გაუმარჯოს ამ მილიარდ ვარსკვლავს, ენგური რომ ააციმციმებს! გზა დავულოცოთ ჩვენს ბობოქარ მდინარეს, მშვიდობით ეცლოს ახალ გზაზე!

წუთით შეჩერდა ბერიკაკი, მერე ხმამაღლა თქვა:

— დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: ენგური უდიდეს მდინარეთა სიაში ჩაეწერება. ჩვენც ეს გვინდა. კაციც და მდინარეც იქ უნდა იყოს, სადაც ქვეყნისათვის მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლება.

...შუალამე გადასული იყო, როცა სასტუმროდან გამოვედით. ჩვენმა მასპინძელმა გამოგვაცილა. გვაჩიმ მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— შენ და შენი ამხანაგები კარგი საქმისათვის ხართ ჩამოსული. ჩვენც, ყველანი, თქვენთან გვიგულეთ, დიდიც და პატარაც. შვიდი შვილიშვილი მყავს, შვიდივე თქვენთან მიითვალე. კარგი ბიჭები არიან, არ შემარცხვენენ; და განა მარტო ჩემი ოჯახი? ფეხზე დგას მთელი ჯვარი, ზუგდიდი, გალი, წალენჯიხა, მესტია, მთელი ჩვენი საქართველო, რა ეროვნების კაცი აღარ მოიჩქარის ჯვარისაკენ, — გატაცებით ამბობდა გვაჩი.

მაცხოვრისკარიდან ზუგდიდის ჭადრებისაკენ ნელ-ნელა წამოვიდა ცისკრის სინათლე.

თენდებოდა 1961 წლის აპრილის დილა.

ენგურჰესის მშენებლობის პირველი დღეები იდგა.

არასდროს ჯვარს ამდენი საპატიო სტუმარი არ ჰყოლია. ორასი მეცნიერი ეწვია სოფელს.

ესენი იყვნენ საყოველთაოდ ცნობილი სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

მეორე დღეს ზუგდიდში იწყებოდა ექვსდღიანი საკავშირო თათბირი, სადაც უნდა განეხილათ ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის დაპროექტებისა და მშენებლობის აქტუალური საკითხები. თათბირზე ორმოცი მომხსენებელი და თანამომხსენებელი უნდა გამოსულიყო.

და აი, საბჭოთაკავშირის ენერგეტიკოსებმა გადაწყვიტეს, წინადღით საამშენებლო ობიექტები დაეთვალიერებინათ. ჯვარიდან ჯვარზენში ავიდნენ, ნახეს ენგურჰესის მშენებელთა სრულიად ახალი საცხოვრებელი უბნები.

იქიდან გამობრუნებულებმა გაიარეს მაგანის ხიდი და ენგურის ხეობას მიაშურეს.

კაცი იფიქრებდა, ბუნებას აქ დაუბერტყიაო მშვენიერების კალთა.

— ფეხით გავიაროთ, — თქვა პეტრე სტეფანეს ძე ნეპოროჟნიმ, საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრმა. მას საოცრად მოეწონა ჯვარის მიდამოები.

სტუმრები ფეხით აჰყვნენ ბობოქარი ენგურის ნაპირს. გზადაგზა ჩერდებოდნენ, ყველაფერს ათვალიერებდნენ. შევიდნენ საამშენებლო გვირაბში, ესაუბრნენ მებეტონეებს, მეექსკავატორეებს, მებულდოზერეებს, გეოლოგებს, ინჟინრებს.

სტუმრები და მასპინძლები მდინარის მარცხენა ნაპირის მწვანე ფერდობზე ავიდნენ. იქიდან ხელისგულივით ჩანდა ის ადგილი, სადაც კაშხალი უნდა აღმართულიყო.

პეტრე ნეპოროჟნი ენგურს ჩასცქეროდა და ამბობდა:

— ეს მდინარე აუთვისებელი ენერგორესურსების ყაზარია. ენგურჰესის კაშხალი ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ნაგებობა იქნება მსოფლიო ჰიდროტექნიკის ისტორიაში. ქართველმა მეცნიერებმა, ამ საქმის ჩინებულმა სპეციალისტებმა, დიდი, ფასდაუდებელი საქმე გააკეთეს ენგურჰესის პროექტის შექმნით. ასე არ არის, მეგობრებო?

— მართალს ბრძანებთ, ძვირფასო პეტრე სტეფანეს ძევ. — ამბობს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მშენებლობისა და არქიტექტურის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი მ. გრიშინი. — მე მინდა აღ-

ეწიშნო. რომ დღეს, როცა კაშხალის ადგილი დავათვალიერეთ, ყველანი დავრწმუნდით ერთ რამეში: ბუნებრივი მდებარეობა საშუალებას იძლევა აშენდეს მსოფლიოში უდიდესი გიგანტი. მიუხედავად ამისა, ცალკეულ საკითხებს დაზუსტება და საბოლოო გაანგარიშება სჭირდება. მაგალითად, გეოლოგებმა უკეთესად უნდა შეისწავლონ ენგურის ხეობის ქანები და იმ ნიადაგის სიმკვრივე, რომელზედაც ახლა ვდგავართ.

— საქართველო ჰიდროენერგეტიკით ძალზე მდიდარი ქვეყანაა, — საუბარში ჩაერია მოსკოვის „ჰიდროპროექტის“ თანამშრომელი მ. ლიჩოვი. — ამიტომ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში ბუნების ნაბოძები ეს სიმდიდრე. ვაიძულოთ პატივცემული ენგური, იმუშაოს ადამიანისათვის.

ჟურნალ „გიდროტეხნიჩესკოე სტროიტელსტვოს“ მთავარი რედაქტორი ვ. ერისტოვი, აქამდე რომ ენგურს გადაჰყურებდა, პეტრე ნეპოროჟნისთან მიდის და ყველას გასაგონად ამბობს:

— ზუგდიდის თათბირზე ვრცლად ვიტყვი, მაგრამ აქაც, ამ თვალწარმტაც ხეობაში, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა. თქვენ იცით, რომ ენგურჰესის კაშხალმა სამასი მეტრის სიმაღლეზე დაგუბებული წყლის ძალას უნდა გაუძღოს. ამისათვის კი საგანგებო ბეტონია საჭირო. ასეთი ბეტონის დამზადებაზე მრავალი წელია წარმატებით მუშაობს კიდევ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი პ. წულუკიძე. მისი მეთოდები ფართოდ დანერგა ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის აგებისას, მათვე იყენებენ არაბეთში ასუანის კაშხალის მშენებლობაზე.

— დიდი ხნის ოცნებას ესხმის ფრთები, — წარმოთქვა პენსიელმა მგლოტმა მოხუცმა. — ხედავთ წითელ ალამს გალმა მთაზე? აი, იქ იქნება წყალსაცავის ზედაპირი. ახლა ჩვენ მომავალი ზღვის ფსკერზე ვდგავართ. დიდ საქმეს შეეწირება ეს შშვენიერი გზა, ეს სიმწვანე.

სტუმრები და მასპინძლები ნელი ნაბიჯით გაემართნენ ჯვარისკენ.

ჯვარის მოსახლეობა ქუჩაში გამოფენილიყო. ორასმა პიონერმა ორასი თაიგული მიართვა სტუმრებს.

1962 წლის ოქტომბერი იყო.

ენგურიდან ანგარამდე

მდინარე ოლორის ორივე მხარეს ბუმბერაზი, დაბურული, გულჩახვეული მთები აზიდულა. იქ მხოლოდ მაძაც მუქაველ მონადირეს თუ შეუძლია გაიაროს.

დაბლა, მწვანეში ჩაფლულ ხეობაში, ფართოდ მიედინება ოლორი — თეთრი მდინარე.

კამკამა წყალი შხუილით ეშვება ცარცისფერ ქვებზე.

ენგურჰესის ტრასაზე ბევრი ლამაზი ხეობაა. და მაინც სხვაა მწვანე ხევში მოჩხრიალე თეთრი მდინარე.

ოლორი ახლოსაა ენგურთან, ოლორი ენგურის უმცროსი დაა.

თეთრი ოლორის გასწვრივ აღმართეს თეთრი შენობები, ააგეს ყველაფერი, რაც დღევანდელ ადამიანს სჭირდება, და ენგურჰესის მშენებლებს უთხრეს:

— ახალმოსულნო, დღეს ოლორელნო! აი, ჩაიბარეთ თქვენთვის შექმნილი ეს ახალი დაბა, იცხოვრეთ, იმუშაოთ, გაიხარეთ.

ენგურისა და ოლორის ხეობებში დაიბადა აზრი, დაახლოებოდნენ ბრატსკელ მეგობრებს.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ენგურიდან ანგარისაკენ დაიძრა ქუთაისის ავტოქარხნის მანქანა „კოლხიდის“ კოლონა. გადარბენის მონაწილეებს თან მიჰქონდათ ენგურჰესელთა წერილი ბრატსკის ჰესის მშენებლებისადმი. წერილში ენგურელები შორეულ მეგობრებს მოუწოდებდნენ გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება.

მალე ბრატსკიდან დეპეშა მოვიდა:

— ზუგდიდი, პარტიის რაიკომს.

ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა გვთხოვეს: ჩვენი მჩურვალე სალამი გადაეცით ენგურჰესის მშენებლებს და ზუგდიდის ყველა მშრომელს. თანახმა ვართ სოციალისტურ შეჯიბრზეო.

დეპეშას ხელს აწერდნენ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სპეციალური კორესპონდენტები.

მეგობრობამ შეამოკლა მანძილი ენგურიდან ანგარამდე.

ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციაში მოვიდა ბრატსკელი მშენებელი ქალიშვილის წერილი.

„ძვირფასო რედაქციავ, — წერდა უცნობი გოგონა, — სალამს გითელით შორეული ციმბირიდან, სადაც მოქუხს ბრატსკის კაშხალით დამორჩილებული ახგარა. ჩემი სახელი და გვარია ალა კანანოვა. კარგია აქაურობა. მივეჩვიეთ ყველაფერს. სუსხიან ამინდსაც.

საქართველოზე ბევრი რამ წამიკითხავს და მსმენია, ფილმიც მინახავს. ყველას მოსწონს თქვენი ხალხი და ბუნება. კომკავშირლებმა გადავწყვიტეთ, მეგობრული ურთიერთობა ვიქონიოთ ენგურჰესელ ჭაბუ-

კებთან და ქალიშვილებთან. ვიმეგობროთ და ვაშენოთ სინათლის კერები".

ენგურჰესიდან გაიგზავნა წერილები ალა კანანოვასა და მისი მეგობრების სახელზე.

მალე ზუგდიდს ეწვია ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე კონსტანტინე ალექსეევი.

— როცა საქართველოში გამოსამგზავრებლად ვემზადებოდი,—თქვა მან,— ჩემთან ბინაზე მშენებელთა დიდი ჯგუფი მოვიდა, დამბარეს, ქართველ მეგობრებს ჩვენი გულითადი სალამი და კეთილი სურვილები გადაეცითო.

ენგურჰესის მშენებლობის დათვალიერებისას ალექსეევი ესაუბრა გვირაბგამყვანებს, გეოლოგებს, მებეტონეებს და სხვა პროფესიის ადამიანებს. ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ ბრატსკელ სტუმარს.

კომკავშირული იერიშით

ოციან წლებში, როცა ზაჰესი შენდებოდა, ბევრ ენგურისპირელ ჭაბუკს ნახავდით ავჭალაში ბარითა და ნიჩბით ხელში. და განა მარტო მათ? მთელი საქართველო აშენებდა რესპუბლიკის პირველ ელსადგურს. მაშინ მანქანებს რიცხვს ურმების რიცხვი სჭარბობდა.

მერე და მერე, ასევე საერთო ძალით აენთო რიონის, აბაშის, ხრამის, ლაჯანურისა და მრავალი სხვა ჰესის ჩირაღდნები.

ბოლოს ენგურის რიგიც დადგა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის თებერვლის პლენუმის შემდეგ ენგურჰესზე უფრო გაბედულად მიიტანეს იერიში. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან აქეთ გამოემართნენ ჭაბუკები და ქალიშვილები. ენგურს ესტუმრნენ ალაზანზე დაზრდილი ვაჟკაცები, არაგვის, ლიახვის, ყვირილას, რიონისა და ქუქის ნაპირებიდან აფრენილი ახალგაზრდები.

მოვიდნენ და აამოქმედეს უახლესი და უძლიერესი ტექნიკა, ექსკავატორები, ბულდოზერები, 25 და 27 ტონიანი თვითმცლელები, მიწისმწოვი მანქანები.

კომკავშირმა დაიწყო გენერალური იერიში ენგურზე.

სიჭაბუკე ჩამდგარა ენგურის ხეობაში და გაზაფხულის ზვავად დაძრულა წინ კაშკაშა ვარსკვლავთა ასანთებად.

გრიალებენ ამონალები, ზანზარებენ მთები. და თითქოს ამ ჭაბუკებს, დღევანდელ კომკავშირელთა ლაშქარს მიმართავს ვლადიმერ მაიაკოვსკი:

„აშენე,
ამ ძველის
დანგრევაც მოასწრე,
და ახალ სართულებს
ჩაუდექ დარაჯად.
ყაზბეგი!
რომ საქმეს გიშლიდეს,—
მოაძრე,
რა უშავს — ნისლებნი
ხომ მაინც არა სხანს!“

* * *

საბერიოში პატარა მდინარის — ჩეღალის — ნაპირზე გავიცანი დიდი მდინარის სამი მომთვინიერებელი, ძმები: გივი, შოთა და ალიოშა ნადირაძეები.

გივი გვირაბგამყვანი იყო ლაჯანურზე, ქუქზე, ხრამზე...

მათ კარგად იცნობენ ქთელ მშენებლობაზე — ჯვარიდან გუდავამდე.

სამივე ძმა გვირაბგამყვანია და თვითეული სამ-სამ სპეციალობას ფლობს.

მბურღავია საჭირო?

ნადირაძეებს უძახიან.

გამმაგრებელი უნდათ?

კვლავ ნადირაძეები.

ამფეთქებელი დასჭირდებათ?

ისევ ნადირაძეები.

უფროსი ძმა, გივი ბრიგადირია.

არ ყოფილა შემთხვევა, მთის გულში იერიშით მიმავალ ნადირაძის ბრიგადას რომ დავალება ვადამდე არ შეესრულებინოს.

გივის ცვლა ღამის ორ საათზე შეეიდა ახალ, მერვე უბანში. თერმომეტი ვაუკაცი ამაგრებდა გაყვანილ გვირაბს. ექვსი საათი, სამას სამოცი წუთი, შეუსვენებლად იმუშავეს. დრო სწრაფად გავიდა.

რვა საათზე ახალი ცვლა უნდა მოსულიყო, მაგრამ ბიჭები რატომღაც არ ჩანდნენ; მუშაობის შეწყვეტა არც უფიქრიათ. მთასთან ჭიდილი გრძელდებოდა...

ძმები ნადირაძეები დაფნარელები არიან, სამტრედიის რაიონიდან.

— სამი ძმა აქ მუშაობთ, სულ რამდენი ხართ? — ეკითხებიან გივის.

— ექვსი ძმა და ექვსი და ვართ. ჩვენი დედა მარო უშვერიძე-ნადირაძისა გმირი დედაა, — ხმაში სიამაყე შეეპარა გივის.

...მალე გივი ნადირაძის ბრიგადამ ზედიზედ დაამყარა რეკორდი, ჯერ რესპუბლიკური, მერე საკავშირო და მსოფლიო რეკორდისათვის მზადებას შეუდგა.

ეს მოხდა ხუთწლედის დასაწყისში

ეს მოხდა ამ ხუთწლედის დასაწყისში — 1966 წლის 25 იანვარს

იმ დღეს დაბა ჯვარის ზემოთ ენგურის გადახიდვას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო.

აქ იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ჩოგოვაძე, პარტიის ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიკომების პირველი მდივნები ვიქტორ და ვახტანგ კვარაცხელიები, ტრესტ „საქართველოს ჰიდროენერგომშენის“ მმართველი ვახტანგ ნიჟარაძე, მთავარი ინჟინერი მირიან ებრალიძე, ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი ალექსანდრე მეუნარგია, სამმართველოს უფროსის მოადგილე გივი ჭყონია, მთავარი ინჟინერი ნოდარ ჭარხალაშვილი.

ახლოვდებოდა ენგურის დინების შეცვლის წუთი. ეს ამ საღამოსვე უნდა მოხდეს, რამდენიმე საათში.

იერიშზე გადადის მთელი ტექნიკა, ოცდახუთტონიანი თვითმცლელები, ბულდოზერები, ექსკავატორები.

სწრაფად დაიწყო გადახიდვა. მდინარეს ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მიეცეს. ენგურში იყრება უზარმაზარი ქვები და კლდის ნამსხვრევები.

დამსწრეთა თვალწინ დაიბადა და მდინარეში სოლივით შეიჭრა დამპა. რაღაც ორ საათში თვალსაჩინოდ გაიზარდა დამბის სიგრძე და დაპატარავდა მანძილი გაღმა მარჯვენა ნაპირამდე.

ენგური გრძნობს, რომ კალაპოტი დაუვიწროვეს და ბობოქრობს, ბორგავს, ტორტმანებს.

ბინდი ჩამოწვა. დიდი გვირაბის ჭრილში შორიდან მოანათებს მანქანა — ეს სამმართველოს უფროსის ნოდარ ემუხვარის „ვილისია". მანქანიდან ნოდარი და უბნის უფროსი ჩამოდიან. მათ კიდევ ერთხელ და უკანასკნელად შეამოწმეს გვირაბი, საენგუროდ მზად თუ არისო. ახლა საბარგო მანქანები გამოდიან იქიდან და გამოაქვთ გვირაბში დარჩენილი კაბელები და სხვა მასალები. ენგურში შეჭრილი დამბა კი უფრო სწრაფად იზრდება.

მცირე, სულ მცირე მანძილი დარჩა ვარჯვენა ნაპირამდე და უფრო გაბრაზდა, გაცოფდა, ტალღებად აიქოჩრა ბობოქარი მთის მდინარე. ებღაუქება, არ თმობს ძველ გზას.

-- ცუდ დღეშია ენგური, ხაფანგში გაბმულს ჰგავს, — ამბობს ვიღაც.

„ვიღაც" კი არა, ეს ძველი მეტივე ნიკო აკობიაა, ამ ზღვა ხალხში ის განზე გამდგარა, გარინდებულა და მხოლოდ თავის თავს ებაასება.

იერიში კი გრძელდება. გადახიდვას ცოტაღა აკლია.

საღამოს შვიდი საათია. უზარმაზარმა ელექტრონათურებმა გაანათეს იქაურობა.

და აი, დადგა ის წუთიც, როცა წელში გატეხილი ენგური ჯერ ნახევრად, მერე კი მთლიანად შებრუნდა გვირაბისაკენ.

წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა!

ნაკადული ან ღელე ხომ არ იყო, ჩუმი რაკრაკით ჩაევლო. აფორიაქებული, ყალყზე შემდგარი კი არ შევიდა, შეიჭრა გვირაბში.

ვიდრე ეს მოხდებოდა, ნიკო აკობია თავის თავს ებაასებოდა:

— არ აჩქარდე, ძველი კაცი ბარ. სიდინჯე გმართებს. დღეს აქ სასწაული ხდება. ქვეყნის ხალხია მოსული ჯვარში. ხამად არ ჩაგთვალონ, ნიკო.

მაგრამ როცა გზაგადაჭრილმა მდინარემ პირი მარცხნივ იბრუნა, ნიკომ ენგური დაცემულად წარმოიდგინა და უნებურად პირჯვარი გადაიწერა. მერე ჭაბუკივით მოწყდა ადგილს, ხალხში შეერია და სხვებთან ერთად მთელი ხმით დაიძახა: „აჯობეს, ვაშა! ბეჭებზე დასცეს, ხალიჩაზე გააკრეს ენგური!"

მეორე დღეს საყოველთაო აღტაცება გამოიწვია თბილისიდან მიღებულმა დეპეშამ:

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავთ თქვენ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, შრომითს გამარჯვებას — მდინარე ენგურის გადახიდვასა და თაღოვანი კაშხალის მშენებლობის სამუშაოთა დაწყებას. ახალ წარმატებებს გისურვებთ დიდ და საპატიო საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ხარისხი უპირველეს უოველისა

გიორგი მიქავა, ენგურჰესის მშენებლობის გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე, მისახელებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მშენებლებს.

ეს მას არ უჭირს. ათი ათასი კაციდან ათასს მაინც იცნობს, თუ მეტს არა, და ათასივეს მამის სახელი იცის.

როცა სამმართველოში რომელიმე მშენებლის ან მუშაკის მამის სახელი დასჭირდებათ, გიორგი მიქავას ურეკავენ...

— ბევრის ჩამოთვლა არ არის საჭირო. დაასახელეთ თუნდაც ერთი, მაგრამ ისეთი, ის სხვას ჰგავდეს, სხვა კი — მას, — ვეუბნები.

— რომელი სამმართველოდან?

— კაშხალიდან.

— გურამ ყალიჩავა.

...უნიკალური კაშხალის ასაგებად საგანგებო, უმაღლესი ხარისხის ბეტონია საჭირო.

და აი, ჯვარის ზემოთ, ეამანაშის მთის კალთაზე, ენგურსა და ლაგანას შუა იგება ასეთი სპეციალური დანიშნულების ბეტონის ქარხანა.

— ამ ქარხნის სამუშაოთა მწარმოებელია გურამ ყალიჩავა, რომელსაც ხუთწლედის გმირი უწოდა კაშხალის მშენებლობის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ნოდარ ემუხვარმა.

ამას წინათ გურამმა ჭალის ქარხნიდან მიღებული ბეტონი დაიწუნა. დიდი ხნის შეზავებული გახლდათ და საშენ მასალად არ გამოდგებოდა. ეს ლაბორატორიამაც დაადასტურა.

აფორიაქდა სამუშაოს მწარმოებელი: — გაგონილა ასეთი დაუდევრობა?! ეს კაშხალი ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს და მათ მოდგმას უნდა მოემსახუროს. ეს რატომ ავიწყდებათ?!

ყალიჩავამ უკანვე გააბრუნა დატვირთული თვითმცლელი და მძღოლს დააბარა:

— გადაეცი შენს უფროსებს, ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

გურამ ყალიჩავას საყვარელი ფრაზაა „ხარისხი უპირველეს ყოვლისა".

მართლაც, დახედავენ თუ არა სპეციალისტები მისი ზედამხედველობით შესრულებულ სამუშაოს, ჩაილაპარაკებენ: — ხუთიანი ეკუთვნის!

ასი თვალი და ასი ყური აქვს გურამს. დილიდან საღამომდე თავს დასტრიალებს სამუშაოს. დიდდება შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება კი მცირდება.

შრომის ფრონტი გაშლილა ჯვარიდან გუდავამდე, თითქმის ას კილომეტრზე. მედგრად მიიწევს წინ სინათლის ჯარისკაცთა არმია.

ენგურჰესი ჩუმად კი არა, გრიალში, აფეთქებებში, სიძველეებთან შეუპოვარ ჭიდილში იბადება.

პოეზია

აპოლონ ადონია

ალ. საჯაიას

შენ ოცდახუთი წელია გძინავს
აქ, ამ მიწაში, ამ ცაცხვის ჩრდილში.
შეღამებისას შენი სოფელი
ამოდის შენთან ბუხრების კვამლით,
მარტოდარჩენილ დედ-მამის ფიქრით —
ამოდის შენთან და დრო ჩერდება...
და დაუწერელ, ლამაზ ლექსების
გლოვის ხმას უსმენს სახაფლაოზე...

* * *

შენ და ენგური, ხალამოს ბინდი,
გზაგასაყარი — ხიზმარი ბავშვის.
ერთი შემკრთალი ყვავილი მიდის
მინდორზე, როგორც ხურვილი ქარში.

ის უცნაური წუთები ბრწყინავს
და ყოველივეს სათავეს უქმნის.
მერე უეცრად იწყება წვიმა
და შესამჩნევად ბნელდება შუქი.

* * *

დღეს სული არის ზღვისფერი ქვაბი
ყველა მდინარის წყლით ავსებული,
მზეზე დადგმული...
და ზეცა ისმენს უცნაურ ამბავს
მიწისას...
ნადუღარი წყლის მიცურავს ორთქლი
და იწმინდება დულილით წყალი...

* * *

ას წელიწადში ერთხელ, მცირე ხნით,
პოეზიისთვის დგება მწიფობა
და შემოდგომა...
ქარიან დღეებს გაანათებს ქარვა და ლალი
და დაიწყება ფოთოლცვენა;
დროის საცერით გაიცრება სახე ყოველი,
სიტყვა ყოველი, აზრი და რითმა...
გამძლე ნაყოფი ამ უცნაურ, იშვიათი ხის
ცოტა იქნება, უეჭველად, ძალიან ცოტა!
მან ასე იცის, როგორც ყველა მცენარემ ქვეყნად,
მაგრამ რას იზამ...
შენ, შენ რა გაქვს იმ დროისათვის,
ან რა გექნება? დაგრჩება რამე
იმ ქარებისგან დაურბეველი?

* * *

მესიზმრებოდა ლექსები წუხელ...

როგორც პატარა ოქროს თევზები,
სულის ნაღვლიან აქვარიუმში
დასრიალებდნენ სველი სიტყვები...

მესიზმრებოდა ლექსები წუხელ.

მიყვარს ჩემი საქართველო

მიყვარს ჩემი ქართლის ბალი,
დოლისპურის კალოები,
მთები, მათი იალალი,
მოჩუხჩუხე წყაროები.
ყველა ჯმუხი, ყველა სალი,
მკლავისტოლა ტაროები.
მიყვარს ჩემი ზღვა, ხმელეთი,
ჩემი ხალხი და მამული,
აჭარა და აფხაზეთი
ზღვის შხეფებით დანამული.
მიყვარს ჩემი საქართველო,
აქ ხულ მზეა, მუდამ დარობს.
საამაყო, სახახელო,
საბჭოეთის ბალში ხარობს,
რომ მტერს თვალი დაუბნელოს,
მოძმეს გული გაუხაროს.

იქნებ ჯობდა

რა გამაჩნდა?
— არაფერი,
ფარღალალა ჭოხის გარდა.

გავხდი ბედის მადლიერი,
როს სიმღერა შემიყვარდა.
შევყურებდი მზეს იმედით
დედიხერთა,
თითიხტოლა...
მადლიერი დავრჩი ბედის,
როცა ლექსმა შემაურეოლა...

მერე შევყევ ბალებს, ყანებს,
სიმღერების ლიღინითა.
მშობელ მიწას ვეთაყვანე
და დოვლათიც მომივიდა.
დავულოცე ხვავი ყანებს,
სახლი დავდგი ხუთი თვალი,
მაგრამ ვეღარ მოვიყვანე
კარგი ლექსის მოსავალი.
წამოვჭიმე კოხტა ოდა,
პატარძალიც შეიფერა.
ახლა ვნანობ, იქნებ ჯობდა,
ერთი ლექსი დამეწერა!

* * *

დიდიხანია დაგშორდი, ზღვაო,
ზამთრის ზღაპარმა გადამიყოლა.
ხულის ხადარო, ლურჯთვალა დაო,
გეტყვი: იყო და არა იყო რა.

თვალს ვერ ვუსწორებ დღეთა მარულას,
წელიწადებიც ჩუმად გარბიან.
და შეუმჩნევლად რაც გაპარულა,
ისევ თავიდან ვიწყო მწადია.

წ ვ ი მ ა

ღამეა.
ელვამ გასჭრა უკუნი.
ცის კაბადონზე ღრუბლები წვანან.

ნიავს მოჰყვება შორი გუგუნი,
შრიალებს ყანა...

იქექა.
ელვამ ღრუბელთა ჯარი
გახვრა, თვალები ააციმციმა.
გაჯავრებული მოვარდა ქარი,
დაუშვა წვიმა.

თამაზ ახალაია

ლამაზო დღეო

მე მიხარია, დღეო ლამაზო,
როცა შენ გიმზერ უხაზღვროდ გაშლილს.
ახალ იმედებს რადგან მთავაზობ,
მწყურია გედგე ამაყად მხარში.
ამიგიზგიზე ხალახი აზრი,
მცირედ მაჩვენე დიდი მანძილი.
შემოგეხვევი, ვით ჭიგოს ვაზი,
დე, ეს წუთები იყოს ხანგრძლივი!
მიმეცი დიდი სიცოცხლის იმედს,
მე მუდამ შენით ვხუნთქავ და ვმხნეობ
და თუ წაწყდი ჩემ სულში მღვიმეს,
შენ გამინათე, ლამაზო დღეო.

ᲖᲘᲕᲘ ᲑᲘᲠᲐᲘᲐ

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

იქნება ერთხელ მეც ჩავიქნიო
შენსავით ხელი და ვთქვა:
— გათავდა!
ჯერ კი მზესავით ნათელი ფიქრი
ყველავ მიადვილებს გზებს და აღმართებს;
ჯერ კი
ხურვილი ისევ მაღლდება,
რომ მიახკეცებს ლტოლვას და იმედს.
ოცნებით მივდევ და ლამაზდება
წუთიც,
წვეთივით მცირე და მძიმე.
არვის ვემდური,
არვის ვუჩივი,
არავის ვუთმობ — მხნე და ურჩი ვარ,
და მაგრად მძინავს
და მეხიზმრება
ბროწეულივით მწიფე ტუჩები.
იქნება ერთხელ მეც გავიბზარო
და ყველაფერი მართლაც გათავდეს,
ჯერ კი ბრიალა მზე
და მიზანი
მეც მიადვილებს გზებს და აღმართებს...

მიხეილ გიგიბერია

ლ ე ნ ი ნ ს

ჩვენს ყოველ საქმეს შენი ხიბრძნე გადაჰფენია,.
ახდა, ახრულდა სამუდამოდ ხალხის ოცნება,
კომუნიზმისკენ გზას გვინათებს შენი გენია,
შენი აზრები, შენი მოძღვრება.
შენი სახელი გამარჯვების რწმენას უნერგავს
ყველა დაჩაგრულს, დამონებულს ქვეყნად ვინც
არი;

კაცი კი არა, საოცრება საუკუნეთა
ერთადერთი ხარ ყველასათვის დასაფიცარი:
შენი სახელით იბრძვის ქვეყნად ხალხი ჩაგრული,
რომ მტარვალები სამუდამოდ მოსპოს, გახრიხოს!
რომ ზამთარ-ზაფხულ ყვავილობდეს ჩვენი მამული·
და კომუნიზმის მზე ბრწყინავდეს სამარადისოდ.

დ ა გ ე ნ ა ნ ე ბ ა

ჩემი გულისთქმა შენ აღარ გესმის,
იქნებ არც არის იგი საჭირო,
მაგრამ რა ვუყო, თუკი ეს ლექსი
გასდის გამხელილს და თვალსაჩინოს.
ხჯობდა გვქონოდა ფიქრი საერთო,
თორემ დრო გავა როგორც ზმანება,
ჩვენ დავბერდებით უერთმანეთოდ
და ვიცი, ბოლოს დაგენანება.

ზაურ კალანდია

ლიმილი

ბროწეულების მთრთოლვარე რიგი,
თეთრი ჩრდილები, მკრთალი სალამო,
და მთვარისფერი მდინარის იქით
ცა მაღალი და დაუხაბამო.

შენი ეზო და შენი სარკმელი,
განშორებების მძაფრი ტკივილი...
და ჩუმი კრთომა შენი ნათელით,
ვით გაზაფხულის მწვანე ლიმილით.

* * *

მინდვრად ბიბინებს მწვანე ბალახი,
გზებზე ხმამაღლა მღერის ცისკარი,
ის, რაც ვნახეთ ან გვქონდა ნანახი
იყო ხანმოკლე, როგორც ხიზმარი...

მინდვრად ბიბინებს მწვანე ბალახი,
გზებზე ხმამაღლა მღერის ცისკარი.

* * *

ცას მიბჯენილი ჯიუტი თვალით
დიდხანს გიცდიდი ბავშვივით კართან.
თოვლი და ქარი,
თოვლი და ქარი
თანდათანობით ავსებდა ზამთარს.

ვხედავდი, როგორ ფარავდა ქუჩებს
თოვლი და გახსოვს, როგორ ვლილავდი...
და დათოვლილი ქალაქი უკვე
უთეთრეს ფერში იწვა ყელამდის.

ცას მიბჯენილი ჯიუტი თვალით
დიდხანს გიცდიდი ბავშვივით კართან.

შენს ხინათლეზე გამოტყუებას
დიდხანს ვცდილობდი ზარით და ბუკით.
თუმც ყოველივე იყო ამაო,
ვიღაც უცნობი გფარავდა ზურგით.

მაგრამ მე მაინც ბავშვური ყინით
გიხმობდი გარეთ, ისევ და ისევ,
მერე კიდელზე ვხატავდი რიდით
ჩემს ღია გულზე გადამტყდარ ისრებს.

შენს ხინათლეზე გამოტყუებას
დიდხანს ვცდილობდი ზარით და ბუკით,
თუმც ყოველივე იყო ამაო,
ვიღაც უცნობი გფარავდა ზურგით.

*

ახმაურდება სადგური ლამით,
დამძიმებული სალამოს ყვამლით.

და ვაგონების ცისფერი მწკრივი
აცახცახდება ვეება ჩრდილით.

აწკრიალდება ბორბლებში ქარი
და დაფეთდება მანქანის ფარი.

დინჯად გამოვა მეიხრე გარეთ
და ცალი თვალით გახედავს მთვარეს...

მერე მთებიდან გადმოვა ნისლი
და გზას დაფარავს მხუბუქი სიზმრით...

ზაურ მოლაშხია

ს უ რ ა თ ი

ტუეზე ფოფინებს ლურჯი აპრილი,
მღერის ლერწამი და ირგვლივ თბილა.
ქარავანივით მოადგა ნაპირს
ალიონი და, გადმოხვლას ცდილობს,
ქარი მოარხევს ხინათლის რტოებს
და მკვეთრად ისმის თოხების ლესვა...
დილას იმედის მარცვლები მოაქვს
და ჩვენს ხნულებში დადის და თესავს...

წავიდა ჩემი მშფოთვარე იქვი.
როგორც სიზმარი ადრე ნახული.
ჩემს ცხოვრებაში შემოიჭერი
და გაიშალე, ვით გაზაფხული.
ნაღველს იშორებ ჩუმად და მკაცრად,
ხატავ მიდამოს ცისფერ ხელებით,
უსმენ ფოთოლთა სახსრების ტკაცუნს
და... წვეთებივით თრთიან ფერები.
მთებზე ანთია კოცონი ლურჯი,
საგაზაფხულო ქარები ბქრიან.
რწმენით გელოდა ოცნება ურჩი
უშენოდ წუთიც არ მიფიქრია...
წავიდა ჩემი მშფოთვარე იქვი,
როგორც სიზმარი ადრე ნახული.
ჩემს ცხოვრებაში შემოიჭერი
და გაიშალე, ვით გაზაფხული.

ბიტე ჟვანია

ს ო ფ ლ ი ს ა კ ე ნ

ხოფლის ბუნების მზერას ჩვეული
როცა ქალაქში დიდხანს ვჩერდები,
მომენატრება ტყის ფარჩეულით
დამშვენებული მწვანე ფერდები.

თმაჩამოშლილი წყალვარდნილები,
ფართო ველები ცხენთა ხარბენად...
თხრილის ბუჩქები, ეკალ-ბარდები,
ბუჩქთან დამფრთხალი ხოხბის აფრენა.

ტანმოქანავე ნორჩი ლერწმები,
კლდიდან ნაყონი წყაროს წკრიალი,
ხეს მიგრეხილი ვაზის ლერწები,
გასამარგლავი ყანის შრიალი.

კოხტად მორთული ოდა მეგრული,
მდელო და კორდი ცვარნაპკურები,
გლეხის ბიჭივით ყანის ერთგული
ისევ სოფლისკენ მივეშურები.

ნაკადული

ძეენს ყოველთვის ახალ ნაკადებს,
ებრძვის ნიადაგ კლდეებს ლოდიანს,
დახაბამიდან ახე რაკრაკებს,
მაგრამ მოღლილი მაინც როდია.

კაჟი ქვის გული გაუხვრეტია,
გაუპია და ზედ გადამხტარა,
არ უშინდება ხევ-ხევ ხეტიალს
წყარო დიდგული, წყალი პატარა.

მან მოხაცდელად არა ხცალია,
მუდამ შრომის და ბრძოლის ცდაშია,
მე მისი ლტოლვა მომწონს ძალიან,
ასეთ ცხოვრებას მართლაც ფასი აქვს.

* *

ტყეს ჩახატვია პატარა ღელე,
რტოებში რაღაც ფრინველი გალობს.
გახედავ ამ მთებს, ნარინჯის ველებს
და გული ხადღაც გაფრენას ლამობს.
ათასფრად ბზინავს ბალახზე ნამი,
კრიალა ზეცა ღიმილს ვერ მალავს,
წელიწადს უდრის აქ ერთი წამი,
და გრძნობ ბუნების მომხიბვლელ
ძალას.

ვალენტი ფიფია

ლენინი ჩემს ბიბლიოთეკაში

წავიკითხავ და თვალს ვახელ ფართოდ,
თაროს მიმშვენებს საქვეყნო სიბრძნე,
უკვდავ სტრიქონთა კოცონი მათბობს,
ვეხათუთები ბელადის წიგნებს.
მესმის ძახილი სიცოცხლის, წინსვლის,
გრიგალი მოსდევს თითეულ ფურცელს,
მისი ძახილი კოსმოსშიც ისმის,
ის არის ყველა გმირობის ფუძე.
მე მათი ძალით ვმაღლდები ცამდე,
ოცნების ბილიკს ამაყად ვიგნებ;
ხვა რამ სიმდიდრეს არც კი ვინატრებ,
გულთან ვიხუტებ ბელადის წიგნებს.
ვიხუტებ, ვთბები; მეგზურს უკითხავ
ამ მიწის პირზე ვერავინ ჰპოვებს,
ვერ შეველევი, ვკითხულობ ისევ,
უმაღლეს აზრთა ელვარე ტომებს!

ნესტან ჟორთუა

ახალგაზრდობა

ახალგაზრდობის სახელს ამაღლებს
რაც კი აშენდა, რაც კი შენდება.
ახალგაზრდობის ღიმილს მაგონებს
ყოველი დილა, როცა თენდება.
გატეხილია უკვე ყამირი
და მოიხარეს ქედი ქედებმა,
ვინც კი ყოფილა კომკავშირელი,
იგი არასდროს აღარ ბერდება.
არის ზღაპარი ცეცხლის სადარი,
დაბადებული მარად ჭაბუკად,
გაამაისა გულმა ზამთარი,
მთა დაემსგავსა დევის ნამუხლარს.
ოქრო რად გინდა, განძი რად გინდა,
ის მათხოვრებმა გაინაწილონ.
შენია, შენი, რაც გსურს, რაც გინდა,
შენ ოქროპირი კაცის გაზრდილო!
ოქრო რად გინდა, განძი რად გინდა,
შენია ოქრო წელიწადები.
როგორც ფოლადი ისე მაგრდები,
როგორც ოცნება ისე მაღლდები.
ახალგაზრდობა! — დღე ხვალინდელი

და ბვალინდელი გმირის ნათლობა.
ახალგაზრდობა! — მზის ყვავილობა
ზღვის მღელვარება — ახალგაზრდობა!
ქთის ჩანჩქერების მუსიკალობა,
ხაშვილიშვილო გზა და ლაშქრობა.
ბარი დაპკარი! — ცივი ციმბირი
იქცა წალკოტად, იქცა ედემად.
სიმამაცეა, სილამაზეა
ახალგაზრდული შემოქმედება.
იგი შენია, რაც კი აშენდა,
ისიც შენია, რაც კი შენდება.
როგორც შევარდენს მაღლა ფრენაში
ფრთები არასდროს შეგიშინდება.
გული არასდროს შეგიშინდება,
არც მიღწეულით დაგიმშვიდდება.
დღეს კომუნიზმის ოქროს კარები,
ბედნიერებო, თქვენთვის იღება!
თქვენთვის დავხანძრეთ დღე დალვრემილი,
თქვენთვის ვურჩენდით მამულს ნატყვიარს.
თქვენთვის გვინდოდა, რაც გვიბრძოლია,
რაც გვიშრომია, რაც გვინატრია.
ხატად გიძღოდეთ დროშა ლენინის,
შთაგაგონებდეთ მისი პარტია!

სიმღერები დედაზე

დედის ხელი

დედის ხელი ყველა წყლულის წამალია,
ხიყვარულის ხათავეა დედის გული,
ცხრათვალა მზეც დედის უბეს აბარია,
დედას მოპყავს ზაფხული და გაზაფხული.
დედის გული ცხრა მთის გალმაც გაგიღიმებს
და მოგიტანს გამარჯვების ნათელ იმედს,
დედა გვბადებს, საარწივო ფრთებით
გვმოხავს,

დედის ძუძუ უწოვია გმირს და მგოსანს...
დედის ხელით მოქსოვილა ჩვენი დროშა,
დედის კალთა, დედის უბე დაილოცა!

დ ე დ ი ს თ ვ ა ლ ი

რამდენი თვალი გაქვს, დედა,
შვილებს რომ ყველგან გვხედავ?
რამდენი გული გაქვს, ნეტავ,
ხითბო ყველას რომ გვხვდება?!
ან რამდენი გაქვს ხელი,
ასე ყველას რომ გვწვდება?
შენი ფიქრები გვშველის —
მუდამ, ყოველთვის, ყველგან!..
შენზე ილოცოს ღმერთმა,
ღმერთიც ხომ დედამ შექმნა.
შენ ხარ სიცოცხლის ფეთქვა,
ღმერთი შენ უნდა გერქვას!

დ ე დ ა ე რ თ ი ა

დედამ დათესა ეს ხილამაზე,
დახაბამიდან რასაც ეტრფიან.
ქალი ბევრია ამ ქვეყანაზე,
მაგრამ დედა კი მხოლოდ ერთია.
დედა ძველია როგორც სამყარო
და როგორც დილა, არის ახალი.
და არ არსებობს ქვეყნად სახელი
დედის სახელზე უფრო მაღალი.
ახალს ლანდივით შორდება ძველი,
ცხოვრების გზაზე ვის არ შეცვლიან.
არ გაჩენილა დედის შემცვლელი —
სიყვარული და დედა ერთია!
დედა ერთია, ვით მზის ამოსვლა

და ვით სიმართლე, დედა ერთია.
ხიკვდილისათვის თვალის ამოთხრა
მხოლოდ დედას თუ გაუბედნია.
და ქვეყანაზე ომის დაწყება,
ეს იგივეა — დედას ესვრიან.
დედა არასდროს არ დამარცხდება,
დედა სიცოცხლის დედაფესვია.
გზა არა გქონდეს, — დედის საფლავზე
მაინც არ უნდა გადაიარო
და როცა მშობელ დედას აფახებ,
შენს თავს აფასებ, ადამიანო!
დედამ დათესა ეს სილამაზე,
დახაბამიდან რასაც ეტრფიან.
ქალი ბევრია ამ ქვეყანაზე,
მაგრამ დედა კი მხოლოდ ერთია!

დამილოცეთ

საქართველო მზის ვაზია,
სავსე ხვდება ყველა მოძმეს.
შემობრძანდი, ღვთის კაცი ხარ,
ჭურ-მარანი დამილოცე!

ეს თეთნულდის თეთრი ჯიხვი
ქართულ ხუფრას ასე მოსდევს.
მამა-პაპას სწამდა იგი,
შესვი, ფუძე დამილოცე!

დამილოცე სახლის ჭერი,
ლხინისა და ჭირის მოწმე,
დამილოცე მეფე-ვაზი,
წინაპრები დამილოცე!
მეგობრებში დარჩეულო.
ღვიძლო ძმაო, სულის მომსწრევ,
დამილოცე მზის აკვანი,
საქართველო დამილოცე!

აფხაზ მეგობრებს

ენგური — ჩვენი დედამდინარე,
ჩაკონებული ეგრისის გულთან,
მიჯნა კი არა, ძმობის ნერგების
გახარებაზე ლოცულობს მუდამ.
გალმა ქართველი რომ წაიმღერებს,
გამოღმა აფხაზს სიმღერა უნდა...
სათაანჯოზე კვირტების გაშლას
დაფნის ყვავილებს უგზავნის ურთა.
გალმელს გამოღმა ხიძე ეგულვის,
გამოღმელს გალმა მოგვარე მისი.
ძმობას საძირკვლად ჰქონდა შედგმული
ნათესაობა, ხორცი და სისხლი.
ერთია ჩვენი აწმყო, წარსული
და მომავალიც ერთია ჩვენი,
ერთია ჩვენი მიწა ქართული,
ერთნაირია ოდების ჭერიც.
ერთია ჩვენი ადათი, წესი
და სიხარულიც გვქონდეს ზიარი.
ჩვენ ერთმანეთის გმირობა გვესმის
და დროშაც ერთი გვიძღვის მზიანი.

ზალვა შენგელი

კრემლის საათზე
გავასწოროთ ყველა საათი

კრემლის საათი? ის ოქროსგან არ ჩამოუსხამთ,
მაგრამ ოქროს დროს მხოლოდ იგი გვიჩვენებს ერთიც,
— არ გაიფლანგოს ბედნიერი წამიც კი უქმად! —
გვაღვიძებს მარად მოსკოვიდან საათთა ღმერთი.

აქ როცა მზეა და ზეიმობს ირგვლივ ნათება,
ამერიკაში შუაღამის არის წუვდიადი,
რა გვაქვს საერთო ჯუჯა დროის ჯანჯალ წამებთან,
როცა მსოფლიოს გაზაფხულის დგას განთიადი.

ქვეყნად ბევრია მაჩანჩალა, ჩია საათი;
დაბერებული, შემოსილი ობით და ხავსით.
დროის ამზომი დროს ჩამორჩა, დადის ტაატით, —
კრემლის საათი უბადლოა, საათი ხალხის.

დაბადებიდან იგი თრგუნავს უამინდობას,
მოსკოვის დროა ხიშაბუკე, უამი მართალი
და ეს საათი, რომელსაც სურს ქვეყნად მშვიდობა,
არის საათთა მეხაჭე და მთავარსარდალი.

იმის ძახილზე სწორდებიან საათნი მწყობრში,
რომ მოსკოვის დროს არ ჩამორჩნენ, მისდიონ მარად,
რომ ზეიმობდეს საყვარელი ყამი ოქტომბრის
ზღვაზე, ხმელეთზე, ცის ხომალდზე, მთაში და ბარად.

ყველა ნაბიჯი საბჭოეთის დიდი არმიის
მოსკოვის დროით გადადგმული, გამარჯვებული,
ორმოცდაათი დიდი წელი — ყამი განვლილი,
კრემლის საათის ისრის შუქით განათებული.

საათი ილტვის, რომ ხინათლის სახლი აშენოს
და საიმედო ფარად ექცეს ხალხის ხერხემალს,
ისარი მიხი უტრიალებს დიდ მზეს გარშემო
და დედამიწას მოელვარე ფრთებით ეხება.

ჯეგალ ზონია

1917

თვალებს ხუჭავდა ოქტომბრის ღამე
და მუქდებოდა ფერები ვერცხლის.
ვით უმაღლესი იმედი, ქარებს
პეტროგრადიდან გაჰქონდათ ცეცხლი.

მერე უეცრად დაედო ფასი
დაფებს და ბოძებს, კარებს და კედლებს
და სასოებით უმზერდა ხალხი
აფიშასავით გამოკრულ დეკრეტს.

იზეპირებდნენ სტრიქონებს წყნარად,
თან აყოლებდნენ დაკოჟრილ თითებს
და ამღლავნებდა ყოველი პწკარი
მუშის და გლეხის სანუკვარ ფიქრებს.

ნევაში შეჭრილ „ავრორას“ ზალპის
ექოდ გრგვინავდა მთაცა და ველიც...
და სავსე, ლამაზ დღეებზე ნატვრით,
მთელი მსოფლიო უსმენდა ლენინს.

რაულ ჩილაჩავა

* *

წვიმა, რომელიც აწვიმდა ეგრისს,
წვიმა, რომელიც აწვიმდა ფაზისს,
წვიმა, რომელიც ყოველი ნერგის
და ფესვუკვდავი ქართული ვაზის
იყო მალამო —
მასველებს ისევ.
ეს მერამდენედ მოვიდა თქეშად
ციხარტყელებით ამივსო სივრცე.
მე მიხარია წვეთების ცვენა,
მე მინდა მუდამ ხულ ასე წვიმდეს.

*

— კოლიზეუმი?...
— არა, ნანგრევი
ხულ სხვა დიდების,
ხულ სხვა მშვენების...
სასტიკ სადავეს ვერ იმაგრებენ
და ჭიხვინებენ ურა ცხენები.

და გზა ფლოქვებით გადანატორი
აწყდება ჯიქურ ჩაშლილ ბორანებს...
— ნამეწყერალი?...
— არა, ბატონო,
დიდი დავითის ნადიდგორალი.
სპათა ფარ-შუბებს გააქვთ ზანზარი
ამიერიდან იმიერამდი...
— ნაქალაქარი?...
— აბა რას ბრძანებთ,
სრა-ხახახლენი ციხიერადი.
ჩვენ ყველაფერი როდი დავკრძალეთ,
როდი დავაგდეთ გზა წინაპრების.
— გადავშენდებით?
— არა, ბაზალეთს
კვლავ ირწევიან ოქროს აკვნები!

ბარნის უკანასკნელი მკვიდრი

ალაყაფიდან გამოდის ეტლი
და ზანზარებენ ციხის ბურჯები,
სხვა გზა არ არის, ერთი გზის მეტი,
იმ ერთს კი ალბათ ვერ გადურჩები!
სახრჩობელებზე დარდი ჰკიდია,
გამოექეცი დარდს და შოლოდინს.
ბევრნი მოვიდნენ,
ბევრნი მოდიან,
ერთის ერთგული დარჩი ბოლომდის.
დარჩი ძვირფასი და უსახელო,
წარსულის ზღვაში მიცურავს ბარნი...
აუწევიათ ხეებს საყელო
და მზეზე უთრთით ყვითელი კანი.

ფარდა

ეს უკვე პიესა არ არის, ეს ცხოვრებაა.
ჟულიუს ფუჩიკი

მესამე ზარი...
იწევა ფარდა,
სცენის ხილვაში ქვითინებს ქალი
და ყველა ტირის იმ ქალის გარდა,
ქალს კი ხაოცრად სწყურია წყალი.
და ვერცხლის სურა,
ნანატრი სურა
მაღლა უპირავთ დაძარღვულ მკლავებს...
და ფარდის იქით ხმაურობს სული,
და ფარდის იქით ერთმანეთს კლავენ!

პაპა მახარე

არც სიძულვილი, არც საყვედური,
არც ვინმესადმი მდურვის ნასახი...
აუკიდია ზურგზე გუდურა
და ორღობეში მიდის ცახცახით.
ოა შრიალებენ ფოთლები ჭადრის,
ტოტლებს პატარა ბავშვივით სცივათ.
ხეები ეძინობენ ქარიშხალს ადრე
და განიცდიან ვითარცა ტკივილს.
მგზავრს კი სხვა რაღაც უფრო აღონებს,
ვიდრე თოვლი და ვიდრე სიცივე.
ვით ორთქლმავალი გაბმულ ვაგონებს.
ისე ეწევა წლების სიმძიმეს.
და გზას უნათებს მთვარე ახალი —
მესაიდუმლე ათასთა ბედის
და ორღობეებს სტოვებს მახარე
ცახცახით, როგორც სიმღერა გედის.

რუბენ ჩხაპლია

სოფლის სურათები

ანვიმს თხმელის ლობეს, აწვიმს ვიწრო შუკებს,
ღვარცოფები თხრილებს მიარღვევს და მიდის.
უველგან აიკრიფა დღის ხინათლე უკვე
და სოფელში წვება ბურუსი და ბინდი.
ღამე გულში იხვევს დღეს შრომაში დაღლილს
და ფერები მრუმე მდუმარებას ბადებს.
სოფელს ღამის მცველად დაუდგება ძაღლი
და დილამდე უეფით ედავება ლანდებს.
ხძინავს დაღლილ სოფელს სახიცოცხლო ძილით,
დღის ზრუნვას და ფიქრებს თბილ ბურანში შეხვევს,
რომ ლაღმა და მძლავრმა გაიღვიძოს დილით
და განთიადს ნათელს ფეხზე მდგომი შეხვდეს.

ო ლ ო რ ი

ისე გადარბის ქვებზე ჩქარ-ჩქარა,
თითქოს ფეხდაფეს მიხდევს მდევარი;
ისე ანკარა, ისე პატარა,
გულის ერთ ძარღვში ჩასატევარი.
ტანდაბორფლილი კალმახთა გროვა

ბროლის ჩქერებში ლაღად დგაფუნობს.
ოლორის პირას ქარივით მოვალ,
რომ ყველა გული მოვინახულო.

პოეტ-ჯარისკაცს

ვლადიმერ უბილავას

ქალაქში ისევ ღადგა ზაფხული.
აყვავებულა ხეთა რტოები
და უშენობით ქერდათალხული
დგას შენი ოდა განმარტოებით.
ჰოი, რამდენი წელი გასულა.
შენზე ფიქრსა და დარდებს ვუნდები;
ძმაო, ახე შორს საით წასულხარ,
ოცი წლის მერეც რომ ვერ ბრუნდები.
ოლორის პირას, გაღმა-გამოღმა
ველზე ყვავილი დაუთოვია,
მაისს მერცხლების გუნდი ჩამოჰყვა,
მათ შენი კვალი ვერ უპოვიათ.
უმისამართოდ, უდროოდ წახველ
და თან სათქმელი წაგყვა რამდენი,
მირზას საფლავი რუავკაში ვნახეთ,
შენს სამარეს კი ვერ მივაგენით.
გიხმობთ, გეძახით, ძმაო, სადა ხარ?
მოგელოდება დედის ჭაღარა,
ნეტავი ერთხელ კიდევ განახა,
შენი სამშობლო მოგამთაბარა.
ვერ მოესწარი ამ დღეთა ლიმილს,—
დუმილი ჩადგა ლერწმის ღეროში,
ომის ხანძარში დამწვარი გმირი
სიმღერად დახვალ საქართველოში.

ვახტანგ ხარჩილავა

* * *

ამ უსაშველო ზამთარს გადავრჩით
ხიფათიანი დღეებით სავსეს
და როგორც ცეცხლი მწვანე ბალახში
ნელა მიცოცავს რიურაჟი ცაზე.

უმზეოდ დიდხანს ვერ გაუგებდი
შენ, სიმართლეს და სიყვარულს კაცის
დ· მიმოდიან თეთრი ღრუბლები
აყვავებული ხეების გახწვრივ.

პროზა

რევაზიან ნორაკიძე

ეფინდო

მაღალი ღრუ ალმა-დალმა დავდიოდი მეზობლებში. სოფელში ახალი ჩასული ვიყავი და მინდოდა იმ დღესვე ყველა მენახა, ყველა მომეკითხა, ბიძიის კი ბიძია ჯაგუსთან მიესულიყავ და შისი ტაბილი საუბრისათვის მესმინა.

აგვისტოს ერძელი დღე უცებ მიილია და საღამოხანსლა ვესტუმრე ჯაგუ ბიძიას. მოხუცმა სიხარული ვერ დაფარა, ეს სიტყვაძუნწი, ეორო-ნი კაცი ბავშვივით გამხიარულდა.

აი ჩვენ, მე და ბიძია ჯაგუ, ვსხედვართ და ვმასლაათობთ. უკვე ბინ-დი დგება. დიდი, სავსე ცთვარე ოოვორლაც გარინდულა, გაყუჩებულა, თითქოს მისგან მომდინარე ხმაურს უსმენსო. ნათურას გარს უვლიან ფერად-ფერადი ღამის პეპლები. საამო ოხშივარი ასდის ქვაბიდან ახლად ამოყრილ ჭყინტ სიმინდს. ოთახში კედელზე ცოლ-ქმრის პორტრეტი ჰკიდია. ჯაგუს მკაცრი იერი გადაკრავს, ციცი, გაქვავებული სახე აქვს, არწივივით იმზირება, თითქოს სადაც არის ბრისხანედ დასჭექებსო. სათ-ნო, ნაზი სახის ქალს კი ოდნავ დაუხრია თავი და კრძალვით გამოიყუ-რება.

ეუცქერი ამ სურათს და გაოცება მიპყრობს: სად ჯაგუ და სად ეფინდო?

ჩემს გაოცებას გუმანით თუ მიხვდა:

— რამ გაგაოცა, ბიძი? — მეკითხება ჯაგუ.

— არაფერმა, ისე...

— ჩვენი ქორწინება საოცარი იყო...

ამ ქორწინებასა და ჯაგუს ახალგაზრდობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ბევრჯერ მეც მომიკრავს ყური, მაგრამ ჯაგუს ამბავი ჯაგუზე უკეთ ვის ეცოდინებოდა.

— რატომ იყო საოცარი? — ვითომც არაფერი მცოდნოდეს, ისე დავიჭირე თავი, — მიამბე რა, ჯაგუ ბიძია, მიამბე.

და ჯაგუ ბიძიამაც მიამბო:

— ახალგაზრდობაში კარგი ვაჟკაცი ვიყავი. ალაბი ვერ გამწვდებოდა მხრებზე. წელი კი აი, ასეთი მქონდა, — ცერა და საჩვენებელი თითით გაკეთებული წრე მაჩვენა. — სიმღერა მე არ მეშლებოდა, ჯირითი და ქეიფი. იმ დროის პირობაზე არც სწავლა-აღზრდა მაკლდა, სიმდიდრეც მქონდა და ჩემი შესაფერი ქალის გიმონასავი ქრისტეს პერანგი ვიხდა. სამეურნეოდან ცხენისწყლამდე დაეძებდნენ ძარებლები ჩემს საბედოს. ვის ოჯახიშვილობას ვუწუნებდი, ვის — გარეგნობას, მიზეზს რა დალევდა.

ერთხელ სოფელ ქვალონში წამიყვანეს ერთ კარგ ოჯახში ქალის სანახავად. დიდი სუფრა იყო გაშლილი. დილამდე ვილხენდით და ღილით ერთი წუთით თვალი მოვკარი მასპინძლის ქალიშვილს. არაფრად ვაძიგდია, შეორედ არც კი შემიხედავს.

გაძიმძიმებისას ავიჩემე, აქედან ისე არ წავალ, ამ დიდ ეზოს ჩემი ცხენის ნაკვალევი არ დავამჩნიო-მეთქი, და მხლებელს ცხენის მოყვანა ეუბრძანე.

მიმინოსავით ცხენი მყავდა, სულ ცეკვავდა, მოვახტი იმ ცხენს და ჭიშკრისკენ გავაქროლე. მერე სახლისკენ მოვბრუნდი, რომ მასპინძელს გამოვეთხოვებოდი. მოვატრიალე ცხენი და რას ვხედავ: მასპინძლის ქალიშვილი გულხელდაკრეფილი დგას და თვალები ცისთვის მიუპყრია. რაოდენი უმწეობა და ბედთან მორჩილება ამოვიკითხე მის თვალებში. ფრთამოტეხილ დაბუხულ ჩიტს ჰგავდა. იმის დამნახავს ეგულში რაღაც ჩამწყდა, ცხენიდან ჩამოვხტი და თანაგრძნობით თუ ალერსით მივმართე:

— ეფინდო!

ხელისგულები ერთმანეთს მიაწყო, შარცხენა მხართან მიიტანა და ზედ ლოყა მიაყრდნო. ეკლესიაში მირიხავს ასეთი ხატები.

— რა გნებავს, ბატონო!

— მე არ მიეღიარ. ჯვრისწერა უნდა დავნიშნო.

— რას ბრძანებთ! — ერთი წუთით გაუბრწყინდა სევდიანი სახე და მერე აკანკალებული ხმით დაუმატა: — არა, ბატონო, სად არწივი და სად ბეღურა.

ესა თქვა და ზურგი იბრუნა, შინ დააპირა შესვლა.

— ეფინდო, ჩემი გასაჭირი უნდა გითხრა, მინდა წინასწარ იცოდე.

— რა არის, ბატონო?

— დედა მყავს ავი, მის მოსაწონს ვერაფერს გააკეთებ, სადილს გაამზადებ თუ სუფრას გააწყობ, აუცილებლად დაგიწუნებს და ხელახლა უნდა გააკეთო. ჩვენ შიშით თვალებში შეგყურებთ, რაც ესიამოვნება, იმას გაკეთებთ, რძლები კი ვერ შეეთვისნენ, რიგრიგობით წავიდნენ სახლიდან, ცალკე დასახლდნენ. ასეთ დედამთილს აიტან, შეეგუები?

მან მშვიდად, ლიმილით შემომხედა:

— ათჯერ დამიწუნებს, მეთერთმეტედ გავაკეთებ, როგორც უნდა, ყველაფერს ისე გავაკეთებ, გველიც რომ იყოს და უბეში ჩამიძვრეს, შენი სიყვარულით მაინც მოვითმენ...

დიდი ქორწილი გაღავიხადეთ.

— მართლა ასეთი იყო დედათქვენი, ჯაგუ?

— არა, უბრალოდ, წესრიგის მოყვარული, მუყაითი ქალი იყო სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. რძალ-დედამთილს ისეთი სიამტკბილობა აქვნდათ ერთმანეთში, უკეთესი არ შეიძლება.

ეფინდო კეთილი, მშრომელი ქალი გამოდგა, ხუთი შვილი გამოზარდა. მაშინ უფრო შორს გვქონდა ჭიშკარი, როგორც კი შემოვაღებდი, ჩიტივით ჩამოფრინდებოდა და შემომეგებებოდა, თავს დამტრიალებდა. ეზოში რაიმე საწყენი რომ მომხდარიყო, უცბად არ მეტყოდა; კარგი ქალი, კუთხეში რომ მკვდარი ესვენოს, შინ დაბრუნებულ ქმარს უცბად იმასაც არ გააგებინებსო.

— თქვენ როგორლა შეეთვისეთ, ბიძია ჯაგუ, თქვენ ხომ სულ სხვანაირი ხართ?

— როგორ სხვანაირი?

— სურათზედაც ჩანს, რიხიანი, მკაცრი და გოროზი კაცი.

— მართალია, მაგრამ რამდენჯერაც არ უნდა მეწყენინებინა, სიტყვას არ შემომიბრუნებდა, კუთხეში დადგებოდა და უხმოდ ატირდებოდა, მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, ბატონოსა და „შურიგეს“ გარდა ჩვენთვის სხვა სიტყვა არ უკადრებია. ალბათ ასეთი მშვიდი ხასიათის წყალობით, მეც თანდათან გამოვიცვალე, სულ თვალებში შეგყურებდი, ყოველგვარ გულის წადილს ვუსრულებდი...

ამ საუბარში ვიყავით, რომ ჭიშკარს მანქანამ მოანათა.

ჯაგუს შვილი და რძალი ეწვია ქალაქიდან.

— ბაკშვს ხელი მოჰკიდე, — ბრძანა ქალმა.

ნიკომ მძინარე ბავშვი მანქანიდან ჩამოიყვანა.

— ბაბუ ენაცვალოს, — ჩვილისაკენ სიხარულით გასწია ჯაგუ ბიძიამ.

— ცოტა მოითმინე, ბავშვი არ გააღვიძო, — გააფრთხილა რძალმა, მერე მიუახლოვდა და ლოყაზე აკოცა მამამთილს. — ისე, როგორა ხართ?

— არა მიშავს, შვილო, თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა.

— მამა. ბავშვს თქვენ გიტოვებთ ამ ჩერჩეტთან ერთად, — თავის ქმარზე მიუთითა, — შეებულება ავაღებინე. ბავშვის მოვლა ეხერხება.

— შენ სად მიდიხარ, შვილო?

— საზღვარგარეთ, პოლონეთში. ყველამ ნახა, მე კი ამის ხელში რა ღნდა მენახა, — ისევ ქმარზე მიუთითა, — თავის შეწუხება ეზარება. მაინც თქვენი იმედი მაქვს, მამა.

— კი, შვილო, მოვუვლით, ნუ გეშინია.

— აბა ჩემისთანა უბედური ვინაა, ჩემი დედამთილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, რა მიჭირდა.

ჯაგუ ბიძიამ მე შემომხედა და როცა ჩემს თვალებში გაკვირვება ამოიკითხა, ერთი ამოიოხრა და მხრები აიჩეჩა.

მთვარე უკვე შეშაღლებულიყო, ღრუბელი გადაფარებოდა და ნათელი დაპკარგოდა.

სახლში რომ შევბრუნდით, კედელზე დაკიდებულ სურათს ერთხელ კიდევ შევავლე თვალი.

რატომღაც მომეჩვენა, რომ ეფინდო სასოებით მლოცავ ფანჯრიდან წყალავდა.

ზალვა ქვანია

კომკავშირული საგზური

ზღვისპირა სადგური უამრავი ლიანდაგით იყო დაქსელილი. აქ დღე-დაღამ შეუსვენებლივ გაისმოდა აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან ჩომაველი მატარებლების ხმაური. როგორც ყველა დიდი სადგური, ისიც ეაშველმგბით სავსე იყო მგზავრებითა და გამცილებლებით.

აგვისტოს მიწურული იდგა. უქარო, ღრუბლიანი ღღე იყო, მაგრამ ზღვაურს მაინც მოეკონდა სიცხისაგან გახურებული ლიანდაგებისა და მასუთის სუნი.

ბაქანზე ქალიშვილი იდგა და ნამუქებულ ზღვას გაპყურებდა. მისი გარეგნობა მყისვე თვალში ეცემოდა კაცს, ათას მგზავრში გამოარჩევდა. იგი სოჭიდან მომავალ მატარებელს უცდიდა. რატომღაც იფიქრებდი, რომ ჩორეული მგზავრი არ უნდა ყოფილიყო. ის, მართლაც, აქაური იყო, ზღვისპირას დაბადებული და გაზრდილი. ახლა კი, გამგზავრების წინ, უცნაური გრძნობა დაუფლებოდა. სევდიანი თვალებით გაპყურებდა მშობლიურ ქალაქს და ზღვას.

იმიტომ ხომ არა, რომ ის კომკავშირული საგზურით მიდიოდა ჰესის მშენებლობაზე მასწავლებლად და წინასწარ ღელავდა, ნეტა როგორ შეხვდებიან, როგორი იქნება მისი პირველი ღღე სკოლაში?

უცებ საგზეთო სტენდის მინაში თვალი მოკრა თავის ორეულს და უნებურად შეჩერდა, დააკვირდა. მერე მოშორდა სტენდს, მარცხენა ხელი თავზე გადაისვა და გაიფიქრა: „იქნებ სვლობდა თმა დამემოკლებინა, ახლა ძალზე მოკლე თმაა ეოდაში". მაგრამ ამაზე ფიქრი აღარ გაუგრძე-

ლებია; მატარებელი უკვე უახლოვდებოდა ბაქანს. ქალიშვილი ნელი საბიჯით მივიდა ვაგონთან. თავის კუპესკენ ძიმავალი გრძნობდა, როგორ აყოლებდნენ თვალს მგზავრები, მაგრამ ბათი მზერა აინუნში არ ჩაუგდია. ასეთ ამბავს უჩვეული არ იყო და გულგრილად სვდებოდა.

ეს გულგრილობა მას ხან კმაყოფილებას გვრიდა, ხან აშინებდა. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს იგრძნო შიში. იგი უკვე ოცდახუთ წელს იყო მიტანებული და თუმცა ბევრი თაყვანისმცემელი პყავდა, გული ვერავისთვის ვადაეხსნა. შეხედავდა ვაჟს, გირეგნობით მოეწონებოდა, გამოელაპარაკებოდა და პირველი გრძნობა იქვე კვდებოდა, აღარ ღვივდებოდა.

ამ ფიქრებში გართული იჯდა ფანჯარასთან და ზღვას გაპყურებდა. ნაპირს რომელიღაც გემი უახლოვდებოდა, მის ირგვლივ კი თოლიები დაფრინავდნენ.

ამ დროს მის კუპეში ვიღაც ვაჟი შემოვიდა, მიესალმა და იქვე, მის პირდაპირ დაჯდა.

ქალიშვილი ფანჯარაში იყურებოდა, ბაგრამ გვერდიდან მაინც ხედავდა, რომ ვაჟი აღტაცებით ათვალიერებდა, მერე სულ ოდნავ ამოიხვნეშა და იმანაც ფანჯარაში გაიხედა.

ერთ ხანს ასე ვაგრძელდა, მერე ვაჟს მოუსვენრობა დაეტყო, ჯიქურ აცქერდებოდა ქალიშვილს, ეტყობოდა, შესაფერ დროს ეძებდა გამოსალაპარაკებლად.

სულ რაღაც წამით შეხვდა მათი თვალები ერთმანეთს და ვაჟი მაშინვე გამოელაპარაკა.

— შორს მიბრძანდებით?

— არა, აქვე, საბერიოში, — მოგვიანებით, მაგრამ თავაზიანი ღიმილით უპასუხა ქალიშვილმა და მაშინვე გაიფიქრა: „დაიწყება ახლა მომაბეზრებელი დიალოგი“.

— ალბათ საბერიოდან ბრძანდებით?

— გაგრიდან გახლავართ!..

— ნათესავთან მიბრძანდებით?

— არა... სამუშაოდ მიმავლინეს.

— ექიმი იქნებით ან ინჟინერი.

— არც ერთი, არც მეორე, მასწავლებელი გახლავართ.

— მასწავლებელი? — მხიარულად წამოიძახა ვაჟმა, — მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, მაგრამ... ვინც პესის მშენებლობაზე მოდის, ყველას ყეხმარები. მით უფრო მასწავლებლებს. ეს ჩემი მოვალეობაა.

მატარებელი ზედ ზღვის პირას, რომელიღაც ბაქანთან გაჩერდა. ეკი სწრაფად წამოდგა.

— მე ახლავე დაებრუნდები.

ქალიშვილმა თვალი გააყოლა ეკის მოხდენილ ტანს, განიერ მხრებს და უსებურად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მეტად ახლობელი ადამიანის მხრებს უყურებსო.

„არ მიეკარს, შეხვედრისთანავე რომ დაგიწყებენ გამოკითხვას: „საიდან მობრძანდებით?", „სად მიბრძანდებით?" „თქვენი სახელი?" დაღლილები, რა სულწასულები არიან! ისე, ლამაზი პიკი კია, წესიერიც ჩანს".

ქალიშვილმა ფანჯარაში გაიხედა.

ღრუბლიანი დღის მიუხედავად, სანაპირო მოაგარაკეებით იყო სავსე. ვილაც ეკი ეიტაირა, ეჯრაეკი, მდგომი და გოგონას შესცქეროდა. ეტყობოდა, ეს სიმღერა იმ გოგონას ეკუთვნოდა. რა ბედნიერად ეღიმოდნენ ერთმანეთს!

ქალიშვილს შეეხარბა მათი ბედი და რატომღაც ახალგაცნობილი ეკი გაახსენდა, მასთან საუბარი მოუნდა, ის კი ოვეიანებდა.

„იქნებ სულაც არ მოვიდეს?" — სევდიანად ეაიფიქრა მან.

ეკიკში მეწერილმანეგ ჩამოიარა:

— აბა, პიტნის კანფეტი, ყინვარშაქარი! ეაშლები! ბუტერ-ბროდები!

„რა მშვენიერი თვალები აქვს ამ გამყიდველს... უცნაურია, დღეს ყველა და ყველაფერი მომწონს".

— ინებებთ, ქალიშვილო?

— ეამადლობთ, — ღიმილით გაისტუმრა.

ამ დროს ახალგაცნობილი ეკიც დაბრუნდა.

— აღარ ბეგონა თუ მოხვიდიდი, — უთხრა ქალიშვილმა და მაშინვე ტუჩზე იკბინა.

— რატომ? — გაიკვირვა ეკემ.

— ისე... რა მოგახსენო!

ამის თქმაზე მთლად გაწითლდა.

— მიირთვით.

— გმადლობთ, რატომ წუხდებოდით.

— რა შეწუხებაა, ძალიან გემრიელი ეაშლაა.

— ქებას ნახვა სჯობია, — გაიცინა.

— სახელიც არ გითქვამთ თქვენი.

— მანანა მქვია, თქვენ? — ისევ ვაწითლდა.

— მე ადამს შეძახიან.

„რა უცნაურები არიან ვაჟები, აქაოდა სილამაზე ხელს მიწყობსო. მაშინვე ცდილობენ დაახლოებას, თან ისე ღრმად არიან თავის თავში დარწმუნებულნი...“ — ვაიფიქრა და გაიღიმა.

— რატომ იცინით?

— ისე... პატიეცემულო ადამ, საბერიოში ყოფილხართ? — სიტყვა ბანზე ავიდო.

— ეს ორი წელია იქ ვცხოვრობ და ვმუშაობ.

— სასიამოვნოა, მაშ, ერთი ვზა გვქონია.

— რა თქმა უნდა, მე ვიქნები თქვენი მეგზური. აკი გითხარით, ეს ჩემი მოვალეობაა-მეთქი.

— რატომაა მოვალეობა?

— აბას თავის დროზე გაიგებთ.

მანანამ გადაიკისკისა. ვერ მიმხვდარიყო, ვაჟი რას გულისხმობდა ან მოვალეობაში.

უცებ დედა დაუდგა თვალწინ. როგორ არ უნდოდა მისი სახლიდან გაშვება, დარდობდა...

ნეტა როგორ შეეწყობა ხალხს. სკოლას, სამუშაოს. რატომ მიეშვა გული იქით, სადაც მას არავინ იცნობს, სადაც თანაგრძნობა არ ეგულება? აი, ერთ იქაურთაგანი, ურიგო ადამიანი არ ჩანს. არც რაიმე ცუდი ზრახვა უნდა ამოძრავებდეს. მაგრამ, აბა თუ ისე, თავის თავთან, თავის გულთან დედა მარტალი იყო. ვასათხოვარ ქალიშვილს ყოველთვის შეიძლება უსიამოვნება დაატყდეს თავს. ცხოვრება რთულია, იგი სულაც არ არის ისე მარტივი და პოწყობილი, როგორიც ჩვენ გვინდა.

მატარებლიდან როგორც კი ჩამოვიდნენ, მაშინვე საბერიოში მიმავალ ავტობუსს მიაშურეს.

საოცარი იყო, უნებურად მათ შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ, თვითონაც ვრძნობდნენ ამას, მაგრამ მიზეზის ვაგებას არც ერთი არ ცდილობდა.

ადამმა ორი ბილეთი აიღო და გვერდიგვერდ დასხდნენ.

ავტობუსი ლარივით სწორ, ფართო გზაზე მიჰქროდა. ფიქრებში გართული ქალიშვილი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მწვანედ შოხასხასე ეზოებს.

— მოგწონთ აქაურობა?

— ძალიან, — მიუგო ქალიშვილმა, — მაგრამ რაც ყველაზე მეტად მიყვარს, ის შორსაა.

— მაინც რა გიყვართ?

— ზღვა.

— ჰო, ეგ არაფერი, მალე საკუთარი ზღვა გვექნება.

ქალიშვილს გაეღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ავტობუსმა მოედანს შემოუარა და გაჩერდა.

პატარა დიბაში ის-ის იყო ინთებოდა ელექტრონათურები.

— მოვედით?

— დიახ, მოვედით, ჩავიდეთ. აგერ სასტუმრო და აგერ სკოლა. — ავტობუსის ფანჯრიდან ორი ახლო-ახლო მდგარი შენობა დაანახა ვაჟმა.

— სასტუმროში დაბინავდებით, ხომ? — ჰკითხა ადამმა, როცა ავტობუსიდან ჩავიდნენ.

— ჯერ სკოლაში მივალ, იქნებ დირექტორი იქ იყოს.

— დირექტორი იქ არ იქნება, მაგრამ თუ მაინცადამაინც დღესვე გნებავთ მისი ნახვა, ეს ადვილი მოსახერხებელია.

— კარგი იქნებოდა.

— ხად გინდათ ნახოთ, თავის კაბინეტში თუ?..

ქალიშვილმა ცოტა არ იყოს გაოცებით შეხედა ვაჟს და მერე მხრები აიჩეჩა:

— რა თქმა უნდა, კაბინეტში..

— წამობრძანდით.

თითქმის უხმოდ გაიარეს ასიოდე მეტრი, შეავიდნენ სკოლის შენობაში, მიწიწებით დაუთმო გზა დარაჯმა და როცა დირექტორის კაბინეტის კარს ადამმა ჯიბიდან ამოღებული გასაღები მოარგო, ქალიშვილი სახტად დარჩა, ერთბაშად კარგად ვერც გაერკვა, რაში იყო საქმე. მხოლოდ ვაჟის ღიმილმა მიახვედრა ყველაფერს.

— როგორ, დირექტორი თქვენ ბრძანდებით?

— ასე გახლავთ.

— ოჰ, მაპატიეთ, მაგრამ ეს ყველაფერი... — ქალიშვილი მთლად გაწითლდა.

— როგორ გეკადრებათ, მანანა, საპატიებელი რა გვქვია. აკი გეუბნებოდით, თქვენი მასპინძლობა უშუალოდ ჩემი მოვალეობაა-მეთქი. მაშ ასე, სკოლაში ხვალიდან მობრძანდებით, ახლა კი შეგვიძლია სასტუმროში წავიდეთ, დაღლილი იქნებით, მოისვენეთ.

...როგორც კი დირექტორს დაემშვიდობი, _ მაშინვე თავის ნომერს შიაშურა.

ხელ-პირი სახელდახელოდ დაიბანა, სარკის წინ გაჩერდა და თავის ირეულს დიდხანს, დიდხანს უყურებდა. მერე ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ სასწრაფოდ ვაიძრო ტანთ და ლოგინში შეწვა. ახლა კი შეეძლო ეფიქრა დღევანდელ დღეზე.

აი როგორი გამოდგა პირველი დღე. საკმაოდ უცნაური და ამაღელვებელი. მაინც რა მოხდა ისეთი, ასე რამ შეუფორიაქა გული? ნუთუ ამის შიზეზი გზად გადაყრილი ვაჟი იყო? კარგი ადამიანია ადამი. ნეტავ ცოლიანი თუა...

მერე რა უცბად გაუშინაურდნენ ერთმანეთს? რამდენი ასეთი შეეთხვევა ჰქონია, რამდენი უფრო ლამაზი ვაჟი შეხვედრია, მაგრამ ასე არავის დაახლოებია, გულიც ასე არ ასძგერებია... ნეტავ ცოლიანი თუა... მალე მაინც გათენდეს.

ვინ იცის, ხვალინდელი დღე როგორი იქნება!

ციალა ჟირია

რუხის ციხის საიდუმლო

(ორპოქმედებიანი პიესა სამეგრელოს წარსულიდან)

მოქმედი პირნი

დადიანი — სამეგრელოს მთავარი.
ჩიქოვანი — სამეგრელოს ჯარების სარდალი.
მარიამი — დადიანის ქალიშვილი, 14 წლისა.
ცირა — ოთარის სატრფო, მასთან ეახლოდილი.
ოთარი — რუხის ციხის მოუოავი.
მაია — ოთარის დედა.
მზია — ოთარის და.
იუსუფი — ოსმალო დამპყრობია შეთაური.
მრაველი — იუსუფისა.
ვეზირი — აფხაზეთის მთავრისა.
უნა — აფხაზი ხალხის მოციქული.
ბახვა — ოთარის მსახური.
ვამეყი — შეთქმულ აფხაზთა შეთაური.
ჭიორგი — ახალგაზრდა თავადი.
ფატმანი — იუსუფის ხანა.
ქობულეთის ბეგი.
მსახურები, კარისკაცები, შეთქმულე-
ბის მონაწილენი

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

(ოთარ აფაქიძის სახლ-კარი რუხის ციხის ახლოს. ამწვანებული ეზო, ველზე ყვავილები. გვერდით ხეივანი. ისპის ქალიშვილების კისკისი. შემორბის ცირა ყვავილებით ხელში, აპოეფარება ხეს. მოსდევს მზია. დაღლილია, სულს ძლივს ითქვამს).

მ ზ ი ა — ოჰ, როგორ დავიღალე! (ეძებს ცირას) ცირა, გამოდი, აღარ შემიძლია ამდენი სირბილი! (მოისმის ცირას ხმა: „გუ-გუ". მზია მიირბენს ხესთან, რომელსაც ცირა ამოფარებია. იქერს და ორივენი ძირს ეცემიან.)

ც ი რ ა — ეს დაღლილობის ბრალია, შენი სიმკვირცხლის კი არა. (დგება)

მ ზ ი ა — არ გედავები, როგორც გინდა ისე ჩათვალე. ოღონდ მომეშვი!

ც ი რ ა — კეთილი... მე ხომ შენსავით ჯიუტი არა ვარ. (ჯდება, გვერდით დაიყრის ყვავილებს). თუ გინდა შენ დაისვენე, მე კი საქორწინო გვირგვინს დაგიწნავ ყვავილებისგან. (იწყებს გვირგვინის წვნას).

მ ზ ი ა — საქორწინო გვირგვინს? შენი თავის ზომა აიღე!

ც ი რ ა — რატომ, მზია?

მ ზ ი ა — როგორ თუ რატომ, განა არ ვიცი, ოთარს შენი თვალების ეშხი ტვინს ურევს?!

ც ი რ ა — (შემკრთალი) ეგ საიდუმლო შენ გაგანდო?

მ ზ ი ა — ჩემთვის ეგ უკვე საიდუმლო აღარ გახლავს, თუმცა სხვებმა ჯერ არ იციან!

ც ი რ ა — სისულელეა! (არ იმჩნევს აღელვებას).

მ ზ ი ა — განგებ ამბობ. რამდენჯერ მინახავს საკუთარი თვალით... ერთხელ მარწყვი შევუტანე, ჩვენს ბაღში მოკრეფილი, გაეხარდება-მეთქი. თავზე რომ დავადექი, მხოლოდ მაშინ იგრძნო ჩემი მიახლოება... წინ შენი სურათი ედო, თავისი დახატული... დაბნეულმა შემომხედა და გამიწყრა, დაუკითხავად რად შემოხვედიო.

ც ი რ ა — (აღელვებული) მერე, რა მოხდა?

მ ზ ი ა — ნუთუ ვერ ხვდები?

ც ი რ ა — მზია, შენ ცდები. ოთარს ჩემთვის სამაგისო არაფერი უთქვამს.

მ ზ ი ა — თუ ასეა, მალე გეტყვის (ნიშნისგებით იცინის. მოისმის მაიას ხმა. ის მზიას ეძახის) ახლავე, დედი, ახლავე მოვალ... მე დედას უნდა მივეხმარო სამკურნალო ბალახების ძებნაში, შენ არ წამოხვალ?

ც ი რ ა — ვერა, მზია, ვერ წამოვალ, მე აქ დავრჩები!

მ ზ ი ა — შენი ნებაა. (გადის)

ც ი რ ა — (თითქოს ოცნებაშია) რა სთქვა მზიამ. რამდენჯერ მინახავსო თავის ოთახში... თურმე ის მეც მხატავს... ღმერთო, ნუთუ ეს სინამდვილეა? მაგრამ, არა, მე ხომ უდედმამო ვარ... თუმცა, ობლობა ოთარისთან აღარ მიგრძვნია. მისმა ყურადღებამ დამავიწყა სიბეჩავე, ობლის წილხვედრი... (ჩამოჯდება, გვირგვინს წნავს. შემოდის ოთარი, ცირას ჩუმად მიუახლოვდება, ხელს შეახებს ყვავილს, რომელსაც ცირა დასწვდა.)

ც ი რ ა — (შიშნარევი ხმით) ოთარ!

ო თ ა რ ი — რა იყო, ცირა, რამ შეგაშინა?

ც ი რ ა — აღარ გელოდი და მიტომ შევკრთი. (ხელში აწვალებს გვირგვინს.)

ო თ ა რ ი — ვისთვის ამზადებ ასე სათუთად ამ უცხო გვირგვინს?

ც ი რ ა — მზიას შევპირდი!

ოთარი — მე კი მეგონა, შენთვის წნავდი... მაგრამ შენი ნატიფი სახე მაგ ყვავილებს გაახუნებს, ფერს დაუკარგავს.

ცირა — დამცინი, ოთარ?

ოთარი — არა, ცირა!.. მგოსნები ხშირად ტურფა ასულს ვარდს ადარებენ, ხან მორცხვ მიმოზას, ხან ნაზ ია... მე რომ მკითხონ, ვერც ერთ მათგანს ვერ დავადარებდი სათუთ ფერიას, ზღვის ტალღებზე მოცურავეს, ოქროსთმიანს.

ცირა — (აწყვეტინებს) ოქროსთმიანს?

ოთარი — თმის ფერს რაღა მნიშვნელობა აქვს, ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. სასურველო... (გვერდით მოუჯდება) გამდელისაგან გამიგონია. ზღვაზე ხშირად გამოჩნდებაო მზეთუნახავი, ნათელი სვეტად ადგასო თავზე და გიშრის თვალების ელვარება მეზღვაურებს აჯადოვებსო.

ცირა — შენ თუ გინახავს ოდესმე იგი?

ოთარი — არასოდეს არ შემხვედრია, თუმცა ბევრჯერ ვყოფილვარ ზღვაზე... რა კარგია იქ სეირნობა შეღამებისას...

ცირა — (გამომცდელად) მარტოდმარტო?

ოთარი — არა, ცირა, გულის სწორთან. მარტოს ყოველგვარი ბედნიერება მოგწყინდება. (მიუახლოვდება, აღტაცებით ჩასცქერის. მოისმის ბახვას ხმა. ორივენი წამოდგებიან. შემოდის ბახვა).

ბახვა — მოურავო, დადიანი გეახლათ, ციხეს ათვალიერებს, აგერ თვითონაც მობრძანდება! (შემოდის კაცია დადიანი. შეცბუნებული ცირა განზე გადგება. ოთარი შეეგებება მთავარს).

დადიანი — ოთარ, სამოთხის ბაღში ისვენებ სწორედ... (დააკვირდება ცირას) ეგ ცირაა, გიორგის შვილი?

ოთარი — დიახ, მთავარო, ცირაა, გიორგის შვილი!

დადიანი — როგორ გაზრდილა, დამშვენებულა. (მივა ახლოს, თავს აუწევს) აბა. ერთი შემომხედე, ტურფა ასულო! დედას დამსგავსებიხარ თვალმშვენიერი! (ცირა თავს უკრავს და გადის. დადიანი თავისთვის:) ეგ მართლაც რომ აღმოჩენაა. ამის ბადალს ოდიშის მხარეს ვიღას ვიპოვით! (ოთარს) ჩემო ოთარ, საქმე მაქვს შენთან, მოდი. დავსხდეთ! (ორივენი ჩამოსხდებიან. სინათლე ქრება. პაუზის შემდეგ ისევ ნათდება სცენა. ხის ქვეშ სუფრა გაუშლია ბახვას. იქვე ზის ოთარი ყანწით ხელში. შემთვრალია).

ოთარი — (გაუწვდის ყანწს ბახვას) კიდევ დამისხი! (ბახვა უსხამს ღვინოს. ოთარი სვამს) ერთი კიდევ (ისევ გაუწვდის ყანწს).

ბახვა — რას ჩადიხართ, ამდენი ღვინო გაწყენთ!

ოთარი — დაე, მაწყინოს... ეგ ახლა ჩემთვის უკვდავების წყაროა, ყველა მკურნალზე უკეთესი... ღამისხი-მეთქი! (ბახვა ისევ უსხამს ღვინოს. ოთარი გადაჰკრავს) იუსუფ-ფაშა თავდასხმას აპირებს ოდიშზე! როგორ გგონია, ვის შეუძლია გაუსწორდეს მრისხანე სარდალს: მით უმეტეს, რომ მხარს უმაგრებს მთელი ოურქეთი! ის ხომ სულთანის ნებით მოქმედებს.

ბახვა — მას სხვა დროსაც უმოქმედია სულთანის ნებით, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავარდნია. ახლაც, ვფიქრობ, ასე მოხდება.

ოთარი — რას ამბობ, ბახვა, მაგაზე ფიქრი ხედმეტია... მისი ძალა ჩვენსას ათჯერ აღემატება... ახლა მხოლოდ ხერხი თუ გასჭრის. ჭკვიანი კაცი შემთხვევით უნდა სარგებლობდეს. მოგეხსენება, ომი ზოგჯერ ადამიანს ამდიდრებს კიდეც და უძლეველსაც ხდის!

ბახვა — რა თქმა უნდა, თუ ეაქკაცობას გამოიჩენს ბრძოლის ველზე.

ოთარი — (დაცინვით) ეგ ძალიან ძვირი დაჯდება. არსებობს სხვა გზა, უფრო კარგი, უმტკივნეულო.

ბახვა — არ გამეგება, რა გზაზე ბრძანებთ, მოურავო?

ოთარი — (ბოლთას სცემს) როგორ ვერ მიხვდი, იუსუფ-ფაშას მონადირება, დიდება, ნდობა.

ბახვა — მტრის მხარეზე გადასვლა?

ოთარი — თუნდაც ასე იყოს!

ბახვა — მერედა, ეგ ხომ ღალატია?

ოთარი — გააჩნია ვისთვისაა ღალატი...

ბახვა — (თავისთვის) ხომ არ შეირყა ეს უბედური?

ოთარი — ღალატი იმათთვის იქნება, ვინც დამარცხდება, იმათ კი ვინც გაიმარჯვებს, პირიქით, დაეხმარება. ჰოდა... მე მომელის პატივი, უხვი საჩუქარი, იუსუფ-ფაშას მოწყალე გული... ჩემო ბახვა. თუ არ გაბედე, ისე ვერაფერს მოიგებ.

ბახვა — თავადო, ეგ უკადრისი გრძნობა როგორ გაივლეთ გულში, მთავრის ოჯახში გაიზარდეთ. შვილობილი ხართ ღადიანისა!

ოთარი — შვილობილი! რაღად მინდა მთავრის თუნდაც ეგ დიდი ნდობა, ცარიელი, მშლე და მქისი. მითხარ, რაში გამომადგება?

ბახვა — მოურავო, არ მომწონს თქვენი სიტყვები. თუ ღმერთი გწამთ, ჩემს სინდისს ნულარ შელახავთ, დამცინით?

ოთარი — რატომ გგონია... (ჩაფიქრებული) რასაც ვამბობ, სრული ჭეშმარიტებაა, უკვე წინასწარ გაზომილი, მაგრამ ამაზე კრინტი არავისთან დაძრა. ამ სალამოს უნდა წავიდე. ახლავე თადარიგს შეუდექი. იცოდე, ქალი გვეყოლება წასაყვანი. (ბახვა შეაჩერდება).

ბახვა — მერე, ვინ უნდა წაიყვანო?

ოთარი — ეგ მე ვიცი!

ბახვა — მითხარით, ოთარ, ეს სამიწე გული ცუდსა გრძნობს.

ოთარი — რას ჩამციებიხარ, მოხუცო, ვინ და ცირა!

ბახვა — (შეშფოთებული) ხომ არ გაგიჟდი!

ოთარი — ვითომ რატომაო?

ბახვა — შენ ის გიყვარს, მასაც უყვარხარ!

ოთარი — ვინ მოგახსენა... ხა... ხა... ხა... რა დროს სიყვარულია. რას მიქვიან ქალის ტრფობა... იუსუფ-ფაშას და თურქეთის ნდობა მის ტრფობას არ აღემატება? ცირასთანას მრავალს ვიპოვნი, ასეთ შემთხვევას კი ვერასოდეს ვეღარ ჩავიგდებ.

ბახვა — ათი წლის წინათ მამამისი ტყვიამ განგმირა ბრძოლის ველზე, მომაკვდავმა შენ ჩაგაბარა მისი ასული. შენც შეჰფიცე, რომ უპატრონებდი უდედმამოს და აღზრდიდი ღვიძლ დასთან ერთად. ცირა თქვენს თვალწინ გაიზარდა და გაიფურჩქნა, როგორც ზღაპრული უცხო ყვავილი.

ოთარი — (ჩაფიქრებული სიტყვას აწყვეტინებს) მისი სურნელი ვის არ დაათრობს... იხილავს თუ არა იუსუფ-ფაშა, წამსვე ტრფობის ბადეში გაეხვევა და მადლობას მეტყვის საჩუქრისათვის... (მწარედ) მადლობას... ხა-ხა-ხა! (გადის ბახვასთან ერთად. მოისმის მაიასა და მზიას ხმა. პაუზის შემდეგ შემოდიან მაია, მზია და ცირა).

მაია — თქვე კუდრაჭებო, როგორ დამღალეთ. თქვენთან გატოლება მე, აბა როგორ შემიძლია.

მზია — ახალგაზრდობა გაგახსენეთ. (ჩამოსხდებიან და არჩევენ ბალახს).

ცირა — გამზრდელო, გეიამბე რამე ძველი ამბავი!

მ ა ი ა — სად მახსოვს, შვილო, რაც ვიცოდი, თითქმის ყველაფერი უკვე გიამბეთ.

მ ზ ი ა — დედი, მზეთუნახავისა და გველეშაპის ამბავი მოგვიყევი.

მ ა ი ა — ეგ ხომ იცით.

მ ზ ი ა — არა, დედი, დაგვავიწყდა, ისევ გვიამბე! (ყელზე შემოეხვევა და კოცნის).

მ ა ი ა — კარგი, გეყოფათ, ნუ დამახრჩეთ!

მ ზ ი ა — მაშ, მოგვიყევი!

მ ა ი ა — ოხ, შე გიჟო, დაუდეგარო! (იწყებს მოყოლას. მზია და ცირა ახლოს მიიწევენ).

...იყო ერთი მეფე, კეთილი და გონიერი, უხვი და მოწყალე. ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ნიავსაც არ აკარებდა... ცხოვრობდნენ უზრუნველად... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გველეშაპის სამეფოდან მეფეს შიკრიკი მოუვიდა, მზეთუნახავის ხელს სთხოვდნენ; გველეშაპი უთვლიდა: ან ქალიშვილი გამომიგზავნე, ან არადა თქვენს ქვეყანას ავაოხრებ, გავაჩანაგებ და ერთნაირად ამოგწყვეტთო. მეფე საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდა, რა ექნა. (შემოდის ბახვა, ისიც უსმენს) დათქმულ დროს გველეშაპმა ისევ გამოუგზავნა მეფეს შიკრიკი. მამამ საიდუმლო ქალიშვილს გაანდო. მზეთუნახავი ცრემლებად დაიღვარა... საწყალი მწარედ მოსთქვამდა, მშველელს უხმობდა, მაგრამ ამაოდ!

ბოლოს ძალა მოიკრიბა და მამას უთხრა, წავალ გველეშაპთან, ვინძლო ქვეყანა ცეცხლსა და მახვილს გადაურჩესო.

ბ ა ხ ვ ა — უჰ, რა ჭკვიანი ყოფილა მამაცხონებული!

მ ზ ი ა — ნუ უშლი, ძია ბახვა. მერე. დედი?

მ ა ი ა — ჰოდა, გააგზავნეს გველეშაპთან. უწმინდურს პირზე ნერწყვი მოადგა, ტურფა ასული რომ იხილა, ბრძანა, საწოლში მომგვარეთო, მზეთუნახავმა კი, როგორც დრო იხელთა, მაშინვე წაიძრო ბეჭედი და ზურმუხტის თვალი მოსწუწნა... თურმე შიგ საწამლავი ჰქონოდა... დაეწყო საშინელი ტკივილები, იტანჯებოდა მარტოდმარტო...

მ ზ ი ა — ვერავინ ნახა, ვეღარ მიუსწრეს?!

მ ა ი ა — მიუსწრეს, მაგრამ გვიანღა იყო, უკვე სულს ღაფავდა.

ბ ა ხ ვ ა — ყოჩაღ, გველეშაპთან წილნაყარ სიცოცხლეს სწორედ რომ სიკვდილი სჯობდა!

ც ი რ ა — მართლა რა ვაჟკაცურად მოქცეულა მზეთუნახავი. გამზრდელო, ასეთი რამ სინამდვილეში თუ შეიძლება მოხდეს?!

მ ზ ი ა — რა ვიცი, შვილო. გამიგონია, ბევრ ქართველ ქალს შეუწირავს სამშობლოსთვის ყმაწვილქალობა.

ბ ა ხ ვ ა — ეგ არაკი ხომ ხალხის შექმნილია, მას სიმართლე უძევს საფუძვლად.

მ ა ი ა — ბახვა, ოთარი არ მოსულა?

ბ ა ხ ვ ა — კარგა ხანია, რაც მობრძანდა!

მ ა ი ა — მერე სად არის, რატომ აღარ მეჩვენება. ასე რომ არ იცოდა?!

ბ ა ხ ვ ა — არ იცოდა... მაგრამ ახლა ღრმა აზრებს შეუპყრია, ვერ გადაუჭრია საქვეყნო საქმე და ამიტომაც ცოტათი შეუძლოდ ბრძანდება. (შეშფოთებული მზია და ცირა ზეზე წამოიჭრებიან).

მ ზ ი ა — რა სთქვი, ძია ბახვა, ოთარი შეუძლოდაა?

ბ ა ხ ვ ა — ნუ დარდობ, ისე კარგად არის, მაგრამ დაწყობილად ვერ ლაპარაკობს.

მ ა ი ა — ეგ რას ნიშნავს?

ბ ა ხ ვ ა — იმას, რომ გადავგვარდით, დღეს აღარავინ არ არის სანდო. (შეამჩნევს მათკენ მომავალ ოთარს) აგერ თვითონაც მობრძანდება. (შემოდის ოთარი მოწყენილი, გაფითრებული).

მ ა ი ა — (მიეგებება) მოხვედი, შვილო? რაღაც ფერმკრთალი მეჩვენები, ცუდად ხომ არ გრძნობ თავს, გენაცვალე?

ო თ ა რ ი — არაფერია, დედაჩემო, მკლავი ვიღრძე ამ დილით და საშინლად მტეხავს... კარგი იქნება. თუ მალამოს მომიმზადებ.

მ ა ი ა — ახლავე, შვილო! მზია, წამოდი, მომეხმარე. (მაია და მზია გადიან. მზიას გააქვს ყალათა).

ო თ ა რ ი — ბახვა, ჩემს ჯეირანს მიხედე, მგონი ნატყვიარი ასტკივდა.

ბ ა ხ ვ ა — რატომ აქამდე არ ვიცოდი? თუ ასეა, ეუმკურნალებ! (გადის. ცირაც აპირებს გასვლას).

ო თ ა რ ი — ცირა, შენ დარჩი, საქმე მაქვს შენთან!

ც ი რ ა — ბრძანეთ!

ო თ ა რ ი — ცირა, შენ უკვე თექვსმეტი წელი შეგისრულდა. როგორც გამზრდელმა, უნდა ვიზრუნო შენზე.

ц и р а — როგორც გამზრდელმა?

ო თ ა რ ი — (თვალს ვერ უსწორებს) ამას ვერაფინ უარყოფს. მე ერთგულად ვზრუნავდი შენთვის, ცივ ნიავს არ გაკარებდი. უკვე დადგა ბუდიდან შენი აფრენის დრო... გადავწყვიტე, სადედოფლოდ გაგამზადო და მიგგვარო...

ც ი რ ა — (გაოცებული) მერე და ვის?

ო თ ა რ ი — დიდებულ იუსუფ-ფაშას!

ц и р а — ღმერთო ჩემო, ეგ რა მესმის! ხუმრობ თუ მართალს ამბობ? უმჯობესია თავი მოვიკლა, ვინემ მუსულმანს ხასად გავუხდე.

ო თ ა რ ი — რას ამბობ, ცირა! შენ ჯერ ბავშვი ხარ. არ იცი, რა დიდება და პატივი მოგელის. დედოფლობა შენ ხუმრობა ხომ არ გგონია? შენს წინაშე ათასობით ადამიანი მოიყრის მუხლს... მაშინ შენც შეგეძლება გამზრდელს მიხედო და უხვად დაასაჩუქრო.

ц и р а — დავასაჩუქრო? მერედა რისთვის, ჩემი გასაჩუქრებისათვის? მართალია, მე ობოლი ვარ და შენ შეგიძლია მიმეყიდო ყველას, ვისაც ისურვებ... მაგრამ რისთვის, რა დავაშავე მე უბედურმა. რისთვის შემრისხე?.. (მუდარით) ოთარ, მომხედე მე უბედურს, შენთან დამტოვე... გემუდარები!

ო თ ა რ ი — ცირა, ძვირფასო, ეგრე ნუ ამბობ! განა მე შენთვის აუგს ვისურვებ? შენ დიდებას მოიპოვებ, ცირა!

ц и р а — არ მსურს დიდება. რაღას ვაქნევ თვალმარგალიტებს, თუკი ჩემს ტოლებს მომაშორებ. უმჯობესია ვიმათხოვრო, ვინემ ნამუსი შევირცხვინო. (ფერხთით ჩაუვარდება) ოთარ, ობოლი შეიბრალე... ვინ გამაჩნია ქვეყნად შენს მეტი. ვინღა მომხედავს მე საბრალოს.

ო თ ა რ ი — გეყოფა, ცირა! ნუ ეცდები თავი შემაბრალო. უმჯობესია, გასამგზავრებლად მოემზადო. (ცირა ქვითინებს. შეშოდიან მაია და მზია).

მ ა ი ა — შვილო, მალამო მოგიმზადე! (შეამჩნევს ცირას) რა ამბავია? ოთარ, რას ნიშნავს ცირას ცრემლები?!

ო თ ა რ ი — არაფერია, დედაჩემო, ეგ სიხარულის ცრემლებია. ხვალ ცირა იუსუფ-ფაშას უნდა მივგვარო. მოამზადეთ ყველაფერი, რაც სამგზავროდ დასჭირდება. დღესვე მივდივართ.

მ ზ ი ა — იუსუფ-ფაშას?

მ ა ი ა — რაები მესმის, არაფერი გამეგება.

ц и р ა — ოთარი მართალს ამბობს, გამზრდელო! დაუნდობელ მუსულმანს უძღვნის ჩემს თავს.

მ ა ი ა — მხარი რამ გიქცია, უღირსო შვილო! როგორ გაბედე ობოლი ქალის შეურაცხყოფა! ნუთუ აგრე გადამიხადე ამაგი? ან მთავარს რალას ეუბნები?

ო თ ა რ ი — ჩემი თავის უფროსი მე ვარ, მთავარს რას ვეტყვი... არ მსურს მისი ქვეშევრდომობა, მორჩა, გათავდა!

მ ა ი ა — მამა-პაპათა შემარცხვენელო, ამას რას ამბობ?

ზ ზ ი ა — გგონია ცირას დაგანებებთ? ჩვენ მას დავიცავთ!

ო თ ა რ ი — შენ დაიცავ, ჩიტირეკიავ? მერე და რითი?.. ხმა. კრინტი აღარ გამგონოთ, თორემ ვუბრძანებ ხაჯალურით დაგაბან.

მ ა ი ა — უსირცხვილოვ, რაღას ელოდები, წადი, უბრძანე!

ო თ ა რ ი — არ იფიქრო, შენს ჭაღარას დავერიდები!

მ ა ი ა — ოხ, გული, გული! (მზია და ცირა მივარდებიან).

მ ზ ი ა — დაწყნარდი, დედი!

მ ა ი ა — ნეტავ მიწა გამოსკდებოდეს და თან ჩამიტანდეს... შვილი მყავდა მეგონა და ვამაყობდი... (ხელებაპყრობილი) ღმერთო, შენ იყავ ობლის მფარველი, შენი კალთა გადმოაფარე უდედმამოს, მოღალატეს კი მიუზღე სამაგიერო.

(ფ ა რ დ ა)

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

(დიდი ჭადარი სამეგრელოს მთავრის სასახლის წინ, ჭადრის ძირას ქვატახტია. შორს მოჩანს რუხის ციხის ქონგურები და სათანჯო. შემოდიან მარიამი და გიორგი).

მ ა რ ი ა მ ი — რა კარგია ცხენით ჯირითი, იცი? მე ნადირობაც მიყვარს. მამას ვთხოვ, როცა სანადიროდ წავა, მეც წამიყვანოს.

გ ი ო რ გ ი — ქალბატონო, მთავარს თქვენ ძალიან უყვარხართ, უარს არ გეტყვით.

მ ა რ ი ა მ ი — უარს? ხა-ხა-ხა! კიდეც რომ მითხრას, მე მაინც წავალ...

შენ კი ქალბატონს ნუ მეძახი (ჯდება საქანელაზე და მძლავრად აქანებს).

გ ი ო რ გ ი — რატომ, მარიამ?

მ ა რ ი ა მ — იმიტომ, რომ მე არ მსურს... მესმის, გათხოვილი ვიყო...

გ ი ო რ გ ი — ძალიან გინდა გათხოვება?

მ ა რ ი ა მ ი — ჯერ რა დროს ჩემი გათხოვებაა, ეს ისე ვთქვი.

გ ი ო რ გ ი — მაშამ რომ გიბრძანოს, რას იზამ?

მ ა რ ი ა მ ი — ვინც მე მინდა, იმას გავყვები მხოლოდ. (შეჩერდება) შენ, შენ რას იზამდი, გიორგი?

გ ი ო რ გ ი — მეც, მარიამ, ვინც მიყვარს, მხოლოდ იმას შევირთავდი.

მ ა რ ი ა მ ი — მერე?

გ ი ო რ გ ი — ვიცხოვრებდით ერთად ტკბილად, ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებდი.

მ ა რ ი ა მ ი — (გადაიკისკისებს და გაქანდება) შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ზენაარ გრძნობას ჰყავხარ შეპყრობილი.

გ ი ო რ გ ი — შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ...

მ ა რ ი ა მ ი — გეშინია, გიორგი. (იცინის) უცნაური ხარ, შენი ძალ-ღონით თავი მოგაქვს, ვეფხვს არ უფრთხი ულრან ტყეში და სუსტმა ქალმა ენა დაგიბა?

გ ი ო რ გ ი — ის სუსტი ქალი რატომ ათ ვეფხვს არ შევდრება.

მ ა რ ი ა მ ი — გატყობ, სათუთი გული გქონია.

გ ი ო რ გ ი — სათუთ გრძნობას სათუთი გული შეეფერება.

მ ა რ ი ა მ ი — ხა-ხა-ხა! მეოცნებევ, რა დროს გულჩვილობაა, (ჩამოდის საქანელადან) საომრად უნდა მოემზადო!

გ ი ო რ გ ი — სიყვარული ხომ ბრძოლის უნარს მომანიჭებს, უძლეველს გამხდის.

მ ა რ ი ა მ ი — მამა მოდის... დავიმალოთ! (მარიამი გადის, შემოდიან დადიანი და ჩიქოვანი).

დ ა დ ი ა ნ ი — რა მუხთალია ადამიანი, რაკი განიზრახავს განდიდებას მზაკვრობითა და გაიძვერობით, გულში მხოლოდ ის აზრი უძევს. გაგცეს, გაგწიროს!

გ ი ო რ გ ი — ამას ვისზე ბრძანებთ, მთავარო?

დ ა დ ი ა ნ ი — ჩემს თვალსწინ გაიზარდა თავადი ოთარ აფაქიძე, მამასავით ვზრუნავდი მასზე. სიობლესა და სიბეჩავეს საკუთარი ხელით გამოვგლიჯე. მივეცი მამული, ვუბოძე ციხის უფროსობა, ამდენი სიკეთის

სანაცვლოდ კი გაიძვერამ მტრულად მომიზღო. იუსუფ-ფაშას შეუერთდა და ყოველივე საიდუმლო გასცა.

გ ი ო რ გ ი — როგორ, მთავარო, ოთარმა გვიმტრო?

ღ ა დ ი ა ნ ი — გვიმტრო და როგორ, დაამცირა ჩვენი სახელი.

გ ი ო რ გ ი — ნეტა ერთი მანახა, მე ეუჩვენებდი, როგორ უნდა ღალატი!

დ ა დ ი ა ნ ი — სარდალო, ახლავე შეიპყარი ოთარის სახლობა, ციხეში ჩასვი.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მესმის, მთავარო.

ღ ა დ ი ა ნ ი — სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ მოღალატენი.. .როცა ოთარი დედისა და დის დატყვევებას გაიგებს, შეიძლება კიდეც დაგვნებდეს. თუ არადა, სხვამ მაინც უნდა ისწავლოს ჭკუა. (მოესმის მარიამის ხმა, ის გიორგის ეძახის. დადიანი ნებას რთავს მას, გაეიდეს).

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ჩვენი გზირი იგვიანებს, ნუთუ მეფე დახმარების წინააღმდეგია... რატომ აქამდის არ გადაწყვიტა?

ღ ა დ ი ა ნ ი — იმერეთიდან მოვიდა ცნობა. მეფის წიგნი მოკლეა, მაგრამ ბევრის მთქმელი, თან ჭკვიანური გამოცანა. მეგობრულ ხელს გაიწვდის სოლომონი, დილიდან მერამდენედ ეკითხულობ მის წიგნს, მაგრამ მეფის გულისთქმას ვერ მივმხვდარვარ... დახმარება, მაგრამ როდის... დრო არ ითმენს. (აწვდის წერილს) წაიკითხე, იქნებ სარდალმა უკეთ გაიგოს.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — (კითხულობს) ეს თითქოს ყველაფერია და თან არაფერიც.

ღ ა დ ი ა ნ ი — ჩანს არ სურდა სოლომონ მეფეს ქაღალდისთვის გაენდო დახმარების გეგმა.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — რა მიზეზით?

დ ა დ ი ა ნ ი — სიფრთხილის გამო, შესაძლოა მან სხვა ვინმე გამოგზავნოს.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — რომ არავინ ჩანს?.. ხმები მოდის, თითქოს მეფეს ქობულეთის ბეგი ეახლა!

ღ ა დ ი ა ნ ი — ის ხომ სულთანის გოშიაა, უეჭველად ეცდებოდა იმერეთის მიმხრობას.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ურიცხვი ძღვენი მიურთმევია სოლომონისთვის: 10000 ოქრო, მრავალჯერ ომში დაცდილი ბედაური, თანაც თურმე ჩაქვი და აჭარა შეუთავაზებია ახალციხემდე. ბეგს ურჩევია მეფისთვის, არ

დაეკარგა სულთანის მოწყალე გული, მაგრამ სოლომონს საჩუქრისთვის მადლობა მოუხსენებია და ყოველივე უკან დაუბრუნებია.

დ ა დ ი ა ნ ი — ეს ხომ ჩვენი მზარდაჭერაა... იცი, მე რა მაფიქრებს? სანდო პირმა გადმომცა, სოლომონი სულთანთან შესახვედრად ემზადებაო... იქნებ სიმართლე იყოს.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — იქნებ სოლომონს მოაგონდა წარსული ბზარი ჩვენს შორის და ორეოფობს.

დ ა დ ი ა ნ ი — ეგ არ მოხდება, ბევრჯერ ძმებიც წაჩხუბებულან, ღვიძლი ძმები, მაგრამ მტერთან ბრძოლაში ისევ ძმებად დარჩენილან.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — გვაქვს საფუძველი აგრე ვიფიქროთ. მაშ რას ნიშნავს ლოდინი იმ დროს, როცა მტერი კარს მოგვდგომია.

დ ა დ ი ა ნ ი — (ჩაფიქრებული) არ გვასვენებენ ურჯულოები. სურთ აგვაოხრონ, გაგვაჩანაგონ. გაახრიოკონ აქაურობა, უთანასწორო ომში ჩაგვაბან!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — უთანასწორო ბრძოლა თითქოს ჩვენი ხვედრია, მაგრამ მტერი მუდამ გვიძლევია.

დ ა დ ი ა ნ ი — აფხაზეთი ჩვენთანაა, მათ დიდი ხანია მოსწყინდათ ოსმალო ფაშების პარპაში.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — დამპყრობელი ვის ჰყვარებია, რომ აფხაზებმა შეიყვარონ. ამბობენ, აფხაზმა ხალხმა ტყვეობიდან იხსნაო თავისი საყვარელი ბელადი, მამაცი და დაუდეგარი ვამეყი.

დ ა დ ი ა ნ ი — მისი კაცები ჩემთან იყვნენ, ისინი ჩვენთან იქნებიან.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ამიტომაც ვერ აღსრულდება ბნელი სურვილი! (შემოდის კარისკაცი)

კ ა რ ი ს კ ა ც ი — მთავარო, ივერთა მეფის მდივან-მწიგნობარი გეახლათ!

დ ა დ ი ა ნ ი — მდივან-მწიგნობარი?

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — სოლომონმა ხომ ამ ადგილზე გაბაშვილი დანიშნა?

დ ა დ ი ა ნ ი — ერეკლეს სახლიდან განდევნილი... ენას უქებენ იმ ყმაწვილკაცს.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ვეჭვობ, ბულბული მებრძოლად გამოგვადგეს.

დ ა დ ი ა ნ ი — რატომ? მსმენია, რომ იგი დესპანად იყო სპარსეთს, ჩრდილოეთშიაც უმოგზაურია. საპატიო მოვალეობის შესრულება მეფემ, ჩანს, მხოლოდ მას დააკისრა. წავიდეთ, ვნახოთ, რა ამბავი ჩამოგვიტანა! (გადიან. შემოდის ბახვა მარიამისა და გიორგის თანხლებით).

ბ ა ხ ვ ა — შვილებო, შეხეთ ამ ციხის კედლებს, თავს რომ დაგვცქერის.

ვინ იცის, რამდენი ცხარე ბრძოლის მოწმეა იგი. ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილთ აქ დაუღვრიათ წმინდა სისხლი.

მ ა რ ი ა მ ი — ძია ბახვა, სულ ოსმალეთი, ოსმალეთიო, რომ გვეუბნები, რაღას გვერჩოდნენ, ხომ არ გვეშართა მათი რამე?

ბ ა ხ ვ ა — ხედავთ ამ ლაჟვარდს?.. ამწვანებული მთა-ველები, კამკამა მდინარეები, საშოთხის ბაღი საქართველო, აი, რისი წართმევა სურდათ.

გ ი ო რ გ ი — ამგვარ ნათქვამს ვეღარ ვუძლებ, რაღაც გული მეკუმშება... ჯერ არ გავსულვარ ბრძოლის ველზე, ბალღი ხარო მეუბნებიან... უკვე ჩვიდმეტი შემისრულდა, მსურს მტერი ჩემის ხელით ავკაფო, ხმალი გულადად დავატრიალო.

ბ ა ხ ვ ა — მაგის დროც მალე დადგება... კვლავ პირქუშად იღრინება ოსმალო, კოლხეთის მხარე მონატრებია... ცუდი ხმები დადის, ცუდი! ღღეს დადიანთან იმერთა მეფის მდივან-მწიგნობარი ჩამოვიდა, ოთარ აფაქიძე კი მტერს ეახლა!

გ ი ო რ გ ი — ციხის უფროსი მაინც არ იყოს!

მ ა რ ი ა მ ი — როგორ გაბედა!

ბ ა ხ ვ ა — ცხოვრება, შვილო, ამოუხსნელი ამოცანაა... საწყალი ქალი მეცოდება, საბრალო ცირა!

მ ა რ ი ა მ ი — რატომ წაჰყვა, რად დაეთანხმა?

ბ ა ხ ვ ა — განა თანხმობით წაიყვანა, მისი ცრემლები ზღვას ერთეოდა, მაგრამ ამოდ, გულქვა ადამიანმა თავისი გაიტანა.

მ ა რ ი ა მ ი — ოთარის დედა და და კი ციხეში ჩასვეს. მერე და რისთვის? ეგ სადაური სამართალია? შესმის, თეითონ ის შეკოჭილი ჩამოიყვანონ და შეარცხვინონ შესაფერისად.

ბ ა ხ ვ ა — შენ ჯერ ბალღი ხარ. საქვეყნო საქმე დროსტარება და თამაში ნუ გგონია. ღღეს თუ ხვალ ბრძოლა დაიწყება, მტერი თავს დაგვესხმის, ოთარი კი მათ მხარს დაუმშვენებს, დაეხმარება ჩვენს წინააღმდეგ.

მ ა რ ი ა მ ი — რომ შემეძლოს ცირას დახსნა, არაფერს დავიშურებდი, მაგრამ რომ არ ძალმიძს, ძია ბახვა.

ბ ა ხ ვ ა — ცირას დახსნა თეით ქრისტე ღვერთსაც არ შეუძლია, იდიდოს მისი სახელი!.. რუხის ველზე კარავს აგებენ, უნდა ვნახო!

გ ი ო რ გ ი — მეც წამოვალ, ძია ბახვა.

მ ა რ ი ა მ ი — თუ შეიძლება, მეც გამოგყვებით.

ბ ა ხ ვ ა — რატომაც არა. წავიდეთ, შვილებო!

(ფ ა რ დ ა)

მოქმედება მეორე

სურათი მესამე

(მოქმედება ხდება აფხაზეთში. მდიდრულად მორთულ დარბაზში ზის იესუფ-ფაშა, გვერდით უდგას თურქი მრჩეველი და ელჩი).

ი უ ს უ ფ ი — დიდ არს ალაჰი, ჩვენ ყველანი მისი მონა ვართ... სულთანი საყვედურს მითვლის, რომ აქამდე ვერ შევასხი მის სურვილს ფრთები. დაყოვნება ზიანს მოგვიტანს. სამეგრელო უნდა დავიპყროთ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს!

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — ჩვენს ძლიერებასთან ეს ერთი ციცქნა კუთხე რა სახსენებელია, ჩვენი ლაშქარი მას ერთი შეტევით დაისაკუთრებს.

ი უ ს უ ფ ი — აჩქარებით საქმე წახდება. ჩვენი ლაშქარი დადიანისას ბევრად აღემატება, მაგრამ საქმეს ეს არ შველის. თუ ვერაგი სოლომონ მეფე დადიანს შეშველად აღმოუჩნდა, საქმე ორ სამთავროსთან გექნება და მაშინ კი სიფრთხილე გვმართებს.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — ქობულეთის ბეგი უხვი საჩუქრებითა და სულთანის წყალობით იმერთა მეფეს ჩააჩუმებს.

ი უ ს უ ფ ი — ვეჭვობ, სოლომონ მეფის შორსმჭვრეტელობას გამოეპაროს რამე. მისი თვალები შორსმხედველია, ყური — მახვილი. თუკი შევძელით მისი კერპი გულის მოგება, დადიანი ვერას გახდება.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — ასეც იქნება. ალანები და ჯიქები შეიკრიბნენ. ყირიმელი თათრებიც მზად არიან. ზეგ გზას გავუდგებით.

ი უ ს უ ფ ი — ეცადეთ, ისე დაგეშოთ მებრძოლები, რომ სიცოცხლეს არ ზოვავდნენ. აუხსენით, რომ სამთავროს დავლა მათ დარჩება... გამდიდრების სანუკვარი ოცნება ხალხს გაამხნევებს.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — ისინი მოუთმენლად მოელიან შეტევის დღეს, რომ დატკბნენ ოდიშელ ლამაზმანებთან ნებივრობით... მაგრამ ზოგი დიდებული წყალს გვიმღვრევს, ცდილობს ხელი შეგვიშალოს.

ი უ ს უ ფ ი—(აღელვებული) ვიცი, ალბათ ვამეყზე ამბობ! მზეს დავუბნელებ, ტყავს გავაძრობ თხემიდან ტერფამდე!

ვ ე ზ ი რ ი — მას მომხრეებიც ჰყავს!

ი უ ს უ ფ ი — უმეთაუროდ მომხრეები ჩაჩუმდნენ. ვამეყი კი გუშინ ისევ დავაპატიმრე. დღის სინათლეს მოვანატრებ, თვალებს ამოვთხრი!

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — სახალხოდ თურმე გვაძაგებდა, სისხლისმსმელ მაჰმადიანებს გვიწოდებდა, ქადაგებდა. სამეგრელო ძმა არისო ჩვენი და ერთობლივი ბრძოლა გვმართებსო მტერთან!

ი უ ს უ ფ ი — კმარა, მოვიცლი მისთვისაც. ისე ვაწამებ, რომ სიკვდილი ენატრებოდეს. მისი თვალის წინ საყვარელ ერთადერთ შვილს თავს წავაცლი და მაგასაც ქათამსავით ზედ დავაკლავ. (შემოდის კარისკაცი).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — მბრძანებელო, ქობულეთის ბეგი გეახლათ!

ი უ ს უ ფ ი — მადლობა ალაჰს! შემოიყვანეთ! (შემოდის ქობულეთის ბეგი. იუსუფი ვეზირს ანიშნებს, რომ გავიდეს). რას მიეაწერო თქვენი აგრე შეგვიანება?!

ბ ე გ ი — ყოველი საქმე შესასრულებლად საძნელოა, ვინემ სათქმელად! იმერთა მეფის გულის მოგება და მონდომება არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ი უ ს უ ფ ი — რა მოხდა!

ბ ე გ ი — საჩუქრები აღარ მიიღო. ჯერ ისეთი არაფერი დამიმსახურებიაო, რომ ჯილდო მომართვას, დამასაჩუქროს. თუკი დავიმსახურე, მერეც მოვასწრებთო ანგარიშის გასწორებას. სოლომონ მეფე სულთანთან შეყრას და მოლაპარაკებას მოითხოვს!

ი უ ს უ ფ ი — მერე და როდის? ჩვენ ზეგ უკვე ომს ვიწყებთ. ეს ხომ ბერხია, რომ ლაშქრობა გადაგვიდოს, დრო მოიგოს.

ბ ე გ ი — იმერთა მეფე. ჩემი აზრით, არც ოდიშს მიეშველება. იგი საკუ-

თარ თავს უფრთხილდება.

.ი უ ს უ ფ ი — შენ აგრე ფიქრობ?

ბ ე გ ი — ყველამ იცის, რომ დადიანი და იმერთა მეფე აღარ სწყალობენ ერთმანეთსა, თუმცა სოლომონი სიძეა სამეგრელოსი.

ი უ ს უ ფ ი — საქმეც ეგ არის, რომ სიძეა. შეიძლება სისხლით ნათესაობამ თავისი გაიტანოს... ეფიქრობ, დადიანი მოახერხებს მის შერიგებას... რუხის ციხის დარდი ჩამყვა, ძილშიაც კი არ მასვენებს. რუხის ციხის დაუფლება სამეგრელოს დამორჩილებას ნიშნავს, ეს საარაკო სიმაგრე კი მიუვალია, თითქოს უკარო და უფანჯრო.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — გამიგონია, დიდი განძი ინახებაო ციხის კედლებში, ვერ შევძლოთო მისი მიგნება.

ი უ ს უ ფ ი — იმ სიმაგრეს რომ ხელთ ჩავიგდებდე, ვერე მე ვიცი... სამუდამოდ მოვუღებ ბოლოს დადიანებს და მე გავხდები მბრძანებელი ოდიშის მხარის. დაველუფლები იმ სიმდიდრესაც. (შემოდის კარისკაცი).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — დიდო მბრძანებელო, სამეგრელოდან გეახლათ რუხის ციხის უფროსი, თავადი ოთარ აფაქიძე!

ი უ ს უ ფ ი — ციხის უფროსი?.. მოიცა, მოიცა... (თავისთვის) ჩანს, ალაჰი მოწყალების თვალით გვიყურებს... რუხის ციხე სამეგრელოს ჯავშანია, თუ ის გატყდა, ეფიქრობ, გამარჯვებაც არ აგვცდება. (კარისკაცს) შემოიყვანეთ! (შემოდის ოთარი. მუხლს მოიყრის იუსუფის წინაშე).

ო თ ა რ ი — მბრძანებელო. შეიერდოეე საშშობლოდან გამოქცეული, შენი მონა ამიერიდან. ფეხთა მტვერი... ერთგულება რომ დაგიმტკიცოთ, მიბრძანეთ რაც გსურთ. ჩემის მარჯვენით. დავაქცევ უწმინდურ ქრისტიანთა სისხლს და შევუერთებ ენგურის წყალს. ოლონდ მიბრძანე!

ი უ ს უ ფ ი — აფაქიძეკ. ვინ გაიძულა ეგრე რიგად!

ო თ ა რ ი — ვერ გავუძელ დადიანის ბოროტებას. ამას წინათ ჯურღმულში მამყოფა. ჩემი სახლობა ტყვეობაში ჰყავს... მიშველე, მბრძანებელო, ამაღებინე ბოროტი ადამიანის სისხლი. უჰ. საზიზღარი, ჩემის ხელით უნდა ავკუწო!

ი უ ს უ ფ ი — თავადო, თუ ცრუობ, იცოდე, სიკვდილს ეთამაშები. არ იფიქრო, მომატყუებ. ოდნავ მაინც თუ შეგამჩნიე ღალატის ცდა, შენი თავი მყისვე ჩემს ფეხთქვეშ გაგორდება... ხოლო თუ კეთილი ზრახვით გვიერთდები, პირველ რიგში სჯული უნდა გამოიცვა-

ლო და გაგვანდო რუხის ციხის საიდუმლო!

ოთარი — თანახმა ვარ. არც მსურს დავრჩე ქრისტიანი, დადიანის სჯული შემძაგდა. რაც შეეხება რუხის ციხეს, მოგახსენებთ... (ჩაფიქრებული) მის ყოველ კუნჭულს საკუთარი ხელისგულივით ვიცნობ. შესასვლელი საიდუმლოდ აქვს დატანებული ჩრდილოეთიდან. ეს შესასვლელი მხოლოდ მე ვიცი. იცის კიდევ დადიანმა და ჩიქოვანმა, სხვამ არავინ. ამ შესასვლელით შეიძლება მთელი რაზმი შიგ შეიყვანო და ჩრდილოეთის კოშკში მოექცე. იქიდან გზა შუა ციხეში მიდის, იქ კი, შუა კედელში დატანებულია...

ი უ ს უ ფ ი — (სიტყვას აწყვეტინებს) სამთავროს განძი, არა?

ოთარი — დიახ, სალარო!

ი უ ს უ ფ ი — იქ ალბათ დადიანი ინახავს თავის ოქროულობას!

ოთარი — სამთავროს მთელი შემოსავალი იქ ინახება, განა მარტო ოქროულობა? უამრავი თვალმარგალიტი და უცხო რამ ძვირფასი თვლები.

ი უ ს უ ფ ი — მაინც. რამდენი იქნება?

ოთარი — ჩემის ხელით ჩავალაგე ორმოცი ათასი ოქრო და იმდენივე ღირებულების თვალმარგალიტი!

ი უ ს უ ფ ი — ეგ სალარო ჩვენ უნდა გავხსნათ და აქ მოვიტანოთ ხელუხლებლად!

ოთარი — სალაროს მე ჩაგაბარებთ, ფიქრი ნუ გაქვთ, ისე იგულეთ, თითქოს აქ გქონდეთ.

ი უ ს უ ფ ი — იცოდე, შენი სიცოცხლე ჩვენს ხელშია. (პაუზის შემდეგ) მაგრამ რომ ვერ ვძლიოთ დადიანს და ჩვენ დავმარცხდეთ?... მაშინ რას იტყვი... ამბობენ, დადიანს სოლომონიც ეხმარებაო.

ოთარი — ვინ მოგახსენა ეგ სიცრუე. დადიანმა სოლომონს საქმეები აუშალა, შეთქმულება მოუწყო... მეფის რისხვა უძლეველია. ისინი მოსისხლე მტრები არიან.

ი უ ს უ ფ ი — შეიძლება ერეკლე მეფე მიეშველოს სამეგრელოს!

ოთარი — ერეკლე თვითონ გასაჭირშია, ოთხის მხრივ ხმალს იქნევს. ახა სადა აქვს იმისი დრო, სამეგრელოს სამთავროზე იფიქროს.

ი უ ს უ ფ ი — ეს მეც ვიცი, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა მაინც ძნელია.

ოთარი — ფიქრი ნუ გაქვთ, მთავარს მოლალატენი მეტი ჰყავს, ვინემ ერთგულნი. ყველანი ერთად მოგვეხმარებიან, თქვენს ძლიერებას ვინ გაექცევა.

ი უ ს უ ფ ი — მაშ სამეგრელოს დიდებულები მოგვემხრობიან? მაინც ვისი ომედი გაქვთ?

ო თ ა რ ი — რომელი ერთი დაგისახელოთ, გიორგი დადიანს კაციას სისხლი სწყურია, იასე ჩიქოვანი დროს უცდის მხოლოდ, დავით ჩიჩუაც მათთანაა და ასე შემდეგ. როცა დაპკრავს გამარჯვების ბრწყინვალე ჟამი, ისინი თქვენთან იქნებიან!

ი უ ს უ ფ ი — შეიძლება ასეც მოხდეს!

ო თ ა რ ი — მბრძანებელო, მიიღე ჩემგან ნიშნად ერთგულებისა ძვირფასი ძღვენი, სამეგრელოს ტურფა ასული!

ი უ ს უ ფ ი — შემოიყვანეთ! (მრჩეველს) ოთარს შენ გაბარებ, ბრძანება გაეც, სჯულის შეცვლა დააჩქარონ, მანამდე მკაცრად ადევნე თვალი... ამ საღამოს კი ყველანი ერთად შეეიკრიბოთ და მოვითათბიროთ. (შემოდის ვეზირი).

ვ ე ზ ი რ ი — რა ლამაზია, მბრძანებელო, ქალის უნახავს გაგხდით!

ი უ ს უ ფ ი — მართლა, ძალიან ლამაზია?

ვ ე ზ ი რ ი — ენით უთქმელი მშვენიერებაა! (შემოჰყავთ ცირა, იუსუფი აღტაცებული ჩააშტერდება, ცირა წაბარბაცდება, ოთარი ხელს შეაშველებს).

ო თ ა რ ი — ნამგზავრია, ალბათ გზაში გაილახა.

ი უ ს უ ფ ი — მოასვენეთ, ექიმბაშიც მოჰგვარეთ! (ცირა გაჰყავთ).

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — სწორედ რომ ბედი გწყალობს, ამისთანა ასულთან გატარებული ერთი ღამეც მთელ სიცოცხლედ ღირს. (შემოდის კარისკაცი).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — თქვენი ნახვა სურს ხალხის მოციქულს.

ი უ ს უ ფ ი — ხალხის მოციქულს?

კ ა რ ი ს კ ა ც ი — დიახ, მბრძანებელო, რაღაც უნდა მოგახსენოთ!

ი უ ს.უ ფ ი — ყეყეჩები, როგორ ბედავენ!

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — რომ არ მიიღოთ, უხერხულია!

ი უ ს უ ფ ი — შემოიყვანეთ! (შემოდის აფხაზი ხალხის მოციქული).

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ყველას სალამი და პატივი ჩვენგან! შეგაწუხეთ, რომ მოგახსენოთ ხალხის სურვილი.

ი უ ს უ ფ ი — (ირონიით) რომელი ხალხის?

მ ო ც ი ქ უ ლ ი — აფხაზების!

ი უ ს უ ფ ი — მერე, რა გინდათ?

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ჩვენ ვოვითხოვთ სიმშვიდე მოგვცეთ... ჩვენი მამაპაპანი დადიანების მოყვასნი იყვნენ ჭირსა და ლხინში, ახლა მო-

სისხლად რად გადაგვკიდეთ, რად გვაქეზებთ ძმათა წინააღმდეგ!

ი უ ს უ ფ — კიდევ რას მოითხოვთ, იქნებ გსურთ თქვენ გაგამთავროთ, მე კი მორჩილად გემსახუროთ?

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ვამეყის განთავისუფლებას მოითხოვს ხალხი!

ი უ ს უ ფ — როგორ მიბედავ! ერთი ამ თავხედებს დამიხედეთ!

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ნუ იქადნებით!

ი უ ს უ ფ ი — ხა-ხა-ხა! თქვენ ვინა ყრიხართ, რომ მიბედავთ წინააღმდეგობას. ყველას გაგაჭრობთ, აქედან აგყრით და თქვენს ნაცვლად ოსმალთ მოვასხამ!

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ვერ აგიხდება ეგ სიტყვები! ნუთუ ვერ ამჩნევ ხალხის რისხვას, უნაპირო ზღვასავით რომ ბობოქრობს, ვაი იმას, ვისაც თავის ტალღებში ჩაიხვევს.

ი უ ს უ ფ ი — არ გაჩუმდები, იუდას ნაშიერო? ახლავე შეიპყარით და ვამეყს გვერდით ამოუყენეთ! (მოციქული კარისკაცს გაუსხლტება და ხმალს იშიშვლებს, მაგრამ ოთარი სწრაფად დაუჭერს ხელებს, ხანჯალს გადააგდებინებს). ხა-ხა-ხა-ხა...

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს. (გაჰყავთ).

ი უ ს უ ფ ი — ერთი ამ თავხედ ბებერს ღამიხედეთ... მირჩევს, ვის სურვილებს, ხალხის სურვილებს გავყვე... ვინ არის ხალხი? ბრბო... უიარაღო და უმწეო... გესმოდათ, რას ბოდავდა? მაგრამ ძალამ უმალ ჩააჩუმა... ყველას ასე ჩავაჩუმებ, ვინც ჩემს სურვილს წინ აღუდგება!

(ფარდა)

ს უ რ ა თ ი მ ი ო თ ხ ე

(ადგილი სოხუმის ცხენსთან. ვეზირს შემოჰყავს ციხიდან გამოქცეული ვამეყი და აფხაზი ხალხის მოციქული).

ვ ა მ ე ყ ი — ფრთხილად, არავინ შეგვამჩნიოს!

მ ო ც ი ქ უ ლ ი — დანარჩენები საით წავიდნენ?

ვ ე ზ ი რ ი — გამოქვაბულისაკენ!

ვ ა მ ე ყ ი — ჩინებულია. იუსუფი გაოცდება, ჩვენს გაქცევას რომ გაიგებს, რისხვას დაატეხს თავის ერთგულ მცველებს.

მ ო ც ი ქ უ ლ ი — რა დღეს შევესწარით, ვამეყ. ოსმალოები მთავრობენ აფხაზეთში.

ვ ა მ ე ყ ი — ამიტომაც უმზადებს ხალხი შესაფერ განაჩენს. უნდა ავუკრათ გუდანაბადი გადამთიელებს.

ვ ე ზ ი რ ი — ჩქარა გავიქცეთ, გავცილდეთ აქაურობას! მოგეხსენებათ, ერთგულები ბლომად ჰყავს იუსუფს, რომ შეგვამჩნიონ დაგიღუპებით.

ვ ა მ ე ყ ი — არც ისე ბლომად, ხალხის სურვილს ერთი კაცი ვერ აღუდგება. აფხაზი ხალხიც ვერ უერთგულებს თურქ მმართველს, ვერა!

ვ ე ზ ი რ ი — ამას თვითონაც კარგად გრძნობდა, ამიტომ დაიბარა ჯიქები და ალანები, და კიდევ ყირიმელი თათრები.

ვ ა მ ე ყ ი — ბევრი ომი გადაგვიხდია, ან გამარჯვება ან სიკვდილი, — ასეთი იყო ჩვენი აღთქმა. იმიტომ, რომ მამულს ვიცავდით, ჩვენს შვილებსა და დედებს ვიცავდით, ოჯახის ნამუსს ვუფრთხილდებოდით... ხშირად მტრის ათ მეომარს ერთი აფხაზი ამარცხებდა... ახლა კი, რისი გულისთვის იბრძოლებენ გადამთიელნი აფხაზეთში?! მათი ოჯახი მშვიდობითაა, სამშობლოს საფრთხე არ ემუქრება... ფული უკვე მიღებული აქვთ.

მ ო ც ი ქ უ ლ ი — იუსუფ-ფაშას ჰგონია, ლაშქრის სიმრავლე გამარჯვებას მოუპოვებს!

ვ ა მ ე ყ ი — ამ სიმრავლეში ერთგულებას ვერ იპოვის, მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა წავიდეთ, ამაღამ გამოქვაბულთან შევიკრიბოთ.

ვ ე ზ ი რ ი — (მოციქულს) შენ აქ მოიცადე, მანამ სტვენას გაიგონებდე, (ვამეყს) ჩვენ კი წავიდეთ! (გადიან).

მ ო ც ი ქ უ ლ ი — იქნებ მდევრები დაგვადევნეს? ჩუ, ფეხის ხმა ისმის! (შემოდის იუსუფის მრჩეველი).

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — შენ აქ ყოფილხარ, ბებრუხანავ! ხომ ჩავარდი! სად არიან დანარჩენები, ვამეყი სად არის-მეთქი. თუ არ იტყვი, აქვე ჩაგაძალლებ!

მ ო ც ი ქ უ ლ ი — ძაღლის ნაშიერო, მაგ ქადილით ვერ შემაშინებ, იქ არიან, საცა საჭიროა.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — ხელით მიგახრჩობ, სულწაწყმედილო! (შეიბმებიან, შემოუსწრებს ოთარი. სახე ყაბალახით აქვს ახვეული. მრჩეველს იარაღს აართმევს) შენ აქ რა გინდა?

ო თ ა რ ი — რა გაღრიალებს, უიარაღოს რას ემართლები! თუ ვაჟკაცი ხარ, მე შემებრძოლე. (იძრობს ხმალს).

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი — ცბიერო, მაშ მოგვატყუე? თურმე შემოგზავნილი ყო-

ფილხარ!... შაგრამ წახდება შენი თამაში, აფაქიძევ!
(შეიბმებიან, ოთარი გულში ჩასცემს მახვილს).

ოთარი — ესეც შენ!

მრჩეველი — ღალატია, ღალატი! (ეცემა. შემოდის ვეზირი).

ვეზირი — რა მოხდა?

ოთარი — ერთი უსჯულო გაემგზავრა ჯოჯოხეთში!

მოციქული — შენც ჩვენი ყოფილხარ?

ოთარი — როგორც ხედავ.

ვეზირი — ახლავე გასწი იუსუფთან და შეატყობინე შეთქმულთა გაქცევა, ამით მის ნდობას მოიპოვებ.

მოციქული — შუაღამისას სოხუმის ტყეში გამოქვაბულს ეწვიე, იცოდე. (საჩქაროდ გადიან. სინათლე ქრება).

(ფარდა)

სურათი მეხუთე

(ბაღი იუსუფის სასახლესთან. უკრავს აღმოსავლური მუსიკა. ფატმანი ცეკვავს)

ფატმანი — როგორ მოგწონს ჩემი ცეკვა?

ცირა — ჩემთვის უცხოა, გაუგებარი.

ფატმანი — (ღვარძლიანად) შენ შეგიძლია იამაყო, რომ ჩვენი მბრძანებელი ძალზე გწყალობს. მას სურს ბედნიერების ფიალას დაეწაფოს, უტკბილესი ბადაგით სავსეს, მაგრამ ეს ბადაგი რომ გამოილევა, ხელში შერჩება ცარიელი ფიალა ბედნიერებისა... როგორც განვლილი ტკბილი წუთების სამახსოვრო.

ცირა — ღმერთო!

ფატმანი — გული გატკინე? ეფიცავარ გამჩენს, წრფელი გრძნობა მალაპარაკებს. (განზე) ან ეგ ტყვე ქალი, ან მე ამქვეყნად. (ცირას) შენთვის უცხოა ცხოვრების სიბრძნე, თუნდაც იმიტომ, რომ სამაგისო გამოცდილება არ გაგაჩნია. შენ იმას ხედავ, რაც ახლა ხდება, მაგრამ რა იყო მანამ, ან რა მოხდება?

ცირა — რა იყო მანამ, ან რა მოხდება, ეგ სიტყვები გამოცანას ჰგავს!

ფატმანი — ცხოვრებაც ხომ გამოცანაა, ჩემო კარგო!

ცირა — ვინ იქნება ისეთი ბრძენი, წინასწარ იგრძნოს ის, რაც მოხდება.

აგრე რომ იყოს, უბედურება და მწუხარება წაიშლებოდა სამუდამოდ კაცთა ხსოვნიდან.

ფ ა ტ მ ა ნ ი — არის ისეთი რამ, რაც ცხოვრებაში მუდმივად მეორდება.

ც ი რ ა — ამით რა გინდა თქვა?

ფ ა ტ მ ა ნ ი — მინდა მოგაგონო ჩვენი მბრძანებლის წარსული! ჩემზე უკეთ მას ვინ იცნობს. მე ხომ ცოლი ვარ მისი. პირველი გრძნობა, ეგზომ სათუთი და სანუკვარი, მას შევთავაზე უმანკო გულით. არ მეგონა, თუ დასასრული ექნებოდა იმ ნეტარებას. შეხვედრიდან შეხვედრამდე ოცნებათა კორიანტელი მეუფლებოდა. თავს სამოთხეში წარმოვიდგენდი, ახლა კი... ახლა შენ გინდა მომტაცო იგი და გამხადო მხოლოდ მცველი მისი გრძნობების. (განზე) ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, ოღონდ მეტოქე მოვიშორო. (გადის)

ც ი რ ა — (მარტოა) ღმერთო, სადა ვარ! რად გამწირე მე უბედური. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს. მახსენდება ჩემი გამზრდელის ტკბილი ზღაპარი მზეთუნახავზე... მეც ხომ აღმოვჩნდი განწირული... ნეტავ მეც მომცა ის ბეკედი, რომ ცოდვილი სული განეუტევო... რა მეშველება, მე უბედურს! (შემოდის იუსუფი).

ი უ ს უ ფ ი — სამეგრელოს ტურფა ასულო, როგორ მოგწონს აქაურობა? (ცირა ზურგს შეაქცევს) ვინმემ ხომ არ გაწყენინა, მითხარ და შავ დღეს დავაყენებ... შენა ხარ ამიერიდან ჩემი მბრძანებელი, ნაზი ფერია! (მიუახლოვდება, ცირა განზე გადგება).

ც ი რ ა — (თავისთვის) ღმერთო ჩემო, რა შეგცოდე რომ დამაყენე მხეცის პირისპირ!

ი უ ს უ ფ ი — პირველი ნახვისთანავე თვალებზე ბინდი მომეფინა, შენი სახის სითეთრემ თვალები მომჭრა... გაგიზიარებ ჩემს სამეფო ტახტს, დედოფლად დაგსვამ.

ც ი რ ა — მე არ მოვითხოვ განდიდებას, მეზიზღებით!

ი უ ს უ ფ ი — რაო? ჯიუტობ? იცი კი ვისთან გაქვს საქმე! (მივარდება, მკლავებს გადაუგრეხს.)

ც ი რ ა — შორს, გამეცალე, ღვთის მგმობელო! (შემოდის ფატმანი).

ფ ა ტ მ ა ნ ი — ოი, ალლაჰ!

ი უ ს უ ფ ი — შენ აქ რა გინდა?

ფ ა ტ მ ა ნ ი — (გააფთრებით) ნუთუ უკვე უფლება არ მაქვს! ნუთუ დამთავრდა ყველაფერი?!

ი უ ს უ ფ ი — ბევრს ნუ ყბედობ, დიაცო, მეორედ ჩემი ნებართვის გარეშე აქ ალარ გნახო! (შემოდის ოთარი).

ოთარი — მბრძანებელო, მაპატიეთ, რომ დაგირღვიეთ მყუდროება, მაგრამ მოხდა უბედურება და...

იუსუფი — (დაბნეულად) რაო, რა მოხდა?

ოთარი — ციხის მცველებს უღალატნიათ ჩვენთვის, მბრძანებელო!

იუსუფი — ციხის მცველებს?!

ოთარი — ვამეყი და მოციქული გაუქცევიათ!

იუსუფი — ვინ მიღალატა! ვინ-მეთქი!

ოთარი — ამას მხოლოდ თქვენ თუ დაადგენთ. (შემოდის კარისკაცი).

კარისკაცი — მბრძანებელო, მრჩეველი მოკლეს, თავს დაგვატყდა ალაჰის რისხვა!

იუსუფი — მრჩეველი მოკლეს? ჩემო ერთგულო! შენს მკვლელს თავის ქალას ავაძრობ და საგანგებო თასად გავიხდი! ეჰეი, ლურჯა მომგვარეთ! (ოთარს) გააფრთხილე მცველი რაზმი! (გადიან, რჩებიან ცირა და ფატმანი).

ფატმანი — ახლა კი ვხვდები ყოველივეს... რასაც ეს ბინძური, უგულო მხეცი მპირდებოდა, იყო წუთიერი, მისი ვნების დასაკმაყოფილებელი. ოჰ, სულმდაბალო ადამიანო, შენი გესლი სიცოცხლეს მისპობს. (მიაშტერდება ცირას) შენ მომტაცე სიყვარული, გინდა დასტკბე სხვისი უბედურებით... შენ ხარ მიზეზი, შენ!

ცირა — თქვენ ცდებით, მე ის არ მიყვარს, არც მიფიქრია მასზე არასდროს.

ფატმანი — რაო, რა სთქვი, არ მიყვარსო?

ცირა — ვფიცავ ზეციერს, რომ მძულს კიდეც.

ფატმანი — მაშ აქ რა გინდა, რას ითხოვ მისგან?

ცირა — რომ შემეძლოს, ახლავ გავეცლებოდი აქაურობას... მე ხომ ძალით მომიყვანეს!

ფატმანი — ძალით მოგიყვანეს?.. ალბათ მან ბრძანა... (თავისთვის). დავიღუპე, ამის სილამაზეს ვერასოდეს ვერ გაექცევა! ოი, ალლაჰ! (შემოდის ოთარი).

ოთარი — რას მიბრძანებ, ქალბატონო, რით გემსახურო!

ფატმანი — რით მემსახურო? თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ? ან ვინ შეძლებს, დამიბრუნოს ბედნიერება!

ოთარი — ჩემი ძალ-ღონე თუ რამეში გამოგადგებათ, მიბრძანეთ და თავს გავწირავ.

ფატმანი — გმადლობთ, ყმაწვილო, ერთგულებისთვის! ძალ-ღონე დღეს ვერაფერში გამომადგება... სილამაზეა ჩემი მტერი... (მიუთი-

თებს ცირაზე). აი, ხომ ხედავ ამ ტურფა ასულს, ამან დამლუპა, ამან გამძარცვა. (ოთარი შეხედავს ცირას, ის მიტრიალდება).

ოთარი — ნუ აჩქარდებით... ვხედავ, ბედი თქვენს ხელთაა. ამან მოგტაცათ სიყვარული, ამან გაგძარცვათ? მაშ რას უცდით, მოიშორეთ იგი, ვიდრე გვიანი არ არის! (ცირას) შენ ხომ გინდა აქედან წასვლა?

ცირა — ამაზე მეტ მოწყალებას ღვთისგანაც კი აღარ ვითხოვდი!

ფატმანი — რომ დაგეხმარო, გაიქცეოდი?

ცირა — თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ?

ფატმანი — მეცოდები, აგრერიგად რომ იტანჯები! თუ თანახმა ხარ, მე გაგაქცევ!

ცირა — თქვენთვის ვილოცებ, ქალბატონო, ოღონდ მიშველეთ!

ოთარი — მბრძანებელი ხვალ ქალებისთვის ველარ მოიცლის, შორი გზა უძევს. საღამოზე, როცა იგი გაეგზავრება, ამ ქალწულს ჯარისკაცის ტანისამოსით გაასეირნებ სოხუმის ტყისკენ! (ცირას) მერე შენ იცი, მთელი ღამე შეგიძლია ცხენით იმგზავრო, მხოლოდ ფრთხილად, ფაშას ლაშქარს არ შეეჩეხო!

ცირა — საიდუმლო გზას გავყვები, დარდი ნუ გაქვთ... (აღტაცებული) რა ბედნიერი ვიქნები მაშინ, ჩიტივით ლაღი, თავისუფალი!

ოთარი — მშვიდობით გამგზავრებას გისურვებ! (გადის)

ფატმანი — (თავისთვის) იუსუფ, შენ ცბიერი ხარ, მაგრამ არც მე ვარ შენზე ნაკლები. გაგიქრობ სათაყვანებელ არსებას, დედოფლობას რომ პირდებოდი, და თუ ისევ ხელში ჩაგიგდე, მერე მე ვიცი. ...ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, ოღონდ მეტოქე მოვიშორო!

(ფარდა)

სურათი მეექვსე

(ტყეში, გამოქვაბულთან შეგროვილან შეთქმულები. ვამეყი ბოლთასა სცემს.)

ასლანი — რა მოუვიდათ, ნეტავ, რატომ იგვიანებენ?

შანუჩარი — ვაითუ, ჩავარდნენ!

ვამეყი — უჩა გამოცდილია, აქაურ გზებზე თვალდახუჭული გაიელის, ყოველი ბილიკი, ლოდი რა არის, ისიც კი ნაცნობია მისთვის.

ასლანი — კეთილი კაცია უჩა, ხანდაზმულობამ გული როდი დაუბერა, წინანდებურად ვეფხვივით ეკვეთება მოწინააღმდეგეს და ვაი მისი ბრალი, ვინც წინ დაუხვდება.

მანუჩარი — ამიტომაც აირჩია ხალხმა მოციქულად, საპატიო მოვალეობა დააკისრა... მაგრამ მხეცთან მოციქულობა სად გაგონილა.

ასლანი — მთავრის მემკვიდრე სულთანს ჰყავს მძევლად, გადამთიელი კი რას დაეძებს ხალხის სურვილებს.

მანუჩარი — უნდა განვდეევნოთ ჩვენი მიწიდან, დე იქ იმთავრონ, ოსმალეთში.

ასლანი — მთავრის მემკვიდრეს სულთანი დაეპატრონა, ჩვენ იუსუფის ხელში ჩავვარდით. ერთმანეთისა აღარა გვესმის, ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?

ვამეყი — ნუ ჩქარობთ, ძმებო, შურისძიების დროც დადგება.

ასლანი — ნუთუ ვერ ამჩნევთ? რომ ოსმალო ფაშებისა და ბეგების პარპაშმა ქვეყანა შერყვნა, სამეგრელოსთან გასაყოფი ჩვენ, აბა რა გვაქვს. ძველთაგანვე ერთად ვიყავით ჭირსა და ლხინში... ახლა ცდილობენ გესლი დათესონ, მტრობა და შური ჩამოაგდონ.

ვამეყი — განა მარტო ოდიში აინტერესებს ვერაგ სულთანს. იგი ისწრაფვის, რომ მთელი საქართველო ხელში ჩაიგდოს.

ასლანი — იუსუფი კი საქართველოს მეფობაზე ოცნებობს ალბათ!

მანუჩარი — მაგ დღეს ვერ შეესწრება უსჯულო!

ვამეყი — რომ ვერ შეესწროს, საჭიროა მედგრად დავარტყათ, ვაჩვენოთ მტარვალს, რომ აფხაზეთი იუსუფის მონა არ გახდება. (შემოდის უჩა და ვეზირი).

ვეზირი — ძლივს მოვაღწიეთ!

ვამეყი — რატომ შეგაგვიანდათ?

უჩა — იუსუფის მრჩეველი აგვეკვიატა. თუ არა დადიანის კაცი, აქამდე ვერც მოვაღწევდით.

ასლანი — ის მოგეშველათ? აკი ამბობენ, თავის მამულს უღალატაო?

ვეზირი — ასე უნდა თქვან, სხვანაირად როგორ იქნება. მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ჯერ კიდევ კარგად როდი ვიცით, ვინაა იგი.

უჩა — მე მოვიწვიე იგი ჩვენთან.

ვამეყი — კარგი გიქნია.

ვეზირი — ერთ ამბავშია იუსუფი, თვალთაგან სულ ცეცხლსა ჰყრის.

ციხის მცველებს რომ ჩვენი გაქცევა გაუგიათ, ყველანი აქეთ-იქით მიმალულან!

ასლანი — ისე მოვაძვრეთ ჯურღმულის მცველი. მიახლოება ვერც გაიგო. ღამის სიბნელეც ხელს გვიწყობდა!

უჩა — მრჩეველმა მაინც მოგვაგნო, ძაღლის ყნოსვა ჰქონია. მაგ ოჯახ-ქორს!

ვეზირი — უჩას მოკლავდა, მაგრამ ოთარმა გვიხსნა, დროზე მოუსწრო და ხმლით აკუწა.

ასლანი — დაილოცოს მისი მარჯვენა!

მანუჩარი — მრჩეველის მოკვლა იუსუფისათვის დიდი დანაკლისია!

ვამეყი — მაგისთანა კიდევ მოძებნის. ახლა კი, დავსხდეთ, მეგობრებო! (ყველანი ჩამოსხდებიან) ჩვენ ფრიად საჭირო საქმისათვის შევიკრიბეთ. იუსუფის ოინებს თქვენ კარგად იცნობთ, მის ბუნებასაც. სისხლი სწყურია აფთარს. რა ვქნათ, ძმებო, რა ვიღონოთ! ცხვრებივით მივყვეთ იუსუფის ბოროტ განზრახვას, თუ ვაჩვენოთ ჩვენი ძალა, გამბედაობა?!

ვეზირი — აქ საყოყმანო არაფერია. ქრისტიანთა წმინდა სისხლი ტბად დაგუბდა, ჩვენ უნდა მივუზღათ სამაგიერო. ამას მოგვიწოდებს თურქეთში გაყიდული ჩვენი დებისა და შვილების გაბახებული ნამუსი. მაშ რაღას ვუცდით!

ასლანი — იმიტომ მოვიცადოთ, რომ ხვალ ან ზეგ ჩვენც ჩაგვყარონ საპყრობილეში?

მანუჩარი — მოცდა რას მიქვიან, ახლავ წავიდეთ და ცეცხლს მივცეთ მხეცის ბუნაგი. ამოვბუგოთ და ამოვწყვიტოთ სულერთიანად!

ვამეყი — ნუ აჩქარდებით, მეგობრებო, ძალა კარგია, როცა დროზე გამოიყენებ. იუსუფის ლაშქარი უთენიაზე შეიკრიბება. მათთან ერთად გზას ჩვენც გავუდგებით. მე და უჩა იქ დაგხვდებით, ენგურის პირას.

ასლანი — არ შემიძლია ნადირს ვეახლო.

ვამეყი — ცდები, ასლან. შენი სიფიცხით მხოლოდ ზიანს მოუტან საერთო საქმეს. მზე არც ჩვენ ამოგვდის იუსუფზე. მე თვითონ მზად ვარ კბილით დავგლიჯო მისი სხეული. მაგრამ სიფიცხე დღეს ჩვენ არ გამოგვადგება.

მანუჩარი — სწორია, ასლან. ხომ გაგიგონია, „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი, სჯობს სიჩქარესა ქებულსაო“. უნდა ვეცადოთ, არ შეგვა-

ტყონ ორგულობა. ჩვეულებრივ შევიკრიბოთ დილაადრიან და იუსუფს ვეახლოთ. იქ მივუზღოთ სამაგიერო, ენგურის პირას!

ვ ე ზ ი რ ი — მე შევეცდები, ჩვენი ნაწილი იუსუფმა ზურგში დაბანაკოს, როგორც მარქაფი. მაშინ, როდესაც ძლიერი ცეცხლი გაჩაღდება, ზურგიდან დავკრავთ დაქირავებულ მეომრებს.

ვ ა მ ე ყ ი — დავკრავთ ისე, რომ მეორედ აქეთ აღარ მოიხედონ.

მ ა ნ უ ჩ ა რ ი — იუსუფს რა ვუყოთ, ცოცხლად დავტოვოთ?

ვ ა მ ე ყ ი — დამარცხებული ფაშა სულთანის ნდობას დაჰკარგავს და მისი რისხვა ბოლოსაც მოუღებს. ახლა კი ფიცი დავდოთ, რომ ერთმანეთს არ ვუღალატებთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ვფიცავთ... ვფიცავთ...

ვ ა მ ე ყ ი — (ამბობს ფიცს, დანარჩენები იმეორებენ) ვფიცავ ღმერთსა და ნათელმირონს, არ ვუღალატო საერთო საქმეს, არ დავარღვიო ძმადნაფიცობის მტკიცე წესი. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვებრძოლო მაჰმადიან დამპყრობთა სისხლიან გეგმებს. მოღალატეს შხამად შეერგოს დედის რძე, ამინ! (შემოდის ოთარი)

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!... ამინ!...

ო თ ა რ ი — ამინ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (აღტაცებულნი შესცქერიან) ოთარ! ოთარ!

(ფარდა)

ს უ რ ა თ ი ზ ე შ ვ ი დ ე

(მოქმედება ხდება რუხის ციხესთან. შემოდიან დადიანი და ჩიქოვანი).

დ ა დ ი ა ნ ი — საჭიროა ბრძოლის გეგმა შევიმუშაოთ. როგორც სამეგრელოს ჯარების სარდალს, პირველი სიტყვა შენ გეკუთვნის!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მტრის ჯარი მრავალრიცხოვანია. პირდაპირ მათთან შებმა საშიშია. უმჯობესია ხმა დავარხიოთ, თითქოს არ გვსურდეს მათთან ომი, კაციც მივუგზავნოთ. ფაშა შეყოვნდება. ჩვენ კი ღამით ენგურს გადავლახავთ და თავს დავესხმებით. მტერი დაიბნევა და სანამ რამეს გაიაზრებს, მათ ბანაკს გავანადგურებთ.

დ ა დ ი ა ნ ი — ენგურზე .მალულად ლაშქრის გადაყვანა ძნელი საქმეა. უმჯობესია, ხუთი ათასი კაცით გარს შემოვუაროთ და ცეცხლი გა-

ვუჩაღოთ. სულთანმა იუსუფი იმიტომ დანიშნა, რომ ადვილად არ აცთუნონ. ბრძოლის ფანდებს ის კარგად იცნობს. სოლომონი ჩვენს მხარეზეა. აი, მისი წიგნი. (აწვდის).

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — (კითხულობს)... ხრესილის ვალი სამაგიეროს გადახდას ითხოვს, გიგზავნით ხუთი ათას მხედარს, დაუხვედრეთ თქვენი მეგზური და ხუნწის ჭალაზე გაიყვანეთ. მაჰმადის სჯული ვერას გახდება, მტერს ქვას კუდით ვასროლინებთ!

დ ა დ ი ა ნ ი — საცაა თვითონაც გვეახლება. სარდალო, ფიცხლად მეგზური გამოყავი, იმერთა ლაშქარს დაუხვედრე და უბრძანე, ხუნწის ჭალაზე გადაიყვანოს. რუხის ველზე კარავი გაშალე, ციხის კოშკები გაამაგრე.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ყველაფერი შესრულდება, მთავარო! (გადის, შემოდის კარისკაცი).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — მთავარო, გუშაგები გეახლათ სოხუმის გზიდან, თან ტყვეც მოიყვანეს, თქვენი ნახვა სურთ.

დ ა დ ი ა ნ ი — შემოიყვანე! (კარისკაცს შემოჰყავს ტყვე).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — დილაადრიან დაუკავებიათ, თურმე საზღვარზე გადმოსვლა უნდოდა.

დ ა დ ი ა ნ ი — ვინ ხარ, ყმაწვილო?

ტ ყ ვ ე — აფხაზი ვარ, (გაუწვდის წერილს) დანარჩენს აქედან გაიგებთ.

დ ა დ ი ა ნ ი — (გახსნის ბარათს, მიხვდება, რომ ოთარისგანაა) შეუხსენით ხელები და მშვიდობიანად გაატარეთ. (ტყვე გაჰყავთ) ვინ იცის, რას იწერება (კითხულობს ბარათს)... „მთავარო, თქვენი დავალება შევასრულე, იუსუფს დავუახლოვდი და სჯულის შეცვლაზეც დავეთანხმე. დაიჯერა გაიძვერამ და სასახლეში დამტოვა. მოვახერხე მათი საბრძოლო გეგმის გაგება. მტრის ჯარი ჩვენსაზე სამჯერ მეტია. ხვალ დილით ენგურს მოადგებიან. ბრძოლის დაწყებამდე შუაკაცებს გამოგიგზავნიან და ეცდებიან გაიგონ თქვენი ადგილსამყოფელი, რომ ზარბაზნის პირველმა ტყვიამ თქვენ გიმსხვერპლოთ“.

...გასაგებია, რასაც ფიქრობს იუსუფი, მაგრამ ვერ გასწრის მისი მზაკვრული მოხერხება. (ისევ კითხულობს)... „მე შეთქმულებთან ვრჩები, რომ მტერს ზურგიდან დავარტყათ. მალე ნახვამდე“.

ყოჩაღ, ოთარ, შენი იმედი ყოველთვის მქონდა! (შემოდის მარიამი).

მ ა რ ი ა მ ი — მამა, მამიკო!

დ ა დ ი ა ნ ი — რა იყო, შვილო?

მ ა რ ი ა მ ი — რა კარგია, რომ მოგისწარი, სულმოუთქმელად მოვრბოდი, შენდობა უნდა მეთხოვა შენთვის!

დ ა დ ი ა ნ ი — რა ჩაიდინე ასეთი, რომ შენდობას ითხოვ?

მ ა რ ი ა მ ი — მე არაფერი, სხვისთვის ვითხოვ შენდობას, მამა!

დ ა დ ი ა ნ ი — ვინ არის ეგ სხვა?

მ ა რ ი ა მ ი — მზია და იმისი დედა.:. გეეედრები, შეიბრალე მოხუცი, უბედურს ლამის გული გაუსკდეს. განა არ კმარა ღვიძლი დედისთვის მუდმივ ტანჯვად შვილის დაკარგვა, ისიც როგორ? სამარცხვინოდ და გასაიცხად!

დ ა დ ი ა ნ ი — აბა, მითხარ, მოღალატენი როგორ დავსაჯოთ?

მ ა რ ი ა მ ი — თვით მას მივუზღოთ სამაგიერო!

დ ა დ ი ა ნ ი — შენ ჯერ ბალღი ხარ, ჩემო მარიამ, დაუფიქრებლად ლაპარაკობ, შვილის საქციელს მშობელი უნდა ედგეს თავდებად, ის პასუხს აგებს მის საქციელზე.

მ ა რ ი ა მ ი — განა ოთარი თქვენ არ გაზარდეთ?

დ ა დ ი ა ნ ი — ვალიარებ, რომ იმედები არ გამიმართლა.

მ ა რ ი ა მ ი — ჰოდა, განა ეს არ კმარა, რომ ამისთვის კიდევ არ დაგსაჯონ?.. (ყელზე შემოეხვევა). ჩემო მამიკო, შეიბრალე უდანაშაულონი!

დ ა დ ი ა ნ ი — ხომ ხედავ, შვილო, როგორია წუთისოფელი, ზოვჯერ უდანაშაულონიც ისჯებიან დიდი საქმისთვის... კარგი, შენს თხოვნას შევიწყნარებ!

მ ა რ ი ა მ ი — ტკბილო მამიკო, მე მათ ამ კოშკებთან დაველოდები.

(მოისმის ომში მიმავალთა სიმღერა).

დ ა დ ი ა ნ ი — ღმერთო ძლიერო, შენ გადმოგვხედე მოწყალე თვალით! (შემოდის კარისკაცი).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — მთავარო, ლაშქარი გელოდებათ.

დ ა დ ი ა ნ ი — მოვდივარ! (გადის. შემოდის გიორგი).

გ ი ო რ გ ი — მარიამ!

მ ა რ ი ა მ ი — გიორგი, უკვე მიდიხარ?

გ ი ო რ გ ი — დიახ, მივდივარ!

მ ა რ ი ა მ ი — მეც იქ ვიქნები, რუხის ველზე გამარჯვებულს დაველოდები.

გ ი ო რ გ ი — დამელოდები?

მ ა რ ი ა მ ი — დიახ, გიორგი, შენ გეკუთვნის ჩემი გული და სხვას არავის ამ ქვეყანაზე!

გ ი ო რ გ ი — ჩემო ძვირფასო! (მარიამი გარბის, მოისმის ძახილი: გიორგი, გიორგი!) მოვდივარ, ძმებო, თვით ჯოჯოხეთიც ვერ შემაშინებს. თითქოს ძალ-ღონეც გამიასკეცდა. მკლავი, მტრის კაფვას მოწყურებული, ბრძოლის ველს ითხოვს! მოვდივარ, ძმებო! (გადის. სინათლე ქრება. პაუზის შემდეგ ისევ ინთება სინათლე. მოისმის საბრძოლო ყიჟინა. ზოგჯერ ტყვიაც გაიზუზუნებს).

მ ე ბ უ კ ე — (შემოდის აჩქარებული ნაბიჯით) აქეთ, ბახვა, გადახედე ენგურის ტალღებს, (შემოდის ბახვა) მტრის სისხლს წითლად შეუღებავს.

ბ ა ხ ვ ა — იგი მოწმეა ჩვენი სახელოვანი გამარჯვების, მალე ეს ბობოქარი მდინარე შავ ზღვას შეუერთდება და სტამბოლში სულთანს ჩაუტანს ამბავს.

მ ე ბ უ კ ე — დე, ჩაუტანოს და დარწმუნდეს, რომ ამაოა მისი ზრახვები, რომ სულთანის რისხვა პატარა საქართველოს ვერას დააკლებს.

ბ ა ხ ვ ა — აბა, ერთი ჭოგრიტი მომაწოდე (გამოართმევს და გასცქერის ბრძოლის ველს) ის ვინაა, ასე გულადად რომ მიაპობს მტრის ლაშქარს?

მ ე ბ უ კ ე — ჩიჩუაა, უჰ, ვენაცვალე, როგორ დაჰკრა! ვეფხვია, ნამდვილი ვეფხვი! ის მეორე ვინღაა, ვერ ვიცანი?

ბ ა ხ ვ ა — ალბათ, მამას ახლავს, ეტყობა გულადი ყმაწვილია. აგერ გიორგიც, რა მარჯვედ იბრძვის, ერთი ციდა კაცი მთასავით აღმართულა.

მ ე ბ უ კ ე — აბა, ერთი მარცხნივაც გაიხედე! სოლომონ მეფე თავისი სამარჭაფო რაზმით ენგურს გასულა, ალბათ უნდა, მტრის ბანაკს შემოუაროს.

ბ ა ხ ვ ა — იუსუფის ჩაკეტვას ესწრაფება სოლომონ დიდი... იმერლებმა ჯიქები და ალანები იფრინეს.

მ ე ბ უ კ ე — შეხე, შეხე წითელჩოხიან აფხაზს, რა მედგრად იბრძვის. ბიჭოს, ამას რას ვხედავ. ლაშქარს ერთი გუნდი გამოეყო და მტერს ზურგიდან უტევს.

ბ ა ხ ვ ა — აგერ ჩვენი მგოსანიც... შენი მარჯვენის ჭირიმე... როგორ დაჰკრა..

მ ე ბ უ კ ე — მტერი უკან იხევს, ჩვენებს დაჭრილები გამოჰყავთ!

ბ ა ხ ვ ა — მივეშველოთ... (ორივენი გადიან. შემოდიან მზია, მაია და მარიამი).

მ ა რ ი ა მ ი — აქეთ, მზია, აქეთ წამოდი!

მ ა ი ა — არა, შვილებო, ამ მოწყალების ღირსი არა ვარ!

მ ზ ი ა — ამას რად ამბობ, დედი!

მ ა ი ა — იმად, შვილო, რომ მე დედობა ვერ გავსწიე, ვერ გავზარდე ჩემი პირმშო შესაფერისად. ოჰ, ღმერთო ჩემო, რად მაწამებ, მიიბარე ტანჯული სული!

მ ა რ ი ა მ ი — ვფიცავ გამჩენს, მთავარმა უკვე შეგინდოთ დანაშაული!

მ ა ი ა — მე კი მჯერა, რომ აღარ კმარა ბნელი ჯურღმულიც ჩემს დასასჯელად, რადგან გავხდი დაწყეველილი კაცთა მოდგმისგან... ბოროტი სული, რომელმაც შვა ღალატი და დაუნდობლობა...ო, რა მძიმეა ასეთი ხვედრი... ანგელოზს ვზრდიდი. უმანკოს ნანას ვუმღეროდი, პირველად დედა რომ აღმოხდა, ცას ვეწიე სიხარულით. ჩემს სიცოცხლეზე ათასწილ უფრო მიყვარდა იგი. დავაკაცდა და ბოროტი გახდა, ამდენ ამაგს უღვთოდ წიხლი ჰკრა, მოღალატის დედად მაქცია... (ქვითინებს) ოხ, გული, გული მიკვნესის, ვგონებ შვილის სიყვარული მის სიღრმეში დაბუდებულა. არ მინდა ვული, არც სიყვარული და სიცოცხლე მინდა!

მ ზ ი ა — დედა, დედიკო! (მოეხვევა. მოისმის ჩიქოვანის ხმა: ბუკს დაჰკარით, ცხენოსნები უკან გაბრუნდნენ! მოისმის ბუკის ხმა. შემოდიან ჩიქოვანი, დადიანი და სხვები).

დ ა დ ი ა ნ ი — ხალხნო, გამარჯვება მომილოცნია! კარგად უთქვამს დიდებულ შოთას: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ხ ა ლ ხ ი — თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, მტერი რას დაგვაკლებს.

დ ა დ ი ა ნ ი — ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე, შეეწირა საშვილიშვილო საქმეს, მაგრამ უმსხვერპლოდ გამარჯვება სად გაგონილა! გმირთა სახელებს შთამომავლობა არ დაივიწყებს!

ხ ა ლ ხ ი — დიდება გმირებს!

მ ა ი ა — (წინ წამოდგება) არც მოღალატის სახელს კარგავს შთამომავლობა... ხალხნო! ხომ ხედავთ ვინა დგას თქვენს წინაშე! იუდას დედა, ეშმაკის მოციქული. ჩაჰქოლეთ იგი! (ყველა თავდახრილი დგას).

დ ა დ ი ა ნ ი — წმინდაო დედავ, მომიტევე, დამნაშავე მე ვარ თქვენს წინაშე.

მ ა ი ა — რაო, რაო?..

დ ა დ ი ა ნ ი — თქვენმა ვაჟკაცმა გვასახელა! ის მოქმედებდა ჩემი ბრძანებით! (შემოდის ოთარი).

ო თ ა რ ი — ძმებო!

ხ ა ლ ხ ი — ოთარ!

დ ა დ ი ა ნ ი — ჩემო ოთარ, შენი იმედი ყოველთვის მქონდა!

მ ა ი ა — შვილო ოთარ!

ო თ ა რ ი — ძვირფასო დედა! (დედის წინ იჩოქებს) მაპატიე, თუკი რამ გაწყენინე. საქვეყნო საქმემ მაიძულა აგრერიგად მოვქცეულიყავ!

მ ა ი ა — ჩემო ნუგეშო, ჩემთვის მეორედ დაბადებულო (ქვითინით იკრავს მკერდში).

დ ა დ ი ა ნ ი — (აფხაზ შეთქმულებს) ძმებო, თქვენ ძალიან დიდი სამსახური გაგვიწიეთ. საერთო მტერი დაგვამარცხებინეთ.

ვ ა მ ე ყ ი — დავკარით და დავამარცხეთ კიდეც!

დ ა დ ი ა ნ ი — ერთობის ძალას ბევრჯერ უხსნია საქართველო!

ვ ა მ ე ყ ი — ამ უნაპირო გრძნობამ აგვამოქმედა ჩვენც და მოგვიყვანა აქამდე! გვინდოდა ჩვენი წინაპრების სახელები დიდებით ეხსენებინა ყოველ ქართველს. ჩვენს უკან ხალხი დგას, აფხაზი ხალხი, მობრძეთადმი თავდადების მსურველი.

ო თ ა რ ი — ვერაგ იუსუფს რუხის ციხის საიდუმლოს ამოხსნა სურდა, მაგრამ სწორედ აქ, ენგურის პირას, დაიმსხვრა მისი ოცნება. ასე დაიმსხვრეს და გაცამტვერდეს საქართველოს ყველა მოსისხლე.

ხ ა ლ ხ ი — დაიმსხვრეს, გაცამტვერდეს!

ბ ა ხ ვ ა — რუხის ციხის საიდუმლო ოქროსა და სიმდიდრეში როდია, ხალხნო, იგი ხალხის ძალაშია, ჩვენს ერთობაშია.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — სოლომონ დიდი მობრძანდება!

დ ა დ ი ა ნ ი — მივეგებოთ იმერთა მეფეს. (შემოდის გიორგი, შემოჰყავს წითელჩოხიანი დაჭრილი ყმაწვილი).

გ ი ო რ გ ი — მთავარო, მაპატიეთ კადნიერება. თქვენი ნახვა სურს მძიმედ დაჭრილს და ამიტომაც გავბედე მისი აქ მოყვანა.

ხ ა ლ ხ ი — ვინ არის ნეტავ?

დ ა დ ი ა ნ ი — ვინ უნდა იყოს?

მ ე ბ უ კ ე — ბახვა, გახსოვს ეგ ყმაწვილი?

ბ ა ხ ვ ა — როგორ არ მახსოვს!..

დ ა ჭ რ ი ლ ი — მთავარო! (გადაიხსნის ყაბალახს, ყველანი იცნობენ ცირას).

ხ ა ლ ხ ი — ცირა, ცირა!

ო თ ა რ ი — (მიიკრება მასთან) ჩემო კეთილო ანგელოზო, ნუთუ შენც დაგკრეს უსჯულოებმა?

ც ი რ ა — (მისუსტებული ხმით) ოთარ, შენა ხარ? რა კარგია, რომ ისევ გხედავ!

მ ა ი ა — შვილო, ცირა, ოთარი თურმე მთავრის ბრძანებით მოქმედებდა. ის მოღალატე არა ყოფილა!

ც ი რ ა — ვიცი, გამზრდელო... განა არ ვიცი... (დადიანს) მთავარო, გიორგის შვილს... სირცხვილი... არ... უნახავს... (ხმა ჩაეწყდება).

ო თ ა რ ი — ცირა, ძვირფასო! (მის წინ დაიჩოქებს).

დ ა დ ი ა ნ ი — დაილოცოს შენი სახელი, ქართველო ქალო!

ც ი რ ა — ოთარ... ბედნიერი ვარ... რომ მამაჩემს... პირნათლად მიუვალ... (ცვდება. ხალხი ქვითინებს. ოთარი ხელში აიყვანს ცირას).

ო თ ა რ ი — ბაგეს დააკვდა სიკეთის ღიმი... (მთელი ხმით) ჩემო სანშობლოვ. სანუკვარო თავისუფლებავ, შენ შემოგწირე ძვირფასი მსხვერპლი, მხოლოდ შენ ერთს გქონდა უფლება მის სიცოცხლეზე! ძლევამოსილო, აბა, მიიღე იგი!... მე ასიყვარული შემოგწირე, მან კი სიცოცხლე!

(ფარდა)

წერილები

ილ. ჭოჭია

ორი მოგონება აკაკიზე

აკაკი წერეთლის იუბილე 1908 წელს

1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან მოჰკლეს დიდი ილია. ამ ამბავმა ყოველი პატრიოტი ქართველი გულის სიღრმემდე შეაძრწუნა და აღაშფოთა...

და აი, 1908 წელს, თითქოს ამ ვერაგულ მკვლელობას უპასუხაო, ქართველმა ხალხმა არნახული იუბილე გადაუხადა დიდი ილიას თანამებრძოლს, მხცოვან პოეტს აკაკის.

პირველი საიუბილეო საღამო თბილისში ჩატარდა 1908 წლის 7 დეკემბერს, ერთი კვირის შემდეგ კი — 14 დეკემბერს — ქუთაისში.

შემდეგ საიუბილეო ტალღამ მთელ საქართველოს გადაუარა. არ დარჩენილა ქალაქი, დაბა და ცოტად თუ ბევრად ცნობილი დასახლებული პუნქტი, რომ აკაკის იუბილე არ ედღესასწაულოს თვით იუბილარის თანდასწრებით...

მოუთმენლად ელოდა ამ ბედნიერ დღეს ხონის ინტელიგენცია და მთელი მოსახლეობა. გადაწყდა, რომ ხონში აკაკის იუბილე 1909 წლის 24 მაისს გამართულიყო.

ხონის საზოგადოებამ აკაკის ჩამოსაყვანად დელეგაცია გაგზავნა ქუთაისში ცნობილი მეცენატის ივანე შარაშიძის მეთაურობით.

დანიშნულ დღეს მთელი ხონისა და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა ფეხზე დადგა: კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა. მოხუცი თუ

ახალგაზრდა ქუთაისისაკენ დაიძრა დიდი მგოსნის შესახვედრად. ვინ ეტლით წავიდა, ვინ ცხენით, ვინ ფეხით. ყველა ერთი წადილით იყო შეპყრობილი — სხვაზე უწინ ენახა აკაკი. ხელთ ყვავილების თაიგულები ეჭირათ.

გზა და გზა სოფლელები ეგებებოდნენ იუბილარს, აჩერებდნენ, ეტლიდან გადმოჰყავდათ, სადიდებელი სიტყვებითა და ლექსებით მიმართავდნენ, მერე კი ხალხური სიმღერებით მიაცილებდნენ, ყვავილებით უმკობდნენ გზას. ასე იყო მაღლაკში, გუბში, კუხში... ხონიდან დაძრულმა ზღვა ხალხმა აკაკის სწორედ კუხში მოუსწრო. საყვარელი მგოსანი ხელში აიტაცეს და მისივე სურვილით სემინარიის დირექტორის ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძის ბინისაკენ წაიყვანეს...

იმავე საღამოს ხალხმა ალექსი ჭიჭინაძისა და ივანე შარაშიძის თანხლებით, აკაკი პროგიმნაზიის შენობამდე მიაცილეს, იქ უნდა გამართულიყო საიუბილეო საღამო. (იმ დროს ხონში არ იყო თეატრი ან სხვა რამ საზოგადო თავშეყრისათვის განკუთვნილი შენობა). გუნდი ლოტბარ ვლადიმერ ბახტაძის ხელმძღვანელობით ასრულებდა აკაკის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს. სასულე ორკესტრს სემინარიის მუსიკა-გალობის მასწავლებელი, კაპელმეისტერი ანტონ ვიაჩესლავის ძე ჰაუდეგი დირიჟორობდა.

აკაკი შეიყვანეს საზეიმოდ მორთულ დარბაზში და სავარძელში ჩასვეს. დარბაზის კედლებიდან დამსწრეთ გადმოსცქეროდნენ შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკის საგანგებოდ ამ დღისათვის შექმნილი დიდი პორტრეტები...

იუბილე დიდი ზეიმით ჩატარდა... გულითად, პოეტისადმი დიდი სიყვარულით გამთბარ სიტყვებსა თუ ლექსებს ბოლო არ უჩანდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა აკაკიზე მისმა ლექსმა „ჭაღარამ", რომელიც მეტად შთამაგონებლად წარმოსთქვა ერთმა მოსწავლე გოგონამ. მხცოვანმა პოეტმა ცრემლები ვეღარ შეიკავა, წამოდგა, გოგონა ხელში აიყვანა და შუბლზე აკოცა...

საზეიმო საღამოს შემდეგ აკაკი ივანე შარაშიძის სახლში წაიყვანეს, სადაც ხონის ინტელიგენციამ დიდი ბანკეტი გამართა. ბანკეტზე აკაკიმ წარმოთქვა სადღეგრძელოები, საგანგებოდ მოიხსენია ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მათი დიდი ღვაწლი ხალხის საკეთილდღეოდ. განსაკუთრებით აღნიშნა მწერალ-პუბლიცისტის ილია ხონელის (ბახტაძის) და ივანე შარაშიძის უანგარო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ერთი დამსწრეთაგანი ასე იგონებს ამ საღამოს:

„როდესაც ქართველ ბოღვაწეთა სადღეგრძელო შეისვა, აკაკი წამოდგა, ნაღვლიანად ჩაფიქრდა და მერე... სევდიანად სთქვა: „...ილიას მკელელობა დიდად განიცადა ქართველმა ხალხმა და განსაკუთრებით მე... ორმოცდაათი წლის განმავლობაში ილიასთან ერთად ვეწეოდი მწერლობას და საზოგადო მოღვაწეობას და ერთი ფეხი უკვე სამარეში გადადგმული მოხუცისათვის საშინლად აუტანელია ყრმობიდან ჭირსა და ლხინში შეზრდილი საუკეთესო მეგობრის დაკარგვა“...

ამ სიტყვამ ერთხელ კიდევ განუახლა იქ მყოფთ ილიას მკვლელობით გამოწვეული მწუხარება, თითქოს ჭრილობა გაეხსნათო, ყველა დაღონდა...

საცდელი გაკვეთილი ხონის სემინარიაში აკაკის დასწრებით 1909 წელს

მეორე დღეს აკაკი წერეთელი ხონის სამასწავლებლო სემინარიას ეწვია.

სემინარიის უკანასკნელი კურსის შეგირდებს ვარლამ ძიძიგურსა და მე დირექტორის ალექსი ჭიჭინაძის განკარგულებით საცდელი გაკვეთილების ჩატარება დაგვევალა სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. იუბილარის თანდასწრებით უნდა გვესწავლებინა აკაკის ნაწარმოებები...

სემინარიასთან არსებობდა საცდელ-საჩვენებელი ორკლასიანი „სანიმუშო“ სასწავლებელი, სადაც კვალიფიციური, კარგად დახელოვნებული მასწავლებლები ასწავლიდნენ. სემინარიის მესამე კურსელები, ე. წ. „პრაქტიკანტები“, მორიგეობით ვესწრებოდით ამ მასწავლებლებს გაკვეთილებზე პედაგოგიური მეთოდების გასაცნობად. მეოთხე კურსიდან კი თვითონაც ვატარებდით სკოლაში საცდელ გაკვეთილებს.

აი, სწორედ ერთი ასეთი საცდელი გაკვეთილი უნდა ჩაგვეტარებია მე და ვ. ძიძიგურს მეოთხე და მეხუთე ჯგუფებში ერთდროულად, ვინაიდან ორივე ჯგუფი ერთ საკლასო ოთახში იყო მოთავსებული.

ეს დღე ყველაზე ბედნიერი იყო ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე ძვირფასი.

...ზარი დაირეკა. მოწაფეებმა მორიდებულად მიაშურეს საკლასო ოთახებს. ეტყობოდა, ისინიც რაღაც იდუმალ, უჩვეულო განცდებს შეეპყრო.

მე და ვარლამ ძიძიგური საკლასო ჟურნალით ხელში, მასწავლებლის მაგიდასთან დავდექით...

მალე საკლასო ოთახის ღია კარებში ჭაღარა აკაკის მთვარესავით გაბადრულმა სახემ შემოანათა. დინჯად შემობრძანდა. მას მოყვნენ ივანე შარაშიძე, ალექსი ჭიჭინაძე და სხვა თანმხლები პირები. სტუმრები კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე დასხდნენ. რადგან საკლასო ოთახში ადგილი აღარ იყო, ჩვენი ამხანაგები, რომლებიც წესის თანახმად გაკვეთილებზე უნდა დაგვსწრებოდნენ, იძულებული გახდნენ გარეთ დამდგარიყვნენ და ღია ფანჯრებიდან ედევნებინათ თვალყური გაკვეთილისთვის...

გაკვეთილის პირველი ნახევარი ვ. ძიძიგურს უნდა ჩაეტარებინა — IV ჯგუფისათვის წერითი სავარჯიშო უნდა მიეცა განელილი მასალიდან და, სანამ ისინი ამ დავალებას ასრულებდნენ, V ჯგუფისათვის აკაკის ლექსი „გაზაფხული“ უნდა ესწავლებინა.

ვარლამ ძიძიგურმა მღელვარება დასძლია და გაკვეთილი საკმაოდ გაბედულად დაიწყო, მაგრამ პირველ წუთებში მოსწავლეების ყურადღების დაპყრობა გაუძნელდა. აი, როგორ იგონებს ამ ამბავს თვითონ ვარლამი წიგნში „გზები და ადამიანები“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1965 წ. გვ. 86): „...ზარი დაირეკა.., ჩემი გული ზარივით რეკავდა... გაკვეთილი დავიწყე, მაგრამ პირველი 3—5 წუთის განმავლობაში მოწაფეების ყურადღება ვერ დავიპყარი, ყველა აკაკის მისჩერებოდა, ზოგს ჩუმად ამოეღო წიგნები, გადაეშალა ის გვერდი, სადაც აკაკის სურათი იყო და წამდაუწუმ ხან აკაკის უცქეროდა, ხან მის სურათს. დამშვირდა „ცხელი თვალის“ ჩვენება, რომ მოწაფეები თავიანთ სიამოვნებას გამოთხოვებოდნენ და იმ წუთში მათთვის ნაკლებად სასიამოვნო საქმეს — გაკვეთილების მოსმენას და საშინო პასუხის მოცემას შესდგომოდნენ. გაკვეთილი ჩატარდა“... და სხვ.

გაკვეთილის მეორე ნახევარი მე უნდა გამეგრძელებინა, მეხუთე ჯგუფისათვის უნდა მიმეცა საწერი თემა ვარლამ ძიძიგურის ახსნილი ლექსის გარშემო, ხოლო მეოთხე ჯგუფისათვის უნდა მესწავლებინა აკაკის იგავ-არაკი „მელა და ყურძენი“... ჩემი მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე ვარლამისა; ბავშვებმა გული იჯერეს სახელოვანი პოეტისა და უცხო სტუმრების ცქერით და გაკვეთილის მოსასმენად მზად იყვნენ. მეც თვალები შევაჩვიე გარემოს და მღელვარებაც თანდათან დამიცხრა, მაგრამ მაინც ძნელი იყო პირველი ნაბიჯის გადადგმა. მუხლები მიკანკალებდა და როცა პირველად ხმა ამოვიღე, ხმაც ყურში კანკალით

ჩამეჰმა. წამით შევყოყმანდი, მკაფიოდ მესმოდა, როგორ მიცემდა გული, მაგრამ უკან დახევა არ შეიძლებოდა. მოვიკრიბე ძალა და რიხიანად მივმართე ბავშვებს: „ადექით!..“ შეძახილი ცოტა ზედმეტად ხმამაღალი გამომივიდა. მთელი კლასი ერთი კაცივით დადგა ფეხზე. „დასხედით!“. ოდნავ დავუწიე ხმას და ისინიც დასხდნენ. ასე გავიმეორე ორჯერ. გაკვეთილის პირველი ნახევრის დამთავრებისა და მეორე ნახევრის წინ უნდა ჩაგვეტარებინა მოკლე 2—3 წუთიანი გამაცხოველებელი ვარჯიში, ხანდახან უნდა გვემღერებინა კიდეც მოწაფეები, მეც ვამღერე „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, რომელიც ოცი წუთის წინ შეასწავლა ვარლამ ძიძიგურმა.

შემდეგ შევუდექი გაკვეთილის გადაცემას. მეხუთე ჯგუფისათვის უნდა მიმეცა საწერი თემა. ამოვალაგებინე რვეულები და რიცხვი დავაწერინე, ამასობაში კი მეოთხე ჯგუფს მივუბრუნდი. მათთვის უნდა მესწავლებინა აკაკის „მელა და ყურძენი“. ამ მიზნით მოტანილი მქონდა ლიდაქტიური მასალა თვალსაჩინოებისათვის: ფერადი სალებავებით შესრულებულ სურათზე პირზე ნერწყვმომდგარი, ენაგადმოგდებული მელა წმაწკნა-გრეხით შესცქერის მაღალ ხეზე მოელვარე მწიფე ყურძენს. სურათი დაფაზე დავკიდე და ბავშვებს მივმართე: „აბა ყურადღებით დაუკვირდით და გაარკვიეთ — რა არის ამ სურათზე გამოხატული“-მეთქი. თვითონ კი ისევ მეხუთე ჯგუფს მივუბრუნდი, შემოვაბრუნე საკლასო დაფა, რომლის უკანა მხარეზე წინასწარ მქონდა ლამაზი კალიგრაფიული ხელით დაწერილი ვ. ძიძიგურის მიერ გაკვეთილის პირველ ნახევარში ლამუშავებული მასალის შინაარსის ამომწურავი და გასამკიცებელი კითხვები. ბავშვებს თითო-თითო წავაკითხე და საჭირო განმარტებების შემდეგ. დავაჯალე ჩუმად. უხმაუროდ დაეწერათ ამ კითხვების პასუხები. მერე ისევ მეოთხე ჯგუფს მივუბრუნდი. შევუდექით სურათის აღწერას. ბავშვები ცოცხლად, გაფაციცებით ჩაკირკიტებდნენ სურათს, ჩემს კითხვებზე საპასუხოდ დაკინებით იწევდნენ თიოებს. ყველას უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა. ასე ამოვწურეთ სურათის შინაარსი. შემდეგ ამ სურათის მიხედვით შეადგინეს მოთხრობა და მიამბეს. ახლა კი მე ავიღე სახელმძღვანელო და წავუკითხე იგავ-არაკი „მელა და ყურძენი“, შემდეგ მოწაფეებს წავაკითხე, გაუგებარი სიტყვები ავუხსენი, ჩავატარე კატეხიზაცია, მოვიგონეთ ცნობილი იგავი „კატა და ძეხვი“, ქართული ხალხური ანდაზა: „კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“, ბავშვებმა მოიყვანეს მაგალითები ამ ანდაზის გამოყენების შემთხვევებზე, კიდევ რამდენიმე ფრონტალური კითხვის შემდეგ გაკვეთილს საბოლოო დასკვნა გავუ-

კეთე. ბავშვებს სამინაო დავალება მივეცი და ზარიც დაირეკა, მეხუთე ჯგუფის რვეულები, რომელიც უკვე შეეკრიბათ ბავშვებს, — ჩავიბარე და ფეხზე ადგომა ვუბრძანე. წამოიშალნენ ყველანი, — მასპინძლებიცა და სტუმრებიც... აკაკი, რომელიც მოწაფეებზე უფრო ყურადღებით და გულდასმით უსმენდა გაკვეთილს, დინჯად წამოდგა და მტკიცე ნაბიჯებით წამოვიდა ჩვენსკენ, მე და ვარლამ ძიძიგურს მაგრად ჩამოგვართვა ხელი, გადაგვეხვია და ორივენი გულითადად გადაგვკოცნა, — ულვაშებში გამომკრთალი სათნოიანი ღიმილით ხმადაბლა, მაგრამ ყველასათვის გასაგონად გვითხრა: „გული დამწყვიტეთ, ყმაწვილებო, სად იყო ჩემს დროს ასეთი სწავლება?“ შემდეგ მიუბრუნდა იქვე, მის გვერდით მდგომ ალ. ჭიჭინაძეს და გულჩათხრობით უთხრა: „ჩვენთვის რომ აგრე ესწავლებინათ, ვინ იცის, რა გამოვიდოდით?“. ალექსის ხელი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა და კარებისაკენ გაემართა, სტუმრებიც უკან გაჰყენენ. მინდოდა მეთქვა: „ჩვენც დაგვწყვიტე გული. საყვარელო მგოსანო, შენი წასვლით“, მაგრამ ეს მხოლოდ გულში გავივლე, აბა, ხმამაღლა თქმას როგორ გავბედავდი?!..

ეს იყო, ვიმეორებ, ჩემი სიცოცხლის ყველაზე ძვირფასი, განუმეორებელი და დაუვიწყარი წუთები... მისი მოგონება დღესაც, უკვე 80 წლის ღრმა მოხუცს, ყმაწვილურ ემოციებს მიახლებს და ნეტარების ჟრუანტელად მივლის მთელს სხეულში, გული აჩქარებით მიწყებს ძგერას; თითქოს, აი, ახლა შევდივარ იმ სამახსოვრო გაკვეთილის გადასაცემად...

ვალიკო ადამია

„საქართველო“ ცვლის ადამიანებს

ქართულ ჩაის არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ჩაის პირველი ბუჩქი სოხუმის ბოტანიკურ ბაღში დაირგო 1842 წელს, ხუთი წლის შემდეგ — ოზურგეთის სანერგეში, 1848 წელს კი ზუგდიდში, დავით დადიანის მამულში. კოლხეთის მიწამ შესანიშნავად შეიგუა ეს მადლიანი მცენარე. მაგრამ ძალიან დიდხანს ჩაის პლანტაციების ზრდაზე არავის უფიქრია.

ზღვისპირეთში ჩაის კულტურა მხოლოდ 1930—1933 წლებში აღორძინდა. 1930 წელს საქართველოში მოიწვიეს გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი, ჩაის კულტურის ჩინებული მცოდნე დოქტორი ჰაროლდ მანი და პლანტატორი ბარბერი. მათ მოიარეს ზუგდიდის რაიონი, განსაკუთრებული ყურადღებით დათვალიერეს ჯოლეჯიანის მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობა და დიდი კვლევის შემდეგ დაადგინეს, აქაურ ნიადაგზე ჩაის ბუჩქი ვერ გაიხარებსო.

დოქტორ მანს უთქვამს: „ზუგდიდის დასავლეთით ფრიად საეჭვოა, რომ ჩაიმ გაიხაროს, ვინაიდან აქაური ნიადაგი ჩაის კულტურისათვის გამოუსადეგარია და შრომა უქმად ჩაივლის“.

მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა თავიანთი საქმიანობით დაამტკიცეს, რომ უცხოელი სპეციალისტები სცდებოდნენ. არც ისე დიდი დრო იქნებოდა გასული, რომ ჩაის კულტურამ არა მარტო დასავლეთ საქართველოში, კრასნოდარის მხარეშიც კი გაიხარა.

ჩაი მეტად მიზეზიანი მცენარეა, იგი დიდ ცოდნასა და საგანგებო

ყურადღებას მოითხოვს. ჩაის ფოთლის კრეფა მძიმეა და ძალზე შრომატევადი. მის წილად მოდის მთელი შრომითი დანახარჯების 65—70 პროცენტი. სწორედ ამიტომ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში არა ერთხელ უცდიათ, შეექმნათ ჩაის საკრეფი მანქანა. ცნობილია, რომ ევროპის ერთ-ერთ ბანკში ნახევარი საუკუნის განმავლობაში იდო ასი ათასი დოლარი, რომელსაც მიიღებდა ასეთი მანქანის გამომგონებელი. სხვათა შორის, ჩაის საკრეფი მანქანის შექმნაზე ოცნებობდა კიბერნეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკელი მეცნიერი ნორბერტ ვინერი, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა.

1949 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ჩაის დარგში. შეიძლება ითქვას, ძირითადად ამ წლიდანვე დაიწყო მუშაობა ჩაის მანქანის შექმნაზე. და აჰა, ამ ძნელ პრობლემას სწორედ ქართველმა მეცნიერ-კონსტრუქტორებმა გაართვეს თავი; მეცნიერებმა იმ ქვეყნისა, რომელიც მეჩაიეობის დარგში ყველაზე ახალგაზრდაა მსოფლიოში.

მაგრამ დიდი ხნის ოცნებას ერთბაშად როდი შესხმია ფრთები.

1958 წელს მსოფლიოში პირველად ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გამოსცადეს ჩაის საკრეფი მანქანა, შემდეგ პლანტაციებშიც გამოჩნდა „საქართველო" — თვითმავალ ოთხთელიან ტრაქტორზე მოწყობილი ჩაის საკრეფი აპარატი. 1963 წლის გაზაფხულის ერთ აშკენიერ დღეს მანქანათმშენებლებმა თავიანთი საამაყო „საქართველო" ზეიმით გამოაცილეს ლილოდან და გზა დაულოცეს ინგირის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებისაკენ.

იმავე წელს ასმა ასეთმა ხომალდმა პირველად შესცურა პლანტაციებში. იმატა ხვავმა და ბარაქამ, ჩწრაფად ივსებოდა მანქანის ბუნკერები.

•

ვინ იფიქრებდა, რომ ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" ასე ჩქარა გახდებოდა პოპულარული, მეჩაიეების ერთგული მეგობარი. ყოველწლიურად ჩაის კრეფის ყოველი სეზონი უკეთეს და უკეთეს შედეგს იძლევა, იზრდება მანქანის დღიური წარმადობა, უმჯობესდება ხარისხი, სულ უფრო მოქნილი და სრულყოფილი ხდება თვითეული მექანიზმი. ციფრებიც ამას ადასტურებენ.

1963 წელს ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში 56 ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობდა, მათ 478 ჰექტარი გადასერეს და 1052 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს. 1965 წელს უკვე 300 მანქანა სერავდა

2361 ჰექტარს, მოიკრიფა 4.000 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. 1966 წელს მარტო საქართველოში 313 საკრეფი მანქანა მუშაობდა და მექანიზებულად იკრიფებოდა 2.890 ჰექტარი, საიდანაც 6.336 ტონა „მწვანე ოქრო" იქნა მოკრეფილი.

მანქანების რაოდენობა კი ყოველწლიურად იზრდება. ლილოდან, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან, უწყვეტ ნაკადად მოედინებიან მეჩაიეთა ერთგული მეგობრები. საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა დაინტერესდა „საქართველოთი". ჯერ კიდევ 1964 წელს დაუკვეთეს მანქანები ინგლისის ფირმა „მასსი-ფერგიუსონმა", იაპონიის ფირმა „გორი კომპანიამ" და არგენტინის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა.

მანქანის ტექნიკურ სრულყოფაზე კი მუშაობა ისევ გრძელდება.

— ძირითად მიზანს უკვე მივაღწიეთ, — ამბობს ჩაის საკრეფი მანქანის გამომგონებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი შალვა კერესელიძე, — მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენ, ქართველი კონსტრუქტორები, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა რაც შეიძლება მალე მიიღონ ტექნიკურად სრულფასოვანი ჩაის საკრეფი მანქანები.

ყოველწლიურად ახალ-ახალ რეკორდს ამყარებს ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. თუ 1963 წელს მანქანის დღიური გამომუშავება — 2.000 კგ — რეკორდად ითვლებოდა, 1964 წელს ეს მაჩვენებელი საშუალო გახდა. ცალკეული მექანიზატორები უფრო მეტსაც კრეფენ. მაგალითად, კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელმა, მექანიზატორმა ი. ფარცვანიამ ერთ სამუშაო დღეში 3.550 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. 1965 წლის 26 მაისს ცნობილმა მექანიზატორმა სერგო აფხაზავამ ახალი რეკორდი დაამყარა: ერთ დღეში 4.030 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

1966 წელს „საქართველომ" ახალი რეკორდი დაამყარა. საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სერგო აფხაზავამ ერთ სამუშაო დღეში 5.200 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანამ დღიურად 260 ჩაის მკრეფავი გაანთავისუფლა.

1966 წელს ჩაის საკრეფმა მანქანა „საქართველომ" მოძმე აზერბაიჯანელ მეჩაიეებსაც გაუწოდა დახმარების ხელი. ამ წელს ლენქორანის რაიონის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში „მწვანე ოქროს" მოსავალს ხომალდი „საქართველო" იღებდა.

არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ 1966 წლის მაისში მოსკოვში, მსოფლიო გამოფენაზე, ეიფორის გადა-

წყვეტილებით „საქართველოს“, როგორც უნიკალურ მანქანას, ოქროს მედალი მიეკუთვნა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სახელოვან ქართველ კონსტრუქტორებს შალვა კერესელიძესა და მის ხუთ თანამებრძოლს „საქართველოს“ შექმნისათვის 1967 წელს ლენინური პრემია მიანიჭა.

რა საამაყო და მეტად მნიშვნელოვანია „საქართველოს“ ავტორთა ბრწყინვალე გამარჯვება და ის ჯილდო, მათ რომ დაიმსახურეს.

ანზორ ბარამია

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თავისი 100 წლის იუბილეს ღღეებში მაყურებელს უჩვენა დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი სპექტაკლი: ა. გეწ.ძის დრამატული პოემა „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და ა. აბშილავის პეროიკული დრამა „მარჯვის ტრაგედია“, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნებოდა.

ორივე სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა დ. კობახიძემ დადგა და იუბილარი თეატრის სეზონის საუკეთესო ნამუშევრებად იქნა აღიარებული.

რეჟისორის ორი სპექტაკლი

რომელ დრამატულ ნაწარმოებს რგებია წილად საერთო აღიარება და გულთბილი ტაში? რა თქმა უნდა იმას, დიდი თუ პატარა რომ აეღელვებია, დაუფიქრებია... ასეთ ნაწარმოებად დაამახსოვრდა მაყურებელს შალვა დადიანის სახელობის თეატრში წარმოდგენილი დრამატული პოემა „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

ა. გეწაძის ამ საინტერესო ნაწარმოებმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პიესების კონკურსზე ყველაზე საპატიო ჯილდო დაიმსახურა.

ეს პიესა ამაღელვებლად, ყალბი პათეტიკის გარეშე გვიხატავს ჩვენი

მამების, შინმოუსვლელი თაობის ბრძოლებს, მათ ადამიანურ გულისთქმას, ტანჯვასა თუ სიხარულს.

ვინ არიან პიესის მოქმედი გმირები? ცხოვრებასა და ბრძოლაში გამოუცდელი ჯეელები. ბედის უკუღმართობამ წიგნის ნაცვლად ხელში შაშხანები რომ ააღებინა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული მკერდი დამპყრობთა ტყვიისათვის შეაშვერინა. დედა-სამშობლომ მოითხოვა და მის გადასარჩენად ურყევი რწმენით ეკვეთნენ მტერს ქართველი ვაჟკაცები, ეს რწმენა თვით გამარჯვების ტოლფასი იყო, მის წინაშე ქედს იხრიდა მერყეობა, შიში, უიმედობა...

ა. გეწაძის ეს პიესა ერთადერთი ეროვნული სასცენო ნაწარმოებია დიდ სამამულო ომში მონაწილე ქართველთა შენაერთზე.

„— ბიჭებო, ბიჭებო, ზღვამ გერმანელი ჯარისკაცი გამოარყა! —შეცბუნებით ამბობს ემზარი.

ს ა ვ ლ ე: თოფიანია?...

ე მ ზ ა რ ი: — კი, მხარზე თოფი ჰკიდია, ზურგზე ზარბაზანი.

ს ა ვ ლ ე: — მართლა?..“

ბიჭები ხარხარებენ თანამებრძოლის მიამიტობაზე. ასე იწყება სპექტაკლი.

...ახალგაზრდა მეომრებისაგან ჯერ შორსაა „ჯოჯოხეთი“, ომის კოშმარი, მათ სულში ჯერ კიდევ თავაწყვეტილი ჭაბუკური ენებათა ღელვა ბობოქრობს. მოჭარბებული სისხლი მიილტვის სიცოცხლისაკენ, მზისაკენ.

...გემი ქართველ ჯარისკაცებს ფეოდოსიის ნაპირებისაკენ მიაქროლებს. იქ გააფთრებული ბრძოლაა მტერთან გამართული. ეცებ მებრძოლთა თვალწინ ყველაფერი აირევა, სიზმარს უფრო ჰგავს მათთვის მწარე სინამდვილე. სამშობლოსათვის თავს სწირავენ ლომგული ჭაბუკები და მათი უფაქიზესი გრძნობების გამოძახილი უკვდავების სიმღერად ედება დათოვლილ მიდამოს.

რა ხიბლავს მაყურებელს სპექტაკლში?

ორიგინალური გადაწყვეტა, აკადემიურობა, ცოცხალი რიტმი, ხასიათების დამაჯერებლობა და მთლიანობა.

კიდევ რითაა სპექტაკლი საინტერესო? თვალშისაცემი, ღრმად ემოციური მხატვრული გაფორმებით (მხატვარი ი. პეტრაიტისი).

მოქმედებათა ლოგიკურ მსვლელობას ამძაფრებს და სასიამოვნო სანახაობად აქცევს რამდენიმე სწორად შერჩეული ქართული და რუსული მელოდია.

მთავარი კი, მაინც, სპექტაკლში ხორცშესხმული პერსონაჟები არიან. ცხოვრებისეული სიმართლით, ღრმა ადამიანური განცდით გვესიტყვება სცენიდან სპექტაკლის მთავარი გმირი მირიან კობერიძე (მსახიობი გ. წერეთელი).

საერთო პატრიოტული მრწამსით მირიანი ჰგავს თანამებრძოლებს, მაგრამ ხასიათის თავისებურებითაც გამოირჩევა. ის „წმინდანია" ნრფელი სიყვარულის, უანგარო გრძნობების წინაშე. ეს მისი „მეა" და ამ ძალით იმორჩილებს ჩვეულებრივ მიწიერ ვნებებს, წვრილმან გატაცებებს. მირიანის ამაყი, მაღალი რაინდული სული (გ. წერეთლის ძართალი წარმოსახვით) მეღავნდება მის ყოველ მოქმედებაში, ბრძოლის ჟამს, მეგობრულ ურთიერთობასა თუ სიყვარულში.

უშუალოა აგრეთვე მსახიობი ზ. გუნია (მაია კანდელაკი). სინაზე, ებრალობა, რაც ამ ახალგაზრდა მსახიობის თანდაყოლილი თვისებაა, მაიას უზადო სულის შესაფერია და ამ იერსახეს კეთილშობილური, ნათელი ნახევარტონებით ამშვენიერებს.

ორივე ამ ორ გმირს: მირიანსა და მაიას დააკისრა ავტორმა ამქვეყნიური წმინდანების ძირითადი ფუნქციები. ამ ორი იდეალური ახალგაზრდის წყვილის მორალურ-ზნეობრივი სისპეტაკე, დიდი პატრიოტული შეგნება, რამაც ომის უმძიმეს წუთებში იჩინა თავი, რეჟისორმა და მსახიობებმა ერთ გვირგვინად შეკრეს და გმირობის, მამაცობის, ლამაზი მიჯნურობის ტკბილ საგალობლად აქციეს.

გლეხკაცური, ალალი და ჯანმაგარია სავლე რეხვიაშვილი (ბ. ცომაია), ბრძოლის წინ ბავშვივით რაჭულ მჭადსა და ლობიოს რომ ნატრობს, ბაჭირო ჟამს კი სხვებივით მტერს მტრულად რომ ხვდება.

დინჯი და საიმედო ხელმძღვანელია ლეონიდ კუზნეცოვი (შ. მოსია). მისი ყოველი სიტყვა, მოქმედება სამხედრო საქმის ღრმა ცოდნას, დიდბუნებოვნებასა და მეომრებისადმი მშობლიურ მოპყრობას ამეღავნებს.

კეთილი იუმორი და მოუსვენრობა ახასიათებთ ემზარ ჩიჩუას, სერგო მეწაღიშვილს, შალიკო ცამციძეს (მსახიობები: თ. სტურუა, ო. ქურციკიძე, ჯ. ქობალია).

გულჩათხრობილი, ქალთან ალერსს მოწყურებული ახალგაზრდაა ვალიკო იაშვილი (გ. ახვლედიანი), ბაგრამ მეგობრული და პატრიოტული გრძნობა მისთვის ყოველგვარ ვნებაზე მაღლა დგას.

მაიას სიყვარულში ვალიკოსავითაა გაწბილებული ჯონდო ჭედია (ბ. წულაია), ოღონდ მაიას მიმართ მას უფრო უბრალო გრძნობა ამოძრა-

ვებს. მირიანთან უკანასკნელ საუბარში აკლენს ნამდვილი ვაჟკაცის თვისებას, ადამიანისადმი გულთბილობას და მტრისადმი დაუნდობლობას.

საკლე, ემზარი, სერგო, შალიკო, ვალიკო, ჯონდო ყველანი მხურვალე პატრიოტული გრძნობით არიან ანთებულნი. უყოყმანოდ ეწირებიან სამშობლოს და სწორედ ამაში ხედავს მაყურებელი მათი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის მარადისობას.

ნასტია (დ. გოგიჩაიშვილი) მოკარბებული გრძნობის ქალია. მას ომმა წაართვა ქმარიც და შშობლებიც, ფაშისტებმა პირადი ღირსებაც ფეხქვეშ გაუქელეს. ნასტიას საკუთარი შეხედულებანი გააჩნია ცხოვრებაზე. მაყურებელი თანაუგრძნობს მას, თანაუგრძნობს მის სიყვარულს, მწუხარებას და აღტაცებას. დ. გოგიჩაიშვილის ყოველი ჟესტი, დამაჯერებელი თხრობა, ფიქრი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყველაფერში ომია დამნაშავე.

მაყურებელი გულგრილი არ რჩება არც ნადეჟდა ფალკოვას (ლ. კედია), ვაჟა ხარაძის (კ. ფალავა), მაიორის (ა. როგავა), შიო გასეიანის (ი. გასეიანი) მიმართ.

არის ზოგიერთი სადაო მხარეც: მაიორის ეპიზოდური სახე ვერც პიესაში და ვერც სპექტაკლში ვერ ასცდა სქემატურობას. ვერაფერი ვერ შემატა სპექტაკლს მთხრობელის გამოყვანამ ესტრადული მანერით, პირიქით, შეანელა რეაქცია მთელი რიგი დაძაბული ადგილებისადმი და ზოგიერთი ღრმაზრიანი სცენა ერთგვარ ნეგატიურ სამოსში გასვია.

ნაწარმოებში დამაჯერებლად მოთხრობილი ისტორიული ბედუკუღმართობის დასასრული უფრო მკაფიოდ და მღელვარედ გამოიხატა სპექტაკლში... უთანასწორო ბრძოლებში განადგურდა ყირიმის ნახევარკუნძულზე მებრძოლი ქართული ბატალიონი. აკტორმა მხოლოდ ორი პიროვნება გადაარჩინა: მედიცინის და მაია კანდელაკი და ჯარისკაცი მირიან კობერიძე. ისინი მრავალმა განსაცდელმა, მტკიცე სიყვარულმა ურღვევი მეგობრობით დააკავშირა ერთმანეთთან. ომის ჯოჯოხეთს გადაურჩნენ ისინი, რათა დაღუპულ თანამებრძოლთა სახელი და დიდება უკვდავების ესტაფეტად გადაეცათ შთამომავლობისთვის.

ა. აბშილავას ჰეროიკული დრამა „მარუხის ტრაგედიაც“ ომში დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნას ეძღვნება, მათი ცხოვრების უმძიმეს გმირულ დღეთა მოგონებაა.

„ბევრი საკვირველი ძალაა ამქვეყნად, მაგრამ ადამიანზე ძლიერი არაფერია“... — ეს სიტყვები „ანტიგონედან“ ეპიგრაფად წარუმძღვარე-

ბია ავტორს ნაწარმოებისათვის და ამ აზრის ბოლომდე გამართლება ყოველნაირად უცდია; სიცოცხლისა და სიკვდილის სახეებიც ამ მიზნით შეუყვანია დრამაში; მკვდრეთით „აღმდგარი“ ნათია-დედისა და კახა-შვილის არცთუ ისე დამაფიქრებელი, მშრალი დიალოგიც იმიტომ მოუშველებია, რომ ადამიანის, სიცოცხლის არსი (მისი გარდუვალი წარმავლობის მიუხედავად) სიკვდილზე, ბოროტებაზე მაღლა დაეყენებინა და მხატვრული საშუალებებით ერთხელ კიდევ დაერწმუნებინა მკითხველი, მაყურებელი: „ადამიანზე ძლიერი არაფერია“... მოსაწონია ასეთი განზრახვა, მაგრამ რამდენად იყო აუცილებელი სიცოცხლის უძლეველობის მხატვრული ასახვა კლასიკოსთა მიერ მრავალჯერ ნაცადი ხერხებით (აჩრდილი, აბსტრაქტულ მცნებათა გასულიერება, მათი დაპირისპირება და სხვა)? განა მარუხზე გმირულად დაღუპულ უწვერულვაშო ვაჟკაცთა ხვედრის აღწერა სადა, ბუნებრივი პოეტური თხრობით გაზვიადებისა და ხელოვნურად შექმნილი სიტუაციების გარეშე ნაკლებად ემოციური იქნებოდა?... თუ მსოფლიოს დიდ დრამატურგთა მიერ მრავალჯერ გადაკრილ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას ჩაეკიდა ავტორი და მისი ორიგინალური გადაწყვეტა შემოგვთავაზა?

როგორც არ უნდა იყოს, ჩანაფიქრმა დრამაში ნაკლები გამართლება პპოვა და მარუხის ტრაგედიის სისხლსავსე გმირები ლამის გაპერსონიფიცირებული სიცოცხლისა და სიკვდილის უხერხემლო ფილოსოფიური მსჯელობის, მათი „გამართლმსჯულების“ ანაბარა დატოვა. და როცა თეატრმა ამ ნაწარმოების დადგმა გადაწყვიტა, მთელი სიძნელე დამდგმელ რეჟისორს დაეწვა, მასალისადმი მის გაბედულ შემოქმედებით მიდგომას უნდა განეპირობებინა სპექტაკლის წარმატება.

ახალგაზრდა რეჟისორს დ. კობახიძეს ცდა არ დაუკლია მასალის ბუნდოვანი, მისტიკური ადგილების ამპუტაციისა და ხელჩასაჭიდი ხატოვანი სურათების სცენურად უფრო გაღრმავებისათვის, რის საფუძველზეც მოქმედ პირთა დაწმენდილი, ცხოვრებისეულად ამეტყველებული სახეები მრავალი პირობითობისა და ქვეტექსტის ფონზე იდეის ამხსნელ ქვაკუთხედად იქცნენ.

ამაში არწმუნებენ მაყურებელს შემსრულებელნიც: ნ. კოხტაშვილის ნათია, პ. წულაიას გამჭრიახი, უტეხი ნებისყოფის კახა, გ. წერეთლის ნათელი სულითა და გონებით შემკული სლავა ერშოვი, თ. სტურუას მაჭარიკვით დაუდეგარი, ლამაზი ფიქრებით აღსავსე დედას ლევანა, ბ. ცომაიას მოხერხებული და მამაცი პატრიოტი ხვიჩა როგავა, გ. ახვლედიანის გულჩათხრობილი, სიმამაცითა და ერთგულებით სხვებისაგან განურჩეველი

.გაგა მიგრიაული. კ. ფალავას მეოცნებე, ფაქიზი ბუნების ასთამურ თარბა, ო. ქურციკიძის სიტყვაძუნწი, მოძმეთა ხვედრზე დაფიქრებული ზაურ-ბეგ ცადასი.

დაასამახსოვრებელია ნ. ჭანტურია (სიკვდილი), ი. პეტრაიტისი (გერმანელი ოფიცერი), ზ. გაბუნია (გოგონა), ვ. გაბისონია (პეტო არსენიანი), ჯ. ქობალია (ვათო არსენიანი), მ. ტოგონიძე (მთხრობელი), ი. გასვიანი (საბირ ბაბა ოღლი), თ. ზაზიაშვილი (დედა), რომელსაც მეტი გულთბილობა და ზოგიერთ სცენებში ინტონაციის შერბილება დასჭირდება. მეტი სითბო და დაფიქრება უნდა გვაგრძნობინოს ზ. გუნიამ (გოგონა), როცა ის დახოცილ ბავშვებზე უყვება მებრძოლებს; თავიანთი გმირების მეტი აქცენტირება მართებთ ვ. გაბისონიასა და ჯ. ქობალიას (პეტო, ვათო).

სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის — მხატვრობის შესაძლებლობანი „მარუხის ტრაგედიაში" მთელი ძალით გამოვლინდა. ი. პეტრაიტისის მიერ შექმნილ მრავალსაფეხურიან შესანიშნავ საყურადღებო მასიური თუ ცალკეული სცენები მხატვრულ-არქიტექტურული სისუფსტით გამოიძერწა და სცენური ესტეტიზმის მშვენიერება განგაცვლევინა.

ნიჭიერი მხატვრის მაღალი გემოვნების დამადასტურებელია მშვენიერი ცა, ყინვის ლოლუები, რომლებმაც რეჟისორის მიერ დრამის პირველწყაროსაგან დამოუკიდებლად შექმნილ შესანიშნავ სურათებს (ჯვრისწერა მზესთან, დედას ლევანას დაბადების დღე) მეტი ელფერი და შინაარსი მისცეს. ამ სურათებში განსაკუთრებული მომხიბვლელობით გამოჩნდა ძლიერი, კეთილი ადამიანის სულის, ფიქრების, სურვილების სილამაზე, სიწმინდე და ის, რომ ამქვეყნად ადამიანებზე ძლიერი არაფერია...

მარუხი... მთელი მსოფლიოს ბედი წყდებოდა 1942 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე კავკასიონის ამ მრისხანე, ვიწრო გადასასვლელზე. ქართველ და სხვა მოძმე ეროვნებათა შვილებს სოხუმისაკენ უკანდახევით შეეძლოთ თავი დაეღწიათ შიმშილის, ყინვის, ტყვიის მუქარისაგან, მაგრამ მათი არჩევანი ამაზე წუთითაც არ შეჩერებულა. მხოლოდ პატრიოტულმა თავგანწირვამ შესძლო ბარბაროსებისათვის გზა გადაეკეტა თბილისისაკენ, მოსკოვისაკენ. ისტორიული გმირული მარუხის ტრაგედიის ერთი ნაწილი აისახა ა. აბშილავას საინტერესო დრამაში, ხოლო რაც ავტორმა ბოლომდე ვერ თქვა, რეჟისორმა, მსახიობებმა დაასრულეს და ცხადად დაგვანახეს. სცენიდან იგრძნობა ნამდვილი ჰეროიკაც და რომანტიკაც, დიდი ოპტიმიზმიცა და განწირულების შეგრძნებაც, იუმორიც და

კრემლნარევი სიცილიც, და რაც მთავარია გმირული სულის უკვდავება, მისი სიდიადე.

ზუგდიდის თეატრის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „მარუხის ტრაგედია“ (მუსიკალური გაფორმების ავტორი ე. თოდუა, ქორეოგრაფი ე. ნადარეიშვილი), მცირე ხარვეზების მიუხედავად, ახალგაზრდა რეჟისორის შემოქმედებითი ზრდის, გაბედული ძიების, მსახიობთა კოლექტივის ნიჭიერების უტყუარი განაცხადია.

ორდენ ზარეშა

ზუგდიდის მაზრის გოლშევიკების ბრძოლა მიწის ნაციონალიზაციის განხორციელებისათვის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921—1923 წ. წ.)

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშათა კლასმა ღარიბ გლეხობასთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო მენშევიკების ბატონობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ხელში აიღო ძალაუფლება და საქართველო სოციალისტურ რესაუბლიკად გამოაცხადა.

1921 წლის 3 აპრილს საქართველოს რევკომმა მოისმინა ფილიპე მახარაძის მოხსენება მიწის დეკრეტის პროექტის შესახებ და დაადგინა: „არჩეულ იქნას კომისია, რომელშიც შევა ოთხი ამხანაგი: მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა და ს. ორჯონიკიძე. კომისიას მიენდოს დეკრეტის დამუშავება და დაევალოს 5 აპრილს წარუდგინოს რევკომს დამუშავებული დეკრეტი საათახადო მოხსენებით".[1]

5 აპრილს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ფილიპე მახარაძის მოხსენება მიწის დეკრეტის პროექტის შესახებ და დაადგინა: „დეკრეტი დამტკიცდეს. მიენდოს ამხ. სერგოსა და ამხ. ფილიპეს გადამუშავება დეკრეტის პროექტისა მიწის უღარიბესი გლეხობის ხელში გადასვლის შესახებ, იმ აზრით, რომ მიწა დაუყოვნებლივ განაწილდეს გლეხებს შორის, განაწილება განახორციე-

1 საქ. სსრ ორცსა, ფ. 28, აღწ. 1, საქმე 26, ფურცელი 78.

ლონ ადგილობრივმა გლეხთა კომიტეტებმა სამაზრო რევკომების ხელმძღვანელობით[1].

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ გამოსცა პირველი ძირითადი კანონი მიწის შესახებ — დეკრეტი № 17, რომელსაც საფუძვლად დაედო ფ. მახარაძისა და ს. ორჯონიკიძის მიერ წარმოდგენილი მიწის დეკრეტის პროექტი.

დეკრეტის პირველი მუხლი მთელ მიწას ხალხის კუთვნილებად აცხადებდა, სპობდა მიწის ყიდვა-გაყიდვას და გაცვლას. დეკრეტის მეორე მუხლი ითვალისწინებდა იმ მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევას, მენშევიკების დროს რომ შერჩათ მემამულეებს და, მის გადასვლას სახელმწიფო ფონდში უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხობისათვის დასარიგებლად.

დეკრეტით მიწის სარგებლობის უფლება ეძლეოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც კი მოინდომებდა მის დამუშავებას საკუთარი ძალით ან თავისი ოჯახის წევრების დახმარებით. ყველა მიწის მუშაკი, უმიწაწყლო თუ მცირე მიწის მქონე გლეხი მიწის ფონდიდან ღებულობდა იმდენ მიწას, რაც უზრუნველყოფდა მისი და მისი ოჯახის არსებობას (მუხლი II). მცირემიწიან გლეხებს, რომლებსაც მიწა მენშევიკური მთავრობის დროს ჰქონდათ შეძენილი, ნასყიდი მიწა რჩებოდათ სარგებლობაში. ფული კი უკან უბრუნდებოდათ. დეკრეტი სპობდა კერძო საკუთრებას მიწაზე და მას ხელმისაწვდომს ხდიდა იმისათვის, ვინც მას ამუშავებდა თავისი შრომით ან ამხანაგურად. მთელი ამ რეფორმის განხორციელება მინდობილი ჰქონდა ღარიბ გლეხობას და მის მიერ არჩეულ მიწის კომიტეტებს.[2]

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონი მიწის შესახებ მიწის საკითხს სწყვეტდა სამართლიანად და მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ. დეკრეტი საქართველოს მთელ მიწას მშრომელი გლეხობის კუთვნილებად აცხადებდა და მას ხელმისაწვდომს ხდიდა ყველა მშრომელისათვის.

მიწის კანონის მიღების შემდეგ საქართველოს საბჭოთა მთავრობა შეუდგა მის განხორციელებას. მაგრამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას, მიწის საკითხის უსწრაფესად მოგვარებას, როგორც საქართველოს სხვა

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 2, ფურცელი 13.

2 საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ. მლისფპა, ფონდი 31, აღწ. 1, საქმე 1, ფურცელი 3—5.

მაზრებში, ასევე ზუგდიდის მაზრაში მთელი რიგი დაბრკოლებები ეღობებოდა. კერძოდ:

1. ზუგდიდის მაზრის მეურნეობას უმთავრესად წვრილი მეურნეობრივი ხასიათი ჰქონდა, მაზრის გლეხობის ძვალსა და რბილში ღრმად იყო გამჯდარი კერძო საკუთრების გრძნობა. ეს მდგომარეობა ზუგდიდის სამაზრო რევკომისაგან მოითხოვდა მთელ რიგ დათმობებს გლეხობის მიმართ. არც აგრარული რეფორმის ერთბაშად გატარება შეიძლებოდა. გარდა ამისა, მაზრის მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში საეკეთესო მიწებს მდიდარი გლეხები — კულაკები ფლობდნენ, ისინი კი მიწის რეფორმის გატარებას აფერხებდნენ. ფედერალისტები და ნაციონალ-უკლონისტები გლეხებს არწმუნებდნენ, რომ ნაციონალიზაციის შედეგად იმ მიწებსაც დაჰკარგავდნენ, რაც ჰქონდათ.

2. მენშევიკები ჯერაც ვერ შერიგებოდნენ იმ ფაქტს, რომ ზუგდიდის მაზრაში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ და მუქთახორების ბატონობას ბოლო მოეღო. ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ, არ დაეთესათ მიწები, არ მიეცათ მუშებისათვის სიმინდი და სხვა სურსათ-საზრდოგე.

3. ყოფილი თავადები და მემამულეები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მიწათმფლობელობის ძველი წესები.

აი, ასეთ რთულ ვითარებაში შეუდგა ზუგდიდის მაზრის რევკომი აგრარული რეფორმის გატარებას. მიწების ჩამორთმევას და ჩამორთმეული მიწების გლეხებს შორის განაწილებას ახდენდნენ მიწის კომიტეტები.

ამ კომიტეტებს მუშაობაში დიდად უწყობდა ხელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულება მიწათმოწყობის შესახებ. ეს დებულება დაამტკიცა საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1922 წლის 26 მაისს. მეურნეზე დასატოვებელი მიწის ნორმას განსაზღვრავდა მიწათმოწყობის დებულების მე-6 მუხლის დამატება, სადაც ნათქვამი იყო: „საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე დასახლება, შეუძლია დაიტოვოს 1200 კვ. საჟენი ერთ ნაკრად (ე. ი. 4800 კვ. მ), ხოლო ვისაც სამოსახლოდ ახალი ადგილი უნდა მიეცეს, მას მიეზომება არა ნაკლებ 300 კვ. საჟენისა (ე. ი. 1200 კვ. მ) და არა უმეტეს 600 კვ. საჟენისა (2400 კვ. მ)“[1].

1921 წელს ზუგდიდის მაზრაში მიწის კომიტეტების მუშაობა უმთავრესად მიწის განაწილების მიმართულებით მიმდინარეობდა. ისინი ადგენ-

---

[1] საქ. სსრ ორცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქმე 33, ფურცელი 3.

ლნენ იმ პირების სიას, რომლებსაც ზედმეტი მიწა ჰქონდათ, ცალკე დგებოდა მცირე მიწის მქონე ან უმიწო გლეხების სიები. მიწის კომიტეტები მიწის ჩამორთმევასა და გლეხებს შორის განაწილებას აწარმოებდნენ საუბაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა და სამაზრო რევკომების წარმომადგენლებთან ერთად.

თავდაპირველად მიწის კომიტეტები დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ, ამიტომ მიწათმოწყობის სამუშაოები ზუგდიდის მაზრაში ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ზუგდიდის მაზრის მიწათმოწყობი კ. დგებუაძე თავის მოხსენებით ბარათში, რომელიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაუგზავნა 1921 წლის დამლევს, აღნიშნავს, რომ „1921 წლიდან ზუგდიდის მაზრაში მუშაობას ეწეოდა მიწათმოქმედების კომისია ორ სოფელში — კახათსა და კოკში. სოფელ კახათში მიწის მზომლად მუშაობდა გრეკოვი, ხოლო კოკში — ჯიმბელაშვილი. შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: გასარკვევებულ იქნა კატეგორიებად სოფელ კახათსა და კოკში 6000 დესეტინა მიწა. დასამუშავებლად ვარგისი მიწების კონფისკაცია მოხდენილია 200 დესეტინაზე".[1]

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილების 1922 წლის მონაცემებით, ზუგდიდის მაზრას ეკავა 175.285 დესეტინა. მაზრაში მეშაობდა 5 მიწისმზომელი, მიწების ჩამორთმევა და მიზომვა დაიწყო 1921 წლის ივნისში და ძირითადად დამთავრდა 1922 წლის დეკემბერში. მაზრაში შედიოდა 13 რაიონი და 115 სოფელი, კომლთა რაოდენობა შეადგენდა 26917-ს, მოსახლეობა — 129,162-ს. მიწის ნორმა ერთ სულზე იყო მინიმუმი 1000 კვ. საჟენი, მაქსიმუმი — 3000 კვ. საჟენი[2].

ამრიგად, 1921 წელს ზუგდიდის მაზრის მხოლოდ ორ სოფელში — კახათსა და კოკში — ჩატარდა მიწათმოწყობის სამუშაოები. მიწაც მარტო ამ სოფლებში ჩამოერთვათ მემამულეებს, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით.

ზუგდიდის მაზრის ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის გადაწყვეტილებას აგრარულ საკითხზე. ყრილობამ, რომელიც

---

1 მლისჯპა, ფ. 288, აღწ. 1, საქმე 483, ფურცელი 30.

2 იხილეთ მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილების მოკლე ანგარიში. გაზ. „კომუნისტი" № 40, 1922 წლის 19 დეკემბერი.

1922 წლის 23 იანვრიდან 1 თებერვლამდე მიმდინარეობდა, მოისმინა ფ. მახარაძის მოხსენება „საადგილმამულო პოლიტიკა და სოფლის მეურნეობა საქართველოში“.

პირველმა ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელ თავის იმედს გლეხობა კომუნისტურ პარტიაზე და მუშურ-გლეხურ მთავრობაზე ამყარებს, ვინაიდან მხოლოდ ამ მთავრობას შეუძლია გლეხობას მისცეს მიწის რეფორმის სამართლიანად გადაჭრის საიმედო გარანტია.

საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის შემდეგ დიდი მუშაობა გაჩაღდა აგრარული რეფორმის გასატარებლად. მიუხედავად ამისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატის მოუქნელობით ეს საქმე მაინც ფერხდებოდა. რიგ მაზრებში ძველებურად ფარფაშებდნენ ყოფილი თავადები.

რამდენ მიწას ფლობდნენ მემამულეები ზუგდიდის მაზრაში, რამდენი ჩამოერთვათ და რამდენი გადაეცა გლეხობას, როგორ იყო მიწები განაწილებული 1922 წლისათვის, ამის შესახებ რაიმე ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება.

ზუგდიდის მაზრაში აგრარული რეფორმის გატარებას ეწინააღმდეგებოდნენ ნაციონალ-უკლონისტები და ფედერალისტებიც. საქართველოს საბჭოთა მთავრობის დეკრეტი მიწის შესახებ სპობდა ფეოდალიზმის ყოველგვარ გადმონაშთს და გლეხობას გადასცემდა მთელ მიწას. ნაციონალ-უკლონისტები და ფედერალისტები კი მიწის ყიდვა-გაყიდვის საჯარო ქირის აკრძალვის ნაცვლად მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას მოითხოვდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა, მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია სოფლის მეურნეობის დეგრადაციას გამოიწვევსო.

1923 წელსაც მთელ საქართველოში, მათ შორის ზუგდიდის მაზრაშიც. შემორჩენილი იყო მიწათმფლობელობის ფეოდალური ნაშთები (მიწის იჯარით გაცემა, დაქირავებული შრომის გამოყენება). ამ ნაშთების უსწრაფესად ლიკვიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას მიწათმფლობელობის ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ,

ეს დადგენილება დიდმნიშვნელოვანი რევოლუციური ღონისძიება იყო. იგი ერთი დაკვრით ეღებდა ბოლოს ფეოდალური მიწათმფლობელობის ნაშთებს მთელ საქართველოში.

საქართველოს ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება მიწის რეფორმის შედეგების შესახებ. უნდა შექმნილიყო მიწის საქმეთა სპე-

ციალური კომისია, ხოლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან — საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილება და მისი შესაბამისი განყოფილებანი ცალკეულ მაზრებში.

ზუგდიდის მაზრის საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილება სამაზრო რევკომის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ შეუდგა პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში განხორციელებას და უკვე 1923 წლის დამლევისათვის ზუგდიდის მაზრაში ძირითადად დამთავრდა მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლა და მისი გლეხებს შორის განაწილება.

ამჟამად ზუგდიდის რაიონს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, განსაკუთრებით, ჩაის პროდუქციის წარმოებაში.

კარლო მიქაია

ნარაზენის რევოლუციური წარსულიდან

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინაღმდეგ 1921 წლამდე საქართველოში მენშევიკები ბატონობდნენ. ეს არის პერიოდი, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდა მენშევიკური ძალადობის, უცხოელი ინტერვენტებისა და ყოველგვარი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველი ხალხის ამ ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ზუგდიდის მაზრის მშრომელებმაც, მისმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელიც უკვე 1918 წლის დასაწყისისათვის 114 კომუნისტს აერთიანებდა თავის რიგებში.

როგორც ცნობილია, 1918 წელს თითქმის მთელი საქართველო რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში იყო გახვეული. განსაკუთრებით დიდი ბრძოლები იყო დუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სენაკის მაზრებში, აფხაზეთში, ოსეთში, აჭარაში. შეიარაღებული ბრძოლები გაჩაღდა ზუგდიდის მაზრაშიც.

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და კოორდინირების მიზნით 1918 წლის თებერვალში ქუთაისში მოწვეული იქნა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკური კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებით ბოლშევიკი დელეგატები ცალკეულ მაზრებზე მიამაგრეს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების სახელმძღვანელოდ. კონფერენციაზე აირჩიეს დასავლეთ საქართველოს კომიტეტის მებრძოლი შტაბი ა. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. შტაბს ხელმძღვანელობა

უნდა გაეწია ლეჩხუმისა და სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული ბრძოლისათვის. ამ მიზნით 1918 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში ა. გეგეჭკორი სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად ჩამოვიდა სამეგრელოში და დაიწყო რევოლუციური ბრძოლებისათვის სამზადისი. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მითითება მიეცა, ჩამოეყალიბებინათ მებრძოლი რაზმები, შეეგროვებინათ იარაღი და ყოველმხრივ მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

უკვე 1918 წლის მარტ-აპრილიდან ზუგდიდის მაზრაში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები. მშრომელებმა, რომლებსაც ბოლშევიკები მეთაურობდნენ, მთელ რიგ ადგილებში ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალეს.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზუგდიდის მაზრის სოფელ ნარაზენს. 1917 წლის დასასრულიდან 1921 წლის დასაწყისამდე ეს სოფელი თითქმის განუწყვეტლივ რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლები იყო აქ 1918 წელს. ნარაზენის წითელპარტიზანელებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება 1918 წელს.

ადგილობრივი მენშევიკური მთავრობის მთელი ძალები და მოსაშველებლად ქუთაისიდან გამოთხოვნილი ე. წ. „მფრინავი რაზმები" შეიკრნენ სოფელ ნარაზენ-აბასთუმანში. მცხოვრებლებს იარაღის მთავრობისათვის ჩაბარება მოსთხოვეს, მაგრამ შეიარაღებულ გლეხთა ძლიერ წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ნარაზენ-აბასთუმნის წითელპარტიზანელებს არა ერთი შეტაკება მოუხდათ მთავრობის ჯარებთან, როგორც თვით ნარაზენში, ისე ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლებში: ანაკლიაში, ხეთაში, დიდინჯში, ჭითაწყარში, ხიბულაში, ჭაქვინჯში, ახუთში და სხვაგან. ნარაზენ-აბასთუმნის წითელპარტიზანელები იმ დროისათვის საკმაოდ კარგად იყვნენ შეიარაღებულნი შაშხანებით, ხელყუმბარებით, ტყვიამფრქვევებით, ზარბაზანიც კი ჰქონდათ, რომელიც ერთ-ერთი ადგილობრივი მემამულისათვის წაერთმიათ. მენშევიკების რეგულარული ჯარის დამარცხების შემდეგ ხომ ბევრი ტყვია-წამალი და იარაღი ჩაუვარდათ ხელში.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" 1918 წლის 1 აგვისტოს ნომერში აღნიშნავდა, რომ ნარაზენელ და აბასთუმნელ აჯანყებულ გლეხებს ჰქონდათ 5 ტყვიამფრქვევი, 400 შაშხანა და სხვა სახის იარაღი.

ამ ბრძოლების ერთ-ერთი მონაწილის, რევოლუციის ვეტერანის პავ-

ლე თოდუას თქმით, ნარაზენის წითელპარტიზანელთა რაზმის შემადგენლობა 400-დან 1700 კაცამდე განისაზღვრებოდა.

ცხადია, ნარაზენელთა რაზმში არა მარტო ამ სოფლის მკვიდრნი შედიოდნენ, არამედ ახლომახლო სოფლების რევოლუციურად განწყობილი გლეხებიც.

ნარაზენის წითელპარტიზანელებს ჰყავდათ ხელმძღვანელი შტაბი. შტაბში შედიოდნენ ვ. ქვარაია, ჯ. ჩიჩუა, პ. თოდუა, ი. ნარსია, ტ. კიტია, მ. ქადარია, ბ. თოდუა და სხვები. სხვადასხვა დროს მათ საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ: საშა გეგეჭკორი, სანდრო მახარაძე, შალვა ასკურავა, გრიგოლ როგავა, ივაკი ყვანია, იოსებ ცხაკაია, ბეგი ხაბურზანია და სხვა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები. ზუგდიდის სამაზრო პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო წარმომადგენლები აქ იყვნენ პროპაგანდისტებად და სამხედრო მეთაურებად.

ნარაზენელ წითელპარტიზანელთა ერთ ერთ ყველაზე გამბედულ ოპერაციად უნდა ჩაითვალოს მათ მიერ სამაზრო ცენტრის — ზუგდიდის აღება 1918 წლის ივნისში. „აჯანყებულები დაიძრნენ ზუგდიდისაკენ, აიღეს იგი, გააღეს ციხის კარები და გაანთავისუფლეს ყველა პატიმარი"[1].

სოფელ ნარაზენში ძლიერი წითელპარტიზანული შენაერთისა და შტაბის არსებობა სხვადასხვა მიზეზებმა განაპირობა. მათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქ იყო გერმანელი მრეწველის პროცერის საკმაოდ დიდი სპირტსახდელი ქარხანა, სადაც სეზონში ასეულობით ადამიანი მუშაობდა.

ფრანც ფრანცის ძე პროცერმა ნარაზენ-აბასთუმნის ნოყიერი და მუხნარით დაფარული მიწები ანდრია დადიანისაგან იყიდა და XX საუკუნის დასაწყისშივე ააშენა სპირტსახდელი ქარხნის ძირითადი კორპუსი სამოცამდე დამხმარე ნაგებობით. სპირტსახდელ ქარხანაში დამონტაჟებული იყო იმ პერიოდისათვის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი გერმანული მარკის ქვაბები და მანქანა-დანადგარები. პროცერის ქარხნის მუშების გადმოცემით, აქ 1917-1918 წლებში ყოველდღიურად აწარმოებდა 120 ვედრო (1200 ლიტრი) 90-80 გრადუსიანი სხვადასხვა ხარისხის სპირტი.

დაარსების პირველ ხანებში პროცერის ქარხნის ყველა სპეციალისტი: გამომხდელი, სპირტის დამყენებელი, მექანიკოსი, მემანქანე, ცეცხლ-

---

[1] ი. მირცხულავა. „ოქტომბრის რევოლუცია" და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში". თბ. 1967 წ. გვ. 159.

ფარეში და სხვა, უცხოელი იყო, მაგრამ თანდათან ადგილობრივმა დამ-ხმარე მუშებმაც აითვისეს ძირითადი სპეციალობები. ასე მაგალითად, კოსმან თოდუამ გამომხდელის სპეციალობა ისწავლა, ეფრემ თოდუამ — ცეცხლფარეშისა, სამელი თოდუამ — მექანიკოსისა.

სპირტის გამოხდა აგვისტოში იწყებოდა და აპრილამდე გრძელდებოდა. მაის-ივნის-ივლისის ცხელ დღეებში კი ქარხანა გაჩერებული იყო და ახალი სეზონისათვის ემზადებოდა.

ქარხნის ძირითადი ნედლეული იყო სიმინდი, აგრეთვე ყურძენი. პროცერი ნედლეულს ნაწილობრივ თვითონ აწარმოებდა, მეტწილად კი გლეხებისაგან ყიდულობდა იაფად. ძირითადი პროდუქცია — სპირტი, აგრეთვე ნაწილობრივ, კონიაკი საზღვარგარეთ იგზავნებოდა გემებითა და რკინიგზით. ტრანსპორტირების გაადვილებისა და ქარხანაში სხვადასხვა მოწყობილობისა და სამშენებლო მასალის ადვილად მოზიდვის მიზნით პროცერმა ნარაზენიდან ხეთამდე გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. პატარა რონოდების გამწევი ძალა იყო ‘ ხარ-კამეჩი ან ცხენები. შემდეგ სენაკი-ფოთის ჩვეულებრივი რკინიგზით ტვირთი უფრო ადვილად ჩადიოდა ფოთში.

სპირტის გამოსახდელად დიდი რაოდენობით იყო საჭირო წყალი. ამ მიზნით, კილომეტრ-ნახევარზე გაკვანილ იქნა წყალსადენი და ქარხანამ წყაროს წყალი მიიღო.

პროცერის სპირტსახდელ ქარხანაში გამეფებული იყო კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი შრომის საშინელი ექსპლოატაცია, 14-16 საათიანი სამუშაო დღე, შრომის ძალზე დაბალი ანაზღაურება, აუტანელი პირობები; ბამბუკის ჯოხებით ცემა აქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გაელენით 1918 წელს პროცერის ქარხნის მუშებში საგრძნობლად გაძლიერდა რევოლუციური განწყობილება. ეწყობოდა ორგანიზებული გაფიცვები, მანიფესტი. ფრანც პროცერის შვილი ედუარდ პროცერი[1] იძულებული იყო ბევრ მისთვის არასასიამოვნო დათმობაზე წასულიყო.

---

[1] ფრანც პროცერის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ნარაზენშია დასაფლავებული, სპირტსახდელ ქარხანას მართავდა მისი შვილი ედუარდ პროცერი. მან საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან შეთანხმებით, 1920 წელს გაყიდა ადგილ-მამული და სპირტსახდელი ქარხანა. მისი ახალი მფლობელი გახდა ბახუტაშვილი. როგორც ჩვენ მიერ გამოვლენილი ახალი საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ ქარხნის გაყიდვა შეთანხ-

ნარაზენ-აბასთუმნისა და მისი ახლო-მახლო სოფლების მშრომელები, ისევე როგორც, საერთოდ, ქართველი გლეხობა, უკმაყოფილონი იყვნენ ჟორდანიას მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით. მათ განსაკუთრებით აწუხებდათ აგრარული საკითხის მოუგვარებლობა. მენშევიკების დროს სახნავ-სათესი ისევ მემამულეების მფლობელობაში დარჩა, მშრომელ გლეხობას სულს უხუთავდა უმიწობა. მენშევიკები გლეხობას პირდებოდნენ მიწას, მაგრამ მათი დაპირება წმინდა წყლის სიცრუე იყო. ზუგდიდელი მენშევიკები იქამდეც კი მივიდნენ, რომ აგრარული რეფორმის გაუტარებლობა ბოლშევიკებისათვის უნდოდათ დაებრალებინათ.

აფრიალდა თუ არა სოფელ ნარაზენის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, წითელპარტიზანელთა შტაბმა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა. ხალხიც აღფრთოვანებით ეხმარებოდა მათ. აჯანყებულებთან ერთად თხრიდნენ სანგრებს, მოჰყავდათ ცხენები, ურმები, მოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, უვლიდნენ დაჭრილებს. თავდაცვით სამუშაოებზე ხალხი რევოლუციური სიმღერებით ეამოდიოდა.

ნარაზენში, ისე როგორც საქართველოს სხვა სოფლებში, 1918 წელს ბევრი იყო ჯარიდან დაბრუნებული ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცი. ცნობილია, რომ 1918 წლის გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებაში მათ დიდი როლი ითამაშეს. დიდი ორგანიზებულობა შეიტანეს ყოფილმა ჯარისკაცებმა ნარაზენელ აჯანყებულებშიც. რაზმი დაიყო ათეულებად, ასეულებად. აჯანყებულები ეწეოდნენ ყაზარმულ ცხოვრებას (იდგნენ პროცერის ქარხნის შენობაში), ჰყავდათ მეკავშირეები, მზვერავები, საყარაულო დაცვა და სხვა. ნარაზენის წითელპარტიზანელთა შტაბის თითქმის ყველა წევრი აგრეთვე ყოფილი ჯარისკაცი იყო.

ნარაზენელ აჯანყებულებს ბრძოლებში სწრაფი მანევრირების საშუალებას აძლევდა დაახლოებით 300 კაციანი ცხენოსანთა რაზმი, რომელსაც ი. შამათავა და ი. კემულარია მეთაურობდნენ.

1918 წლის მაის-ივნისში მენშევიკების ჯარის ნაწილებმა და ადგილობრივმა მილიციამ ვერ შეძლეს ნარაზანელ აჯანყებულთა გატეხვა. ზუგდიდის მენშევიკური ხელისუფლება არა ერთხელ იძულებული გამხდარა,

---

მებელი არ ყოფილა ზუგდიდის მაზრის ერობასთან. რის გამო ერობის ხმოსანთა ყრილობამ 1920 წლის მარტში უკმაყოფილების დეპეშა გაუგზავნა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა წილი ქარხნის ქონებიდან ერობის სასარგებლოდ.

ამ საქმის გამო წინაღმდეგობას ჰქონდა ადგილი ედუარდ პროცერსა და ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობას შორის (საქ. სსრ ცსა ზუგდიდის ფილიალი, ფონდი 1, საქმე 32, ფურცელი 19 და საქმე 33, ფურცელი 30).

დელეგაცია გაეგზავნა ნარაზენში, მაგრამ მათმა დემაგოგიურმა დაპირებებმა ვერ მოხიბლა ნარაზენელები.

1918 წლის 22 ივნისს სოფელ ნარაზენში შეიკრიბა ამ სოფლისა და ახლომდებარე სოფლების თითქმის ყველა მოზრდილი მამაკაცი. ამ დღეს ნარაზენში ერთხელ კიდევ ჩავიდა მენშევიკების დელეგაცია. მან აჯანყებულებს იარაღის ჩაბარება მოსთხოვა, პირდებოდნენ, არავის არ დაესჯითო.

აჯანყებულებმა მენშევიკების ეს დელეგაციაც მტკიცე უარით გაისტუმრეს და გადაწყვიტეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

სწორედ ამ დღეს, 1918 წლის 22 ივნისს, გერმანელ ფონ-კრესის გამოგზავნილმა თვითმფრინავმა დაბომბა ნარაზენელთა შტაბი.

თვითმფრინავმა სულ რამდენიმე ყუმბარის ჩამოგდება მოასწრო, მათგან ერთი ეკლესიის ეზოში ჩამოვარდა, მეორემ პილა თოდუას სახლის ნაწილი მოანგრია. ნარაზენელთა გადმოცემით, ყუმბარები ჩამოგვარდნილა პეტრე ბიგვავას და გლეხი ქალის სადაო როგავას ეზოშიც.

ამდროინდელ ბრძოლებზე ი. ყვანია შემდეგს აღნიშნავდა: „მენშევიკთა ჯარი შეუდგა აჯანყების ჩაქრობას ნარაზენ-აბასთუმანში. მთელი ტერიტორია ზარბაზნების ცეცხლით იყო გადაბუგული. ღლონტის ჯარებს ანაკრებდა ვილჰელმის მფრინავები"[1].

როგორც ცნობილია, აჯანყებული ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოღალატე მენშევიკურმა მთავრობამ გერმანელთა ჯარის ნაწილებიც მოიწვია. ისინი კი ბრძოლაში ჯავშნიან ავტომანქანებსაც იყენებდნენ.

სამხედრო თვითმფრინავის გამოჩენამ, რომელიც პირველი შემთხვევა იყო ნარაზენის ისტორიაში, დაბნეულობა როდი გამოიწვია აჯანყებულებში. ამ ამბების უშუალო მონაწილემ, ყოფილმა წითელპარტიზანელმა ე. ქადარიამ მოგვითხრო, თუ როგორ გაუხსნეს ჯგუფური ცეცხლი მტრის თვითმფრინავს და როგორ გააბრუნეს იგი უკან.

ცნობილი ფაქტია, რომ პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში, 1914 წელს, მოკავშირეებმა რვაჯერ შეუტიეს ჰაერიდან გერმანიას, ამ თავდასხმებში სულ 14 თვითმფრინავი ონაწილეობდა და 33 ყუმბარა ჩამოაგდეს. მართალია, შემდგომ წლებში სამხედრო თვითმფრინავების რიცხვი საგრძნობლად გადიდდა, მაგრამ 1918 წელს სამეგრელოს სოფლის თავზე მტრის თვითმფრინავის გამოჩენა მაინც უჩვეულო მოვლენა იყო.

---

[1] „რევოლუციის მატიანე", 1931 წ. № (24) 1. გვ. 94.

„საქართველოში გლეხთა აჯანყება გრძელდება; გერმანელები მონაწილეობას ღებულობენ აჯანყების ჩახშობაში... და თავაზობენ თავიანთ სამსახურს აჯანყების ჩასახშობად სამეგრელოში“, — წერდა ს. ორჯონიკიძე 1918 წელს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში.

ზუგდიდის მაზრაში 1918 წლის ივნის-ივლისში ისე გაძლიერდა გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები, რომ უკვე აჯანყებულთა კონტროლს ემორჩილებოდა არა მარტო თვით ზუგდიდი, არამედ მთელი მაზრის ტერიტორიაც.

გაზეთ „შრომის“ 1918 წლის 14 აგვისტოს ნომერში ვკითხულობთ: „ზუგდიდი გარშემორტყმულია ბოლშევიკების მიერ. მიმოსვლა ქალაქთან შეწყვეტილია, რის გამო ზუგდიდი მოწყვეტილია მთელ მხარეს. არ მიდის არც ფოსტა, არც გაზეთები. ბოლშევიკების ჯარი (რაზმი) დაბანაკებული არის სოფელ ნარაზენში. ბოლშევიკებს ძალა თანდათან ემატებათ. მათ მოახდინეს ყველა ახალგაზრდის მობილიზაცია. ხობში დიდი ბრძოლა სწარმოებს მთავრობის რაზმებსა და ბოლშევიკებს შორის. ბოლშევიკები იმარჯვებენ“[1].

ასე რომ, 1918 წელს ნარაზენი ზუგდიდის მაზრის მშრომელების რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა დარწმუნდა, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხთა აჯანყება სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა მის არსებობას და 1918 წლის აგვისტო-სექტემბერში აჯანყებულთა წინააღმდეგ რეგულარული ჯარის ნაწილებთან და მილიციასთან ერთად უკვე მენშევიკური გვარდიაც დაიძრა. სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლები გაიმართა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, აფხაზეთში.

1918 წლის სექტემბერში მენშევიკური გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი, რომელიც ამ დროს ხობში იმყოფებოდა, აღნიშნავდა: „ხვალ გადავდივართ აბასთუმნისაკენ და განზრახული გვაქვს ჩრდილოეთიდან, ხეცორიდან, გზა შევუკრათ აბასთუმნელ ბანდიტებს, განვაიარაღოთ ზენი, ნარაზენი, ხიბულა... მოსახლეობა ძალიან ცუდად გვხვდება და მზად არის მტრად მიგვიღოს“.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, აჯანყებულები მაინც დამარცხდნენ. მენშევიკური გვარდიის ნაწილებმა მძიმე ბრძოლებით დაიკავეს

---

[1] ჯ. ჯიშკარიანი, „ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის პერიოდში“. თბ. 1968 წ. გვ. 72.

ნარაზენ-აბასთუმანი, წალენჯიხა, შამგონა და სასტიკი ბრძოლები გამართეს სამურზაყანოს ტერიტორიაზე.

მენშევიკური გვარდია შეუბრალებლად უსწორდებოდა მოსახლეობას, უწვავდნენ სახლ-კარს, განსაკუთრებით ულმობლად ეპყრობოდნენ ბოლშევიკებს. ტყუილად როდი ამბობდა მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი თეთრგვარდიელ გენერალ დენიკინთან საუბარში 1918 წელს: ბოლშევიკებთან ურთიერთობის საკითხის შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს საზღვრებში ბრძოლა ბოლშევიკებთან ულმობელია. ჩვენ ყველა საშუალებით, რაც ხელთა გვაქვს, ვსპობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ემუქრება ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას და ვფიქრობთ, რომ ამის შესახებ ჩვენ უკვე მოგეცით მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთებისა, რომელნიც თავისთავად ლაპარაკობენ.

მოღალატურმა მენშევიკურმა მთავრობამ მხოლოდ გვარდიისა და ულხოვანთა დახმარებით შეძლო 1918 წლის აჯანყების ჩახშობა.

სწორედ მენშევიკური საქართველოს მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წელს აღნიშნავდა: „თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა წმინდა წყლის თვალთმაქცობად გადაიქცა, — სინამდვილეში ეს იყო საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“[1].

ქართველი ხალხის, მათ შორის ზუგდიდის მაზრის მშრომელების შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1918 წელს დამარცხდა, მაგრამ მან თავისი როლი შეასრულა მენშევიკური დიქტატურის დამხობის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო იმ მარადსახსოვარი დღეებიდან. ამაოდ არ ჩაუვლია ქარიშხლიან, ბობოქარ პერიოდს. სულ სხვა სურათია ამჟამად.

ახლა ბრმაც კი ხედავს ნარაზენელთა უჩვეულო წარმატებას, ყრუსაც კი ესმის აღმავლობის გზაზე მომავალი სოფლის გოლიათური ნაბიჯების ხმა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28, გვ. 7—8.

1918 წლის ბრძოლების ტერიტორიაზეა ჩაის ორი დიდი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, ჩაის ფაბრიკა, ორი საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღები, კლუბები, ბიბლიოთეკები...

1968 წელს მარტო ნარაზენელებმა ოთხი ათას ტონამდე ჩაის ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს, ახლა სპირტი კი არა, სიცოცხლის ელექსირი — არომატული ქართული ჩაი მზადდება ნარაზენში.

ლამაზია, კარგია ნარაზენის შემოგარენი, მაგრამ მას მარტო მარადმწვანე ფერდობები როდი ამშვენებს, მას ამშვენებს მისი სახელოვანი რევოლუციური წარსული და კიდევ უფრო დიდებით მოსილი დღევანდელობა.

ზაზანბი პაპკორია

ანაკლიის წარსულიდან

სოფელი ანაკლია შავ ზღვასთან, მდინარე ენგურის შესართავის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

ანაკლიის წარსული ორგანულად არის დაკავშირებული ძველი კოლხეთის სამეფოს ისტორიასთან. ამ წერილს არა აქვს პრეტენზია, სრულყოფილად გააშუქოს ანაკლიის ისტორია. მისი მიზანია, გადმოსცეს ზოგიერთი მომენტი ამ უძველესი დასახლებული პუნქტის წარსულიდან.

1935—1936 წლებში აკ. ჭანტურიას ხელმძღვანელობით ანაკლიაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც დაადასტურა, რომ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე ენგურის შესართავის ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული. მოწინავე მხარე ყოფილა.

ანაკლიის ერთი მონაკვეთის — დიხა გუძუბას არქეოლოგიური მასალები დაამუშავეს და შეისწავლეს პროფესორმა ბ. კუფტინმა, ნ. ხოშტარიამ და სხვებმა. კუფტინის დასკვნით, ნაპოვნი მასალები ადრე ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, ე. ი. მათი ასაკი 4—5 ათასი წლით განისაზღვრება.

დიხა გუძუბას გათხრებმა დღის ნათელი მოჰფინა უამრავ კერამიკულ ნივთს, ხის შენობას, აღმოჩნდა კულტურული მცენარეულობის (ფეტვი, ხორბალი, სელის ნაშთები, ცხოველთა ძვლები და სხვა. არქეოლოგ ნ. ხოშტარიას აზრით, ადრე ბრინჯაოს ხანის ანაკლიაში მაღალ დო-

ნეზე მდგარა მიწათმოქმედება, მეხცოველეობა, მეთევზეობა, ხის დამუშავება, ძაფის რთვა და ქსოვა.

ანაკლიის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა, უეჭველია, კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს მის წარსულს და მასთან ერთად ძველი კოლხეთის მდიდარ ისტორიასაც.

პირველ წერილობით ცნობებს კოლხეთის ზღვისპირა პუნქტების შესახებ ანტიკური დროის მწერლები გვაწვდიან.

ცნობილია, რომ ადრე კლასობრივ ხანაზე გადასვლამ დააჩქარა საქალაქო ცენტრების გამოყოფა. ზღვისპირა ქალაქებიდან ანტიკურ პერიოდში დაწინაურდნენ ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი, პიტიუნტი. მათ იხტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა დაამყარეს ხმელთაშუა ზღვის აუზის ბერძნულ საქალაქო ცენტრებთან.

დღესდღეობით ანტიკურ ხანაში ენგურის შესართავის დასახლებაზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია ძველ მწერლებს, მემატიანეებს და პერიპლუსის ავტორებს არაფერი ეთქვათ ისეთ სტრატეგიულ პუნქტზე, როგორიც იმ დროს ენგურის შესართავი უნდა ყოფილიყო, ან დასახელებიდან გამორჩენოდათ ისეთი წყალუხვი სანაოსნო მდინარე, როგორიც ენგურია, მაშინ, როცა ისინი სხვა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან პუნქტებსა და მდინარეებს მოუხსენიებელს არ სტოვებენ.

როგორც ცნობილია, ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის პირველ ნახევარში რომის პროვინციის მოხელემ არიანემ დაწვრილებით აღწერა შავი ზღვის სანაპიროები და მოხსენება წარუდგინა იმპერატორს. არიანე წერს: „ფაზისიდან ჩვენ გავიარეთ სანაოსნო მდინარე ქარიენტი, მათ შორის მანძილი ოთხმოცდაათი სტადიონია. ქარიენტიდან გავიარეთ ოთხმოცდაათი სტადიონი და შევცურეთ მდინარე ქობოსში. აქ ღუზაზე დავდექით. თუ რატომ (შევისვენეთ აქ) და რა მოვიმოქმედეთ, შენთვის ცხადი გახდება ლათინური წერილიდან. ქობოსის შემდეგ გავიარეთ სანაოსნო მდინარე სინგამე, რომელიც ქობოსს დაშორებულია მხოლოდ ორას ათი სტადიონით. მდინარე სინგამის შემდეგ არის ტარსურა, მათ შორის მანძილია ას ოცი სტადიონი. მდინარე ჰიპოსი დაშორებულია ტარსურას ას ორმოცდაათი სტადიონით"...“[1] და ა. შ.

---

[1] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეკელიძის გამოცემა, 1961 წ. გვ. 70—71.

სამი საუკუნის შემდეგ პერიპლუსის ანონიმი ავტორი არიანეს ზემოთ მოყვანილ თხრობას შემდეგ რედაქციას აძლევს: „მდინარე ფაზისიდან მდინარე ქარიენტამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი, მდინარე ქარიენტიდან მდინარე ქობოსამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე ქობოსიდან მდინარე სინგამემდე (რომელსაც ძიგანისიც ეწოდება) ორას ათი სტადიონია, ოცდარვა მილი. ძიგანისიდან მდინარე ტარსურამდე (ახლა რომ მოხე ეწოდება) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მილი. მდინარე ტარსურიდან მდინარე ჰიპოსამდე (ახლა რომ ლაგუმფსა ეწოდება) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი...“[1] და ა. შ.

როგორც ამ ამონაწერებიდან ჩანს, ფაზისიდან (რიონიდან) ხობამდე ერთი მდინარე — ქარიენტია — დასახელებული, რომელიც 90 სტადიონით[2] (ე. ი., დაახლოებით, 16 კილომეტრით) არის დაშორებული ფაზისს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. თუ მანძილებით ვიხელმძღვანელებთ, „ქარიენტი“ ზუსტად ემთხვევა ხობს, „ქობოსი“ — ენგურს. რაც შეეხება სინგამეს ანუ ძიგანისს, გამორკვეულია, რომ ეს სახელი ეფარდება თანამედროვე ოქუმ — ერისწყლის გაერთიანებულ შესართავს, რომელიც ძიღანების სახელითაა ცნობილი (გუდაყვა).

გამოდის, რომ ენგურს ამ დროისათვის ან ხობი („ქობოსი“) უნდა რქმეოდა, ანდა არიანეს ეს სახელი შეცდომით უნდა შეეფარდებინა ენგურისათვის და მისი ნამდვილი სახელი სხვა უნდა ყოფილიყო. ასეთი შეცდომა არიანეს იმ შემთხვევაში შეეძლო მოსვლოდა, თუ მდინარე ხობს მეორე სახელი — ქარიენტიც (ბერძნულად) ექნებოდა.

ასეა თუ ისე, მდინარეთა დასახელებაში არ შეიძლება არიანეს ენგური გამოეტოვებინა და სამართლიანად მიუთითებენ დღეს მკვლევარები, რომ არიანეს „ქობოსი“ ფაქტიურად ენგურია.

ამრიგად, არიანე წამოსულა მდინარე ფაზისის შესართავიდან (ე. ი. ფოთიდან), გაუვლია მდინარე ხობის შესართავი და შემოსულა ენგურის შესართავში (ე. ი. ანაკლიაში) და, როგორც თვითონ ამბობს, აქ შეჩერებულა, რაღაც გაუკეთებია და ცალკე სპეციალური წერილით უცნობებია რომის იმპერატორისათვის (საერთო ანგარიშისათვის არ დაუცდია).

გამოდის, რომ არიანეს დაწვრილებით აუწერია ანაკლიის მიდამოები, მაგრამ ამ წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია.

---

[1] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 88.

[2] სტადიონში ფ. ბრუნი გულისხმობს 185 მეტრს, ნ. კეკელიძე — 180 მეტრს, ნ. ლომოური — 177,4 მეტრს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა ძველად ენგურის შესარ-თავთან ქალაქი ყოფილიყო. ჯერ კიდევ ლუდოვიკო გრანჟერო, არქანჯელო ლამბერტი და ჟან შარდენი ფიქრობდნენ, რომ სახელი ანაკლია მომდინარეობს ძველად აქ არსებული ქალაქის, ჰერაკლეას სახელწოდებიდან. მკვლევარ ნოდარ ლომოურს შესაძლებლად მიაჩნია, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II საუკ.) „ნეაპოლისი" (ახალი ქალაქი) ენგურის შესართავთან ვივარაუდოთ[1].

აღრე ფეოდალური ხანისა და შუა საუკუნეების ანაკლიაზე თითქმის არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. საერთოდ, ამ პერიოდის შავი ზღვის სანაპიროების პუნქტებზე ცნობები ძალზე მცირეა. გვიან ფეოდალურ ხანაში კი ანაკლიაზე ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მისიონერები და მოგზაურები. ამ დროს ანაკლიაში უკვე თურქები ბატონობდნენ. ისინი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე ინტენსიურად ესხმიან თავს დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს და ცდილობენ ფეხი მოიკიდონ არა მარტო შავი ზღვის სანაპირო პუნქტებში, არამედ ქვეყნის სიღრმეშიც.

1737 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე V დავალებით შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია ანაკლიის ციხე-სიმაგრეც, სადაც თურქთა გარნიზონი იდგა[2].

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ანაკლიის ციხე-სიმაგრე აუშენებიათ 1703 წელს. „ანაკლიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესა ჩღგ, ქართულსა ტჟა. აწცა უპყრავთ მათვე"[3].

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა სამეგრელოში, თავის „აღწერაში" და თანდართულ რუკაზე აღნიშნავს „ანაკრიას", მიუთითებს იქ არსებულ მონასტერზე და ამბობს, რომ ეს ადგილი ძველად ჰერაკლეად იწოდებოდაო[4].

ანაკლიაზე უფრო დაწვრილებით მასალებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. იგი საქართველოში ჩამოსულა 1672 წელს. 10 სექტემბერს მისი ხომალდი მოადგა ნავსაყუდელს, რომელსაც იგი ისგაურს[5]

---

1 ნ. ლომოური, ეგრისის ისტორია. 1968 წ., გვ. 36.

2 შ. ბურჭანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელთნ. ინსტ. მოამბე, I. 1959 წ. გვ. 183.

3 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ. გვ. 167.

4 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, 1938 წ. გვ. 112.

5 ისგაურის ადგილსამყოფელის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოთქვა (დიოსკურია-სებასტოპოლი, ყულევი და სხვა). პროფ. ი. ანთელავა და მკვლევარი თ. ბერაძე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შარდენის ისგაური (ისკურია) კოდორის აღმოსავლეთით, ზღვასთან, მდინარე სკურჩას შეერთების ადგილას მდებარეობდა.

უწოდებს, ხოლო 4 ოქტომბერს, ღამით, შარდენი ენგურის შესართავში, ანაკლიაში შემოვიდა.

ჟან შარდენი ასე აღწერს ანაკლიას: „ეს სოფელი ზღვიდან ორი ვერსით არის დაშორებული და შესანიშნავი ადგილია სამეგრელოში. სოფელში ასი კომლია, მაგრამ სახლები ისეა დაშორებული ერთი მეორისაგან, რომ ერთიდან მეორემდის მანძილი ორ ეჯს უდრის. ამ სოფელში ყოველთვის იმყოფებიან ოსმალები, რომლებიც ყიდულობენ მონებს და აგრეთვე ნაევებსაც მიხების გადასაყვანად. ამბობენ, რომ ის იმ ალაგას არის გაშენებული, სადაც ოდესმე იყო დიდი ქალაქი სახელად ჰერაკლე".[1] (გვ. 16).

როგორც შავი ზღვის სხვა სანაპირო პუნქტებიდან, ანაკლიიდანაც ოსმალო დამპყრობლებს გაჰყავდათ ტყვე ქართველები, რაზეც შარდენიც მიუთითებს. თურქი და ადგილობრივი მეკობრეების უმსგავსი საქციელი უცხოელი მოგზაურების აღშფოთებასაც კი იწვევდა. შარდენი თავის დღიურში როგორც თვითმხილველი, აგვიწერს მოსახლეობის აწიოკების გულშემზარავ სურათებს, რომელიც „მხოლოდ ბარბაროსთა გულს ვერ ალხობდა" (ხალხური გადმოცემა ანაკლიის სახელწოდებას ტყვეთა გაყვანას უკავშირებს).

შემდეგ ჟან შარდენი ანაკლიაზე წერს: „სანამ ანარგიაში (ე. ი. ანაკლიაში) ვცხოვრობდით, საქმლის ნაკლებობა არ განგვიცდია. აქ შინაური ფრინველის, გარეული მტრედის, ღორისა და თხის შოვნა შეიძლებოდა. ჩემი მსახურები ყველაფერს ამას სცვლიდნენ ტილოსა, ნემსებსა, მელანსა, სავარცხლებსა და დანებზე" (გვ. 17).

შარდენის ამ თხრობიდან აშკარად ჩანს, რომ ანაკლია ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის პუნქტსაც წარმოადგენდა იმდროინდელ სამეგრელოს სამთავროში.

XVII—XVIII საუკუნეების ანაკლიის, როგორც სავაჭრო პუნქტის შესახებ, ყურადღებას ამახვილებს პროფ. შ. მესხია. მისი აზრით, ანაკლიის ნავსადგური ვაჭრობის გამო პატარა ქალაქის როლსაც თამაშობდა. შ. მესხიას მოყავს რეინეგსის დახასიათება ანაკლიისა, როგორც ქალაქისა და სიმაგრისა. ასევე შეიტანეს იგი თავიანთ რუკაზე 1804 წელს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამეგრელოს აღწერისას. მაგრამ

---

[1] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში. თარგმანი ე. ბარნოვისა, აკ. გაწერელიას წინასიტყვაობით და განმარტებებით, 1935 წ.

XVII—XVIII საუკ. ქართულ წყაროებში, — აღნიშნავს შ. მესხია, — ანაკლია ქალაქად არ იხსენიება.[1]

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების დიდი ნაწილი და მათ შორის ანაკლიაც რუსეთის ჯარის დახმარებით საბოლოოდ განთავისუფლდა ოსმალო დამპყრობლებისაგან, დაიწყო ანაკლიის აღორძინება, მისი სავაჭრო-ეკონომიური პოტენციალის თანდათან ზრდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ანაკლია იწოდება დაბად და სიმაგრედ. მის ნავსადგურს აქვს როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო მნიშვნელობა[2], თუმცა ანაკლიის ნავსადგურს არსებითი ნაკლოვანებებიც გააჩნია[3]. იგი არა მარტო მოუწყობელი იყო, არამედ ზღვის სანაპიროს სიმეჩხრის გამო გემებს ნავმისადგომთან ახლო მისვლა არ შეეძლოთ და მისგან 2—3 კილომეტრით ღია ზღვაში ჩერდებოდნენ. მაგრამ ანაკლიის ასეთ პირობებში გამოყენება ნაკარნახევი იყო დროის მოთხოვნილებით და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა ნავსადგურების მდგომარეობით.

XIX საუკუნის დამლევისათვის ანაკლიის ნავსადგურის ტვირთბრუნვა შესამჩნევად იზრდება, უმთავრესად, სიმინდის დიდი რაოდენობით გატანის გამო. ვაჭრები აქ იაფად იძენდნენ სიმინდს და ორმაგად და უფრო ძვირად ყიდდნენ საზღვარგარეთ. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი წერს, გლეხებს უმოწყალოდ ატყუებენ უცხოელი ვაჭრები და ადგილობრივი ჩარჩებიო, მაგრამ, — განაგრძობს გაზეთი, — „რა ჰქნას გლეხმა, თუ არა სიმინდით, რით დაიკმაყოფილოს ოჯახის სხვადასხვა მოთხოვნილება, რით გადაიხადოს სახელმწიფო ბეგარა, მღვდლის და მასწავლებლის ფული, როდესაც სხვა შემოსავლიანი წყარო არაფერი გააჩნია? მოვა „ფოსტის“ ფულის გადახდის დრო და იგი ნებით თუ უნებლიედ იძულებულია სიმინდი ან მესამედ ფასად ჩაუგდოს სოფლის ჩარჩებს ხელში, ან თავისი ურმით ანაკლიას მიიტანოს და იქ მიჰყიდოს უცხოელს“[4].

იგივე გაზეთი სამი წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება სიმინდით ვაჭრობის საკითხს ანაკლიაში და მოითხოვს საბაჟოს გაფართოებას, ფოსტა-ტელეგრაფის გახსნას, ამასთან ერთად, გაზეთი მკითხველებს აცნობებს,

---

[1] შ. მესხია, ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში. 1959 წ., გვ. 120, 124.

[2] აქტები (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისა), ტ. II, გვ. 471.

[3] იქვე.

[4] გაზ. „ივერია“ 1895 წ. № 23.

რომ ანაკლიაში გაიხსნა სამრეველო სკოლა, გაუმართავთ აგრეთვე „სალიტერატურო საღამო“, რომელსაც ანაკლიის თითქმის მთელი მოსახლეობა დასწრებია და შეგროვილი ფული — 22 მან. და 50 კაპ. — შეუტანიათ სკოლის ასაშენებლად[1].

XX საუკუნის დასაწყისში ანაკლიის ნავსადგურის ტვირთბრუნვის მასშტაბზე მიუთითებს ოფიციალური საარქივო მასალები. 1901 წელს ანაკლიაში შემოსულა კაბოტაჟური ცურვის 82 გემი[2]. ამავე წელს ანაკლიაში შემოუტანიათ 330.105 ფუთი, ხოლო გაუტანიათ 632.604 ფუთი სქონელი[3], ე. ი. საერთო ტვირთბრუნვას თითქმის მილიონი ფუთისათვის მიუღწევია.

1903 წლის მასალებიდან ჩანს, რომ ანაკლიაში შემოუტანიათ პურის ფქვილი 54.000 ფუთი, მარილი 39.000, ნავთი 5.000, ცემენტი 4.000 და სხვ., სულ 138.000 ფუთი.

ანაკლიიდან ამავე წელს გაუტანიათ სიმინდი 334.000 ფუთი, ხე-ტყე და შეშა 53.000, ხილი და ბოსტნეული 6.000, თევზი 7.000 და სხვ., სულ 402.000 ფუთი[4].

თუ 1901 წელს დაბა ანაკლიაში ადგილობრივი შემოსავლიდან მიუღიათ 633 მან., 1909 წლისათვის შემოსავალი 2282 მანეთამდე გაზრდილა[5].

ამრიგად, კაპიტალიზმის დროინდელი ანაკლიის ნავსადგურს წინა პერიოდთან შედარებით გამოცოცხლება დატყობია. მაგრამ ხალხისათვის ამას არავითარი სიკეთე არ მოუტანია. მშრომელ გლეხს ძველებურად ორმაგად ატყუებდნენ ადგილობრივი ჩარჩები და უცხოელი სპეკულანტ-კომერსანტები.

თუ რევოლუციამდელი ანაკლია სრულიად მოუწყობელი და თავმინებებული იყო, მისი შედარებაც კი არ შეიძლება დღევანდელ ანაკლიასთან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად იცვალა სახე ამ უძველესმა დასახლებულმა პუნქტმა. აქ არის უდიდესი მერძეველობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა; ანაკლია ბავშვთა ზღვისპირა კურორტად დამტკიცდა. ათეულობით დასასვენებელ სახლში ათასობით ბავშვი ისვენებს ყოველწლიურად. ანაკლიაში არის საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, სამკითხველო, კეთილმოწყობილი საავადმყოფო, კინო-თეატრი.

---

1 გაზ. „ივერია“ 1898 წ. № 238

2 იხ. ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვა 1901 წლისათვის, გვ. 64.

3 იქვე, გვ. 39

4 იგივე საბუთი 1903 წლისათვის, ცხრილი № 15.

5 იგივე საბუთი 1901 წლისათვის, გვ. 62; 1909 წლისათვის, გვ. 57.

სოფლის ცენტრს ამშვენებს ორსართულიანი სასტუმროს კაპიტალური ნაგებობა, კეთილმოწყობილი სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, სასადილოები. ლამაზად გამოიყურება ანაკლიაში მცხოვრები ყოველი ოჯახის ეზო-კარი. ისლით გადახურული ქოხები მოგონებად დარჩა. დავიწყებას მიეცა სიღარიბე.

დღითი დღე ლამაზდება და სახეს იცვლის ეს მრავალჭირნახული დაბა.

მამანტი კაპკორია

ნიკო ნიკოლაძე და ფოთი

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე 1894—1915 წლებში ფოთში ქალაქის თავად მუშაობდა. აღნიშნულ პერიოდში მან დიდი შრომა გასწია უძველესი ქართული ქალაქის — ფოთისა და მისი ნავსადგურის დაწინაურებისათვის.

ცნობილია, რომ ფოთს შორეული წარსული აქვს. ანტიკურ და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში იგი ძველად „ფასიდად" ანუ „ფაზისად" მოიხსენიებოდა, ხოლო ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით ძეგლებში ფოთის ახლანდელი სახელი მხოლოდ XI საუკუნიდან გვხვდება.

ანტიკური და ბიზანტიური დროის არაერთი მწერალი ფაზისს ბერძენი კოლონისტების დაარსებულად თვლიდა. სამწუხაროდ, ახალი დროის ზოგიერთი ისტორიკოსიც იზიარებდა იმ მცდარ მოსაზრებას, თითქოს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე ქალაქების აღმოცენება ბერძნული კოლონიზაციის შედეგი ყოფილიყო.

საბჭოთა საისტორიო მეცნიერებამ, პირველ რიგში ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მეცნიერულად დაასაბუთა ასეთი შეხედულების სიყალბე და ცხადყო, რომ კოლხეთის სამეფოს ზღვისპირა ტერიტორიაზე არსებული ქალაქური ტიპის დასახლებანი ადგილობრივი, ე. ი. ქართული წარმოშობისაა. ბერძნული სამოსახლოები ამ პუნქტებში დამოუკიდებელ ერთეულებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ საბერძნეთსა და კოლხეთს შორის დამაკავშირებელ საავჭრო ფაქტორიებს. უფრო მეტიც, ფაზისი ჯერ

კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, კერძოდ, ვიდრე აქ ბერძნები თავიანთ სამოსახლოებს შექმნიდნენ, ქართველთა ერთ-ერთ დაწინაურებულ ზღვისპირა პუნქტად ითვლებოდა.

ისტორიული მასალებით დამტკიცებულია, რომ ბერძენთა კოლონიზაციის პერიოდში (ძვ. წ. აღრ. VII—VI საუკ.) საქართველოში უკვე ადრეკლასობრივი ხანა არსებობდა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეც იმ დროის შესაბამისად მაღალი იყო. ბერძნული სამოსახლოები კი კოლხეთის სამეფოს, ძლიერი სახელმწიფოს არსებობის პირობებში ვერ ამაღლდნენ ელინურ პოლისებამდე.

შავი ზღვის პირად, კოლხეთის მიწა-წყალზე გაშენებულ ქალაქებს ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის აუზის ბერძნულ სავაჭრო ცენტრებთან. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ამ მხრივ გარკვეული უპირატესობა გააჩნდა ფაზისს. გარდა იმისა, რომ მას უცხოეთთან ურთიერთობის დასამყარებლად ზღვის სანაპიროზე მოხერხებული ადგილი ეკავა, მდინარე ფაზისითა და მისი შენაკადებით კოლხეთის სამეფოს შუაგულსა და ქვეყნის საქალაქო ცენტრებს უკავშირდებოდა.

ანტიკური ხანის ისტორიკოსთა ცნობით, მდინარე ფაზისზე (რიონზე) და ყვირილაზე ნაოსნობა შორაპნამდე ყოფილა. აქედან სავაჭრო გზა, სურამის ულელტეხილისა და მტკვრის მეშვეობით, კასპიის ზღვამდე და კიდევ უფრო შორს მიემართებოდა. იმ დროს უმთავრესად ფაზისზე გამავალი სავაჭრო გზით შემოჰქონდათ უცხოური საქონელი და გაჰქონდათ ადგილობრივი ნაწარმ-ნედლეული საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ფაზისი მარტო სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობის სანავსადგურო ქალაქი როდი იყო. მისი მეშვეობით ქართველი ხალხი მჭიდრო კულტურულ ურთიერთობასაც ამყარებდა უცხოეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან. ამას ნათლად მოწმობს ის უტყუარი გარემოება, რომ ამ ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქის მახლობლად ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა — კოლხეთის აკადემია არსებულა, სადაც ადგილობრივ მკვიდრთა გარდა, შემდეგში გამოჩენილ მრავალ უცხოელ მოღვაწეს მიუღია სწავლა-განათლება.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ფაზისის“ ადგილსამყოფელზე მრავალი აზრი არსებობს. ძველი მწერლების, მემატიანეებისა და მოგზაურთა ცნობა, რომ კოლხეთის უძველესი ქალაქი ფაზისი მდინარე ფაზისის მარცხენა ნაპირზე, ზღვის შესართავთან ყოფილა გაშენებული და ზღვით,

მდინარითა და ტბით იყო შემოსაზღვრული, ეპვს არ იწვევს, მაგრამ ზუსტად რა ადგილას უნდა ვიგულისხმოთ იგი დღეს, გაურკვეველია.

ანტიკური პერიოდის ფაზისის ლოკალიზაციის დადგენას ხელს უშლის ის გარემოება, რომ დროთა განმავლობაში მდინარის მიერ ზღვაში შეტანილი (მთიდან და ბარიდან ჩამორეცხილი) შლამი უკუაქცევდა ზღვას, (ეროზიულს აკუმულაციური პროცესი სჭარბობდა), ამის კვალობაზე იცვლებოდა თვით ქალაქის ადგილსამყოფელიც, იგი თანდათან ზღვის ნაპირისაკენ მიიწევდა.

დღემდე სადაოდაა გამხდარი თვით ქალაქის სახელწოდების — „ფაზისის" წარმოშობის საკითხი. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას განმარტებით „ფასიდი" და „ფოთი" ერთიდაიმავე ძირისაა. „ფოთის" ამოსავალი ფორმა „ფასთია".

აკად. გ. მელიქიშვილი იზიარებს ფაზისის სახელწოდების ადგილობრივ წარმოშობას და აღნიშნულ საკითხს ქართველურ ენათა დიფერენციაციის ასპექტში განიხილავს. იგი ბერძნული „ფასიდის" ამოსახსნელად უპირატესობას „ფათ"-ის კანონზომიერ სვანურ ფორმას „ფაშდ"-ს აძლევს (სვანურში ქართულ-ზანურ „თ"-ს ენაცვლება „შდ") და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კოლხეთის ზღვის სანაპიროებზე ბერძნული სამოსახლოების გაჩენის ეპოქაში ფოთს შესაძლოა სვანური სახელწოდება ჰქონდა დამკვიდრებული. ეს კი იმის მაჩვენებელი იქნება, რომ აქ აღნიშნულ ხანაში სვანურ მოსახლეობას უცხოვრია.

ფაზისის სახელწოდების ქართულ ნიადაგზე ახსნის საკითხში მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული მკვლევარ პ. ინგოროყვას. მისი აზრით, სიტყვა „ფას"-ი (აქედან ფას-ის-ი) ძირეულია და ქართულად აღნიშნავდა წყაროს („ფშა", „ფსა"). აქეღან გამომდინარე, პ. ინგოროყვას მიაჩნია, რომ რიონის შესართავთან გაშენებულ ქალაქს თავდაპირველად „ფასის" ქალაქი, ანუ „ფას"-თი ეწოდებოდა, საიდანაც წარმოიშვა შემდეგში ამ ქალაქის დღევანდელი სახელწოდება.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მკვლევარები ფაზისი-ფოთის სახელწოდებას ქართულ ენობრივ სამყაროს მიაკუთვნებენ. რამდენადაც ფაზისი ადგილობრივ მკვიდრთა დაარსებული ქალაქი იყო, მისი სახელწოდებაც, უეჭველია ქართულ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო.

აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ხანაში ფაზისი უკვე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. ფეოდალური წყობილების დამკვიდრებისა და შუა საუკუნეების პერიოდიდან ჩვენამდე მოღწეული ოფიციალური მასალების სიმცირის მიუხედავად, ნათელი ხდება, რომ ფაზისს ანუ ფოთს განსაკუ-

თრებული მნიშვნელობა ჰქონია, როგორც საქართველოს „საზღვაო ჭიშკარს“.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, 1578 წლიდან, როდესაც თურქმა დამპყრობლებმა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის სხვა ნაწილებთან ერთად ფოთიც ხელში ჩაიგდეს, ამ ქალაქის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ოსმალთა ბატონობის შედეგებსა და გვიანფეოდალური პერიოდის ფოთის დაცემა-დაკნინებაზე მიუთითებენ უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები (კონტარინი, იოსაფა ბარბარო, ტავერნიე. არქანჯელო ლამბერტი. ჯ. მილანელი, ჟან შარდენი და სხვები) და XVIII საუკუნის 30-იან წლებში შედგენილი ლიხთ-იმერეთის რუკა.

ფოთისა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ნავსადგურების თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლება ორგანულად რუსეთ-ოსმალეთის ომებს დაუკავშირდა. მაგრამ ფოთის განთავისუფლების არაერთი ცდა მარცხით დამთავრდა.

1828 წლის ივლისში ქართველ მებრძოლთა ნაწილებმა რუსეთის ჯარის დახმარებით ფოთი საბოლოოდ გაათავისუფლეს ოსმალეთის ბატონობისაგან.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრებისათვის, რამაც საგლეხო რეფორმის შემდეგ კიდევ უფრო ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა.

რუსეთის მთავრობამ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურებს, მხარის შემომტკიცებისა და უცხოეთის ქვეყნებთან სატრანზიტო და საგაჭრო ურთიერთობის დამყარების მიზნით, განსაკუთრებული უურადღება მიაქცია. ამასთანავე, რუსეთი მათ სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობასაც ანიჭებდა. 1804 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარმა ყულევი დაიკავა. რაც პირველი რეალური ნაბიჯი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გასასვლელად.

თურქეთის გამუდმებული თავდასხმების მიუხედავად, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ყულევში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება დაიწყეს. გარკვეული მიზნით მეფის რუსეთმა ყულევის ნავსადგური ძალიან მალე ჩააყენა მწყობრში, ისე, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყულევი მთავარი ნავსადგური იყო შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე. მაგრამ მისი ნავმისადგომი უვარგისი გამოდგა. ამიტომ გემები ნაპირიდან შორს ჩერდებოდნენ. გაძნელებული იყო სამდინარო მიმოსვლაც. მდინარე ციის რიონთან შემაერთებელი

არხი ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ სანაოსნო მოთხოვნილებებს. საჭირო გახდა სხვა ნავსადგურის გამონახვა. არჩევანი ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებზე მიდგა.

ბათუმის ბუნებრივად მოხერხებული ნავსადგური მაშინ თურქეთს ეკუთვნოდა. სოხუმის ხელსაყრელი ნავმისადგომის გამოყენება იმ დროს ფართო ოპერაციებისათვის, ქვეყნის ცენტრალურ რაიონებთან დაშორებისა და მათთან დამაკავშირებელი ცუდი გზების გამო, შეუძლებელი იყო. არჩევანი ფოთზე შეჩერდა.

ფოთს ხელს უწყობდა ტერიტორიული მდებარეობა და ისიც, რომ მდინარე რიონი დიდ მანძილზე სანაოსნოდ გამოსადეგი იყო. მაგრამ არ ვარგოდა მისი ნავმისადგომი. იგი ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობას საჭიროებდა.

1858 წლის აპრილში მიღებული იქნა სპეციალური დადგენილება ფოთში ნავსადგურის გახსნის თაობაზე. რამდენიმე თვის შემდეგ კი (1858 წლის ნოემბერში) თურქთა ბატონობისაგან დაკნინებული ფოთი კვლავ ქალაქად აღიარეს.

ზრუნვა ფოთის ნავსადგურის მშენებლობაზე თურქი დამპყრობლებისაგან მისი განთავისუფლებისთანავე დაიწყო. 1862 წელს მთავრობამ დაამტკიცა ინჟინერ-პოლკოვნიკ ნ. შავროვის პროექტი, რომლის მიხედვითაც 1863 წელს ნავსადგურის მშენებლობის მიზნით რიონის ჩრდილოეთ შესართავთან უკვე შეუდგნენ ჯებირების ამოყვანას. საქმე თითქოს წარმატებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იმედი არ გამართლდა. პროექტით გათვალისწინებული ხის კონსტრუქციები უვარგისი გამოდგა.

ამის შემდეგ ფოთის ნავსადგურის მშენებლობის პროექტები წარუდგინეს მთავრობას რერბერგმა, ზიგერნ-კორნმა, ტიზენჰაუზენმა, დ. ჟარინცოვმა, თვით შავროვმა და სხვებმა.

დ. ჟარინცოვის პროექტით ნავსადგური რიონის ჩრდილოეთ შესართავის მარჯვენა მხარეზე უნდა გაეშენებინათ. საშენ მასალად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბეტონის მასივები და დატეხილი ქვები. 1872 წელს მთავრობამ დაამტკიცა დ. ჟარინცოვის პროექტი და იმავე წელს ნავსადგურის მშენებლობასაც შეუდგნენ. სამწუხაროდ, ვერც ამ პროექტმა გაამართლა იმედები. 1876 წელს ძლიერმა ქარიშხალმა ჯებირების ნაწილი დაანგრია.

კვლავ ახალი პროექტი გახდა შესარჩევი. უამრავ ავტორთაგან საგანგებოდ გამოყოფილმა კომისიამ ე. მეიერის პროექტი მოიწონა. ინჟინერი მეიერი თავისი პროექტით მოითხოვდა შემცირებულიყო ნავსადგურ-

ში გემების შესასვლელი კარის სიგანე, გაეჭრათ იგი ჩრდილოეთის მხრიდან, გაეკეთებინათ ტალღების სამსხვრევი, რათა ზღვის ღელვას არ შეეღწია ჯებირებით შემოსაზღვრულ ნავსადგურში. მაგრამ ამჯერად ვერც მეიერის პროექტით წამოწყებული მშენებლობა მიიყვანეს ბოლომდე. 1886 წელს ქარმა და ზღვის ღელვამ დაამსხვრია ნავსადგურში მდგომი გემები.

1894 წელს ინჟინერმა სახაროვმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც ფოთის ნავსადგურის მდგომარეობას შეეხებოდა. მისი გაანგარიშებით, ნავსადგურის მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე გახარჯული ყოფილა შვიდ მილიონ მანეთზე მეტი. ესოდენ დიდი სახსრების გაღების მიუხედავად, ნავსადგურში გემებს უშიშრად შესვლა მაინც არ შეეძლოთ.

აღნიშნული ნაკლოვანების გამო საჭირო გახდა შემდგარიყო ფოთის ნავსადგურის ხელახალი რეკონსტრუქციის პროექტი. ასეთი სახის პროექტი წარადგინა პეტერბურგის საზღვაო-საინჟინრო ინსტიტუტის პროფესორმა ნ. ვოზნესენსკიმ. ეს პროექტი ძირითად მიზნად ისახავდა მანამდე არსებული შიდა საზღვაო მოედნის გამოყენებას წინა ნავსადგურად და მთავარ ნავსადგურში, ნაპირიდან საგრძნობ ფართობზე, მიწის ამოთხრას გემების დასადგომად, აგრეთვე სპეციალური არხით ნავსადგურის შეერთებას რიონთან და სხვა.

ფოთის ნავსადგურის მწყობრში ჩადგომის დაჩქარებას საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ინტერესები მოითხოვდა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით ნავსადგურის მშენებლობა ჭიანურდებოდა და სულ უფრო მზარდი ტვირთბრუნვის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. ჭიათურის მარგანეცის ფართო ექსპორტი და 1872 წლიდან ფოთში რკინიგზის ხაზის შეყვანა ნავსადგურს დიდ პერსპექტივებს უქმნიდა. რადგანაც ნავსადგურის მშენებლობა ყოველწლიურად მარცხით მთავრდებოდა, ქალაქის კეთილმოწყობაზე აღარავინ ზრუნავდა. ფოთის საქმეები დიდ ორგანიზატორს და ნიჭიერ მეთაურს საჭიროებდა.

1894 წლის შემოდგომაზე, ქალაქის სათათბიროს მორიგი არჩევნების შემდეგ (საქალაქო მმართველობის რეფორმა ფოთში 1882 წლის დასასრულიდან განხორციელდა) ფოთის ხმოსნებმა თხოვნით მიმართეს ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნ. ნიკოლაძეს, ქალაქის თავის მოვალეობა ეკისრა. ნ. ნიკოლაძემ ერისა და ქვეყნის ინტერესები გაითვალისწინა, ხმოსნების თხოვნა მიიღო და 1894 წლის ოქტომბერში იგი

ფოთის ქალაქისთავად აირჩიეს[1]. ნ. ნიკოლაძეს სწამდა, რომ ფოთი დიდი საკავშირო ნავსადგური გახდებოდა და საქართველოს ეკონომიურ აღორძინებას მოემსახურებოდა.

ნ. ნიკოლაძემ ფოთის სათავეში ჩადგომისთანავე, ნავსადგურის მშენებლობის საქმეს მოჰკიდა ხელი. მას დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა იმისათვის, რომ ნ. ვოზნესენსკის პროექტი დაემტკიცებინათ. ამის გამო იგი რამდენჯერმე ჩავიდა პეტერბურგში. მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ მან საბოლოოდ მაინც მიაღწია მიზანს. 1899 წლიდან ბუნგე-პალაშკოვსკის სამშენებლო ფირმა დიდის აქტივობით შეუდგა ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებას[2].

ნავსადგურის მშენებლობასთან ერთად ნ. ნიკოლაძე სერიოზულ ყურადღებას უთმობდა თვით ქალაქის კეთილმოწყობას. მისი უშუალო ინიციატივით დაიგეგმა ქალაქი, გაიყვანეს ახალი ქუჩები, აშენდა მრავალი ნაგებობა, რიონის ადიდებისაგან დასაცავი ჯებირები. ქმედითი ღონისძიებები განხორციელდა ჭაობების დასაშრობად.

იმის გამო, რომ ფოთში სამკურნალო დაწესებულებები არ არსებობდა, ქალაქისა და მისი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი წლების მანძილზე მოკლებულნი იყვნენ ფართო სამედიცინო მომსახურებას. ოფიციალური საარქივო-სტატისტიკური ცნობებით XIX საუკუნის მიწურულისათვის აქ სულ ორი ექიმი მსახურობდა. 1898 წელს ნ. ნიკოლაძის შემწეობით ფოთელებმა პირველი სამკურნალო დაწესებულების გახსნა იზეიმეს, რომელიც თავისი საკმაოდ კვალიფიციური ექიმებით ყოველწლიურად ათასობით ავადმყოფს უწევდა სამედიცინო დახმარებას.

ფოთის მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა იმის გამოც, რომ მდინარე რიონზე, რომლის ორი შესართავი სამ ნაწილად ყოფდა ქალაქს, არ იყო ხიდები და ქალაქის ეს უბნები ერთმანეთს ნავების საშუალებით უკავშირდებოდნენ. ნ. ნიკოლაძემ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და მალე რიონის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთის ტოტებზე აშენეს რკინის ხიდები. ამას მოჰყვა ფოთში სატელეფონო ქსელისა და ელექტროსადგურის მშენებლობა.

ნ. ნიკოლაძე გულისყურით ეკიდებოდა არა მარტო ფოთის, არამედ

---

[1] ფოთში ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას სპეციალური სტატია მიუძღვნა პროფ. ელ. ზამბახიძემ, იხ. ჟურნ. „დროშა", 1954 წ., № 11. გვ. 16—17.

[2] ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის პერიოდში ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის ექვს მილიონამდე მანეთი დაიხარჯა (იხ. ჟურნალი „ალდაგი", 1913 წ., № 33).

მისი ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობის ინტერესებსაც. მან შეღავათიან ფასებში გასცა ფოთის გარშემო მიწის ნაკვეთები გურია — სამეგრელოდან ლტოლვილი უმიწაწყლო გლეხების დასასახლებლად. მისი თაოსნობით აიგო მდინარე შალთაყვაზე რკინა-ბეტონის ხიდი, შეკეთდა ყულევამდე მისასვლელი გზა და ა. შ.

XX საუკუნის დამდეგისათვის ნ. ნიკოლაძის ზრუნვისა და დაუღალავი შრომის შედეგად ფოთმა უკვე მოზრდილი ქალაქის სახე მიიღო. 1901 წლისათვის ფოთი იმდენად გაიზარდა, რომ მისმა ბიუჯეტმა 530. 139 მანეთს მიაღწია. ეს მაშინ, როდესაც 1894 წლისათვის, ანუ ნ. ნიკოლაძის ქალაქისთავად არჩევამდე, ბიუჯეტის საერთო თანხა 66.609 მანეთს შეადგენდა.

1904 წელს ნ. ნიკოლაძემ კიდევ ერთი დიდი საქმის მოგვარება განიზრახა. ეს გახლდათ მოსახლეობის სამოქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ამ მხრივ გაწეულ შრომას უქმად არ ჩაუვლია. 1905 წლიდან ფოთში მუშაობას იწყებს ცხენის ტრამვაი (კონკა).

უაღრესად სწრაფი ტემპით წარიმართა აგრეთვე ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 1902 წლისათვის იგი ძირითადად უკვე დამთავრებული იყო, რაზედაც ამავე წლის მაისში შედგა საგანგებო აქტი. ამ აქტს. სხვა კომპეტენტურ პირებთან ერთად, როგორც ქალაქის თავი, ხელს აწერდა თვით ნ. ნიკოლაძეც.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ფოთმა რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრად იცვალა სახე: „საოცარი ცვლილებაა, — წერდა 1904 წელს გაზეთი „ივერია", — ფოთი ათი წლის წინათ, ფოთი აზიური, წუმპე ტალახიანი, უფულო და მივიწყებული, ფოთი ახლა საქონლით სავსე, პორტის მქონე, მრავალ გემთა საყუდელი, ფოთი ტკეცილი გზებით, ფოთი ელექტრონით გაშუქებული".[1]

ფოთში წამოწყებულ მშენებლობათა ხარჯების დასაფარავად ნ. ნიკოლაძემ ორი წყარო შექმნა: ერთი იყო საფუთო გადასახადი, ხოლო მეორე — სესხის ობლიგაციები.

საფუთო გადასახადის თანახმად, ფოთის ნავსადგურით შემოტანილ და გატანილ თითოეულ ფუთ ტვირთზე 1/2 კაპიკი უნდა აღებულიყო ბაჟის სახით. ეს თანხა ნავსადგურისა და ქალაქის საჭიროებებს ხმარდებოდა.

ქალაქს შემოსავლის გაზრდის მიზნით საფუთო გადასახადთან ერ-

---

1 „ივერია" 1904 წ., № 282.

თად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1896, 1900 და 1904 წლებში ნ. ნიკოლაძის მიერ საობლიგაციო სესხების გამოშვებას. ამ ობლიგაციების რეალიზაციის შედეგად ფოთის ნავსადგურისა და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეზე ხუთ მილიონ ნახევრამდე მანეთი დაიხარჯა. ნ. ნიკოლაძე ცდილობდა მეოთხე სესხის ობლიგაციის გამოშვებასაც, რომლის შემოსავალი რიონ-პორტისა და რიონ-კაპარჭინის არხების გაყვანას, სამარქაფო გემისა და მიწისმთხრელი მანქანის შეძენას, ნავსადგურის პალიასტომის ტბასთან დაკავშირებასა და სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ მთავრობის კატეგორიული წინააღმდეგობის შედეგად ყოველგვარმა ცდამ ამ მიმართულებით უქმად ჩაიარა.

XX საუკუნის დამდეგს ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. ამ მოგზაურობით იგი სერიოზულ მიზანს ისახავდა, — დაეთვალიერებინა უცხოეთის ქვეყნების ნავსადგურები და იქაური მოწინავე გამოცდილება ფოთში გადმოენერგა. ევროპისა და აფრიკის ქვეყნების დათვალიერების დროს მისი ყურადღება მიიპყრო გემების მექანიკური დამტვირთავ-გადმომტვირთველის ანუ ელევატორების გამოყენებამ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1905 წელს, ნ. ნიკოლაძის თაოსნობით ქალაქის თვითმმართველობამ ხელშეკრულება დაუდო შავი ზღვის სამშენებლო საზოგადოებას ფოთის ნავსადგურში ორი ელევატორის აგების თაობაზე. მშენებლობა ისეთი ტემპით მიმდინარეობდა, რომ 1908—1909 წლებში ელევატორები უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა. ფოთის ნავსადგური რეკონსტრუქციის შემდეგ იმდენად გაფართოვდა და აღიჭურვა ტექნიკურად, რომ მისი ნავმისადგომი ოკეანის გემებსაც უშიშრად და თავისუფლად იღებდა.

ნ. ნიკოლაძე ფართო საძიებელ სამუშაოებს ახორციელებდა მდინარეების — რიონის, ენგურის, ტეხურის, აბაშის, ცხენისწყლის და სხვადასხვა წყალვარდნილების ენერგეტიკულ შესაძლებლობათა შესწავლის მიზნით. იგი ფიქრობდა რომელიმე მათგანზე ჰიდროელექტროსადგურის აკეთებას, რათა ელექტროენერგიის ერთი ნაწილი ფოთის ნავსადგურისა და ქალაქის საჭიროებისათვის გამოეყენებინათ, ხოლო დანარჩენი — დასავლეთ საქართველოს ფართო მოსახლეობის საკეთილდღეოდ. მაგრამ იმ დროისათვის ეს განუხორციელებელი აღმოჩნდა.

ნ. ნიკოლაძე ასევე აქტიურად უჭერდა მხარს ოჩამჩირედან ქობულეთამდე ზღვაში ჩამავალი მდინარეების ერთმანეთთან არხებით გაერთიანებას. ეს გაუადვილებდა მოსახლეობას სიმინდის, ხე-ტყისა და სხვა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფოთის ნავსადგურში შემოტანას და ხელსაც შეუწყობდა კოლხეთის ჭაობების დაშრობას. მას გეგმაში ჰქონდა ფოთში ფერო-მანგანუმის ქარხნის მშენებლობა, გროზნოდან ნავთსადენი მილის გამოყვანა; ნ. ნიკოლაძე ამუშავებდა ფოთიდან ოჩამჩირე-სოხუმამდე ზღვის პირას რკინიგზის ხაზის გაყვანის პროექტს და სხვა.

ქალაქისთავად მუშაობის პერიოდში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების საქმეში ნ. ნიკოლაძეს ფოთის პროგრესულ საზოგადოებრიობასთან ერთად გვერდში ედგნენ სათათბიროს მოწინავე ხმოსნები და გამგეობის წევრები (ი. მეუნარგია, ი. ფანცხავა, ლ. ყრუაშვილი, კ. მიქაბერიძე, ს. ხოშტარია, ს. ოსიძე და სხვები).

ნ. ნიკოლაძის ზრუნვის შედეგად დროთა განმავლობაში ქალაქი ფოთი იმდენად გაიზარდა, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ, ე. ი. 1913 წლისათვის მისმა მოსახლეობამ 20.000 მცხოვრებს გადააჭარბა. ფართო აღიარება მოიპოვა ნავსადგურმაც. აღნიშნულ წელს მისმა მთლიანმა ტვირთბრუნვამ 65.026.646 ფუთს მიაღწია (ნ. ნიკოლაძემდე ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მხოლოდ 24.000.000 ფუთს აღწევდა).[1]

ფოთის ნავსადგურიდან რუსეთში და საზღვარგარეთ გაჰქონდათ დიდი რაოდენობით მარგანეცი, სიმინდი, ხე-ტყე, ღვინო, ბამბა და სხვა. შემოჰქონდათ პურის ფქვილი, შაქარი, მარილი, მანუფაქტურა, ცემენტი, ლითონის ნაწარმი და ა. შ.

კაპიტალიზმის დროინდელი ფოთი ძირითადად სავაჭრო ქალაქი იყო. აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით დუქნებს, სახელოსნოებს, მაღაზიებს, საწყობებსა და მსგავს დაწესებულებებს. მარგანეცისა და სხვა ნედლეულის საზღვარგარეთ და რუსეთში გასატანად ფოთის ნავსადგურში 20-ზე მეტი სხვადასხვა ფირმა მოქმედებდა. აქვე ჰქონდათ კანტორები რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო საზოგადოებებს, რომლებსაც უმთავრესად გაჰქონდათ მარგანეცი და შემოჰქონდათ სხვადასხვა სავაჭრო საქონელი.

ფოთში მრეწველობა ძალზე ჩამორჩენილი იყო. სამრეწველო ხასიათის საწარმოებიდან წამყვანი ადგილი ეჭირა ხე-ტყის სახერხ, ხელოვნური მინერალური წყლების ჩამომსხმელ, საპნისა და სანთლის ქარხნებს. ოფიციალური წყაროების რწმუნებით, 1907 წლისათვის ' ფოთში მცირე წარმადობის სულ 12 საწარმო არსებულა. მათ შორის 5 მინერალური.

---

[1] ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომი „ფოთის წარსულიდან", 1967 წ., გვ. 153—163.

წყლების, თითო საპნისა და სანთლის, ხუთიც ხე-ტყის სახერხი. ამ საწარმოებში სულ 96 კაცს უმუშავია და ყველას ერთად აღნიშნულ წელს 113.000 მანეთის პროდუქცია შეუქმნია.[1]

ნ. ნიკოლაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ფოთში საგანმანათლებლო და კულტურულ-საზოგადოებრივ ღონისძიებების წინ წამოწევის საქმეშიც. ამის ნათელსაყოფად თვალი გადავავლოთ წარსულს, ვნახოთ, რა იყო გაკეთებული ამ მხრივ ადრე და რა გაკეთდა ნ. ნიკოლაძის ქალაქისთავად არჩევის შემდეგ.

დღემდე შემონახული მასალებით ირკვევა, რომ პირველი დაწყებითი განათლების სკოლა ფოთში 1868 წელს დაუარსებიათ. შემდეგში ვაჟთა სამაზრო სკოლა და საქალებო სასწავლებელი პანსიონი გაუხსნიათ, მაგრამ მათ 1877—1879 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში უსახსრობის გამო გაძნელებიათ არსებობა. 1879 წელს ფოთში საფუძველი ჩაეყარა ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელს. (რომელიც შემდეგ ნ. ნიკოლაძის მეცადინეობით ექვსკლასიანად გადაკეთდა), 1880 წელს გაიხსნა საზღვაო სკოლა, ხოლო 1881 წელს — საქველმოქმედო საზოგადოების დედათა სასწავლებელი.

ზემოჩამოთვლილი სკოლები შენობების უქონლობის გამო დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ. ნ. ნიკოლაძემ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და აღნიშნულ სკოლებს საკუთარი შენობები აუშენა. მაგრამ თავისი ქვეყნის დიდი შოამაგის ღვაწლი სახალხო განათლების საქმეში მარტო ამით როდი ამოიწურება. მისივე თაოსნობით 1902 წელს ფოთში დაარსდა ჯერ ქალთა პროგიმნაზია, რომელიც 1907 წელს გიმნაზიად გადაკეთდა, ხოლო შემდეგ, 1906 წელს — ვაჟთა გ-მნაზია, სახელოსნო სასწავლებელი და სხვა.

პრინციპული ბრძოლის გადატანა მოუხდა ნ. ნიკოლაძეს მეფის რუსეთის მთავრობისა და მისი აგენტების მიერ სკოლებიდან უკანონოდ დევნილი მშობლიური ქართული ენის დასაცავად. ფოთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა რამდენიმე მამხილებელი წერილი გამოაქვეყნეს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე აგრეთვე რენეგატ თ. ამორდიას წინააღმდეგ.

ნ. ნიკოლაძისავე მეთაურობით ფოთის საზოგადოებრიობამ მიაღწია იმას, რომ სკოლებში მოსწავლეებს კუთხური სახელწოდებებით აღარ იხსენიებდნენ.

---

[1] მ. პაპკორია, „ფოთის წარსულიდან", 1967 წ. გვ. 169.

ფოთში სკოლების ფართო ქსელის შექმნას ნ. ნიკოლაძემ ცალკეულ პირთა და საზოგადოების შემოწირულობის საშუალებით ჩაუყარა საფუძველი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სკოლები თითქმის მთლიანად საზოგადოებრიობის ხარჯზე აშენდა. არც სწავლება იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო დაფინანსებით. როგორც 1900, 1911, 1912, და 1913 წლების ფოთის შემოსავალ-გასავალისა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის 1914 წლის ანგარიშებიდან ჩანს, სასწავლებლების ბ-უჯეტში წამყვანი ადგილი სწავლების ქირასა და კერძო შემოწირულებას ეკერა.

XIX საუკუნის მიწურულამდე ფოთში არ არსებობდა არც ერთი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, სადაც ქალაქის მოსახლეობას წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერების საშუალება ექნებოდა. 1899 წელს ნ. ნიკოლაძის უშუალო მონაწილეობით ფოთში პირველი საჯარო სამკითხველო დაარსდა.

როცა ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ წვლილს, რომელიც მან აქ თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეიტანა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფოთში სალამო-წარმოდგენების გამართვა დაიწყეს, რამაც ხელი შეუწყო თეატრალური ხელოვნების ჩასახვა-განვითარებას. XIX საუკუნის დამლევიდან უკვე სისტემატურად იმართება თეატრალიზებული სანახაობები. სამწუხაროდ, შენობის ქონლობა ხელს უშლიდა ადგილობრივ დრამატულ დასს უფრო ფართოდ გაეშალა შემოქმედებითი მუშაობა. ვ. მარჯანიშვილისა და ნ. ლლონტის ინიციატივით სალამო-წარმოდგენების გასამართავად აგებული სპეციალური შენობა „კომეტა" ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ფოთში მუდმივი პროფესიონალური თეატრის დაარსება და მისთვის სპეციალური შენობის აგება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ნ. ნიკოლაძე ყოველმხრივ ეხმარებოდა დრამატულ დასს. მონაწილეობდა პიესების შერჩევაში, გამოთქვამდა თავის აზრს განხორციელებული სპექტაკლების შესახებ, იძლეოდა საქმიან შენიშვნებს და სხვა.

900-იან წლებში ნ. ნიკოლაძესთან და მის მოადგილე ი. მეუნარგიასთან ფოთში ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრად გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები; მათ ქალაქის ფართო საზოგადოებრიობა გულთბილ შეხვედრას უწყობდა ბაღებსა და სხვა საკრებულო ადგილებში. ასეთი შეხვედრები გაუმართეს მაგალითად ა. წერეთელს,

ვაჟა-ფშაველას, ე. გუნიას, ნ. გაბუნია-ცაგარელს, ე. სარაჯიშვილს, ა. ,ავსაძესა და სხვებს.

ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ფოთში ჩატარებულ ყოველ კულტურულ ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

ნ. ნიკოლაძის სახელთან არის დაკავშირებული ახლანდელი დრამატული თეატრისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშვენიერი არქიტექტურული შენობის აგება.

ფოთში ნ. ნიკოლაძის პრაქტიკული მოღვაწეობის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც საკმაო სიცხადით ჩანს, თუ რა კოლოსალური და უანგარო შრომა გასწია მან ფოთის ნავსადგურის მწყობრში ჩადგომისა და ქალაქის დაწინაურებისათვის.

ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის ნათელსაყოფად გვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი საარქივო დოკუმენტი. იგი დათარიღებულია 1914 წლით და წარმოადგენს მიმართვას ფოთის საქალაქო სათათბიროს ამომრჩევლებისადმი.

„ფოთის ქალაქის გამგეობას რომ გული გადაეუშალოთ, ბევრ რაიმეს გვეტყვის საგულისხმოს, მაგრამ ამას შემდეგისათვის გადავდებთ, მხოლოდ ღღეს, რადგან ქალაქის არჩევნები მოახლოებულია, მოკლედ აღვნიშნავ ამას, თუ რა გააკეთა ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. ნიკოლაძემ 1895—1907 წლამდე და რის განხორციელების განზრახვა აქვს მას მომავალში ქალაქის საბედნიეროდ.

1. წყალდიდობისაგან აკლებულ ფოთს ულმობელ სტიქიისაგან შველა ესაჭიროებოდა, ამისათვის ქალაქს ირგვლივ ჯებირი (დამბა) შემოავლო და ეხლა წყალი ისე თავისუფლად ვერ დასეირნობს ქუჩებში, როგორც წინათ.

2. შაეს ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღდგენას ლამობდა და გააცოცხლა ნავსადგურის განახლებით. ფოთსა და საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა. ევროპა დაგვიახლოვა, აღებმიცემობა გააძლიერა.

3. გადაჭიმა სამი ხიდი, რომელთაგან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს და მესამე, ფოთელების მასაზრდოებელ გურიასთან.

4. ახალი ხიდების აგებით გააუქმა მდინარე მალთაყვაზე და რიონზე ნავებით გადასაყვან-გადმოსაყვანი უზომო გადასახადი, გაჭირვებულ ხალხის შემავიწროებელი.

5. მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი.

6. აშენა ელექტრონის სადგური, რომელიც პორტსა და ქალაქს ანათებს.

7. გააბა ტელეფონის ქსელი, რომლის ბოძები თავმორთულ კეკლუც პატარძალივით ქუჩებს ამშვენებს.

8. გაკეთა ნაცვლად დახავსებულ სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების ხის სახლებისა ლამაზი აგურის ორსართულიანი შენობები, რომელსაც მხარს უმშვენებენ ახლად დაარსებული ქალების და ვაჟების გიმნაზიის ქვის შენობები და სხვა სკოლები.

9. უხერხულ ადგილას მოთავსებული სავაჭრო მოედანი გადაიტანა მოხერხებულ ბინაზე, სადაც გაშენებულია დახურული ბაზარი (Крытый ринок) და სასწორი. იქვე გაკეთებულია ოთხი ქვის დუქანი და სხვა.

10. მოაწყო სასაკლაო (бойня) და ორი წყლის ამოსაღები გენერატორის სისტემის, რომელიც მცხოვრებლებს სუფთა წყალს აწვდის.

11. განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით ამართა უზარმაზარი ეკლესია ბიზანტიის სტილზე, რომელიც თავის აგებულებით იპყრობს მნახველთა ყურადღებას.

12. მოუპოვა სამკურნალოს და პოლიციას საკუთარი ბინა.

13. მოაწყო ცხენის რკინის გზის ლიანდაგი.

14. ნავსადგურში მიმავალი ქუჩების მოკირწყვლა და სხვა გზატკეცილების გაყვანა თუ ძველად ოცნებაში არსებობდა, დღეს სინამდვილე გახდა.

15. ქალაქის განაპირა ადგილების (ჩოჩხატის აგარაკის) შეძენა ბანკიდან.

16. საქონლის საწყობების გამართვა პორტში და ელევატორი.

17. 1/2 კაპ. საფუთო გადასახადის დაარსებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ფინანსებისათვის, რომ მისი წყალობით სულდგმულობს ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი და სხვა. ყველა ზემოთ აღნიშნული საგნების განხორციელება თავდებია იმის, რომ თავიდანვე, რაც ბ. ნ. ნიკოლაძე ქალაქისთავად დანიშნეს, ამ საოცარი ენერგიის პატრონმა კაცმა ფოთი მკვდრეთით აღადგინა და მომავალში ვიმედოვნებთ, თუ განახლებულ საბჭოში ხელის შემშლელი ხმოსნები არ აღმოჩნდნენ, კიდევ ბევრ რამეს გააკეთებს და განახორციელებს იმ პროექტებს, რომლის შესრულება განზრახული აქვს მას:

1. არხით შეერთება რიონისა პორტთან.

2. რკინის გზის საქონელზე ბაჟის დადება — ქალაქის სასარგებლოდ.

3. საავადმყოფოს დაარსება.
4. ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა.
5. სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება.
6. სამასწავლებლო სემინარიის.
7. სამეურნეო და საოჯახო სკოლის.
8. გემების გამყვან-შემომყვან ბუქსირიანი ორთქლმავლის შეძენა.
9. პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალთან არხების გაყვანით.
10. რიონის მომზადება შავი და აზოვის ზღვების გემების სადგომათ ზამთარში.
11. წყალ-ვარდნილების ხმარება ელექტრონის საშოვრათ პორტის და ქალაქის სანათად და მანქანების საძრავად.
12. მანქანების და მატორიანი ნავების შეძენა მდინარეებზე და შენაკადებზე სახმარათ.
13. გადასატან-გადმოსატანი რკინის გზების მოწყობა, სილისა და მიწის საზიდავად ქალაქის დასაშრობათ.
14. ფოთის გარშემო ადგილების დაშრობა და ნაჭერ-ნაჭერად გაყიდვა ფერმების (ხუტორების) გასამართავად.
15. კურორტის გამართვა ზღვასა და პალიასტომს შუა.
16. სახალხო სახლისა და თეატრის აშენება.

ჩამოთვლილი პროექტების აღნიშვნის შემდეგ ჩვენ ეხლა მეტი ბრა დაგვრჩენია რა სათქმელად, რომ ბ. ნ. ნიკოლაძეს დღეგრძელობა უსურვოთ ჩვენი ქვეყნის სასაუკეთოდ"[1].

■ ■ ■

ფოთში მოღვაწეობის პერიოდში ნ. ნიკოლაძე დაძაბულ ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ფართო პუბლიცისტურ შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. XIX საუკუნის 60—70-იანი წლების ქართველ „თერგდალეულთა" სახელოვანი წარმომადგენელი, რუსი რევოლუციონერ დემოკრატების თანამებრძოლი ნ. ნიკოლაძე შეურიგებელ ბრძოლას განაგრძობდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი გმობდა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას.

---

[1] იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, № 48—118; ბ. პაჭკორია, „ფოთის წარსულიდან", 1967 წ., გვ. 295—296.

ნ. ნიკოლაძეს თავიდანვე სძულდა ხალხის შრომის მიმთვისებლები, ექსპლოატატორები, მას სურდა საზოგადოებრივ ყოფას საფუძვლად დადებოდა პატიოსანი და შეერთებული შრომა. იგი თანასწორუფლებიანი, სამართლიანი წყობილების დამყარებისათვის იბრძოდა, ხალხის მომავალს სოციალიზმში ხედავდა, მაგრამ მისი სოციალისტური იდეები უტოპიური იყო.

საგლეხო რეფორმის განხორციელების შემდეგ, როცა სარბიელზე გამოვიდა ახლად ჩასახული ეროვნული ბურჟუაზია, ნ. ნიკოლაძემ, როგორც განმანათლებელმა, მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროპიზაციის პროცესის სარგებლიანობას, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ ბურჟუაზიული წყობილება არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების „დამაკმაყოფილებელ და მარადიულ" ფორმას. იგი გმობდა ამ წყობილების მანკიერებასაც[1].

ნიჰილერმა პუბლიცისტმა სოციალური მოვლენების სწორად გაგების ერა ერთი ნიმუშში მოგვცა. მაგრამ ვერ შეძლო კლასობრივი ბრძოლის ახალ სიტუაციასა და პროლეტარიატის ისტორიული მისიის გაგებაში სათანადოდ გარკვეულიყო და უშეცდომოდ დაესახა თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. აღნიშნულის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძის აზრებსა და შეხედულებებს თავის დროზე უაღრესად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობის გარჩევა. ნ. ნიკოლაძის ნაწერებში, პროფესორ პროკოფი რატიანის სამართლიანი თქმით, „მთელი ისტორიული ეპოქა მოჩანს".[2] ჩვენ გვსურს მოკლედ აღვნუსხოთ და ხაზი გავუსვათ ფოთში მისი მოღვაწეობის ზოგიერთ ფაქტს, რომელიც ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდად იყო იგი შთაგონებული შშრომელი ხალხის ინტერესებით.

ნ. ნიკოლაძეს ფოთში იმ დროს მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც რუსეთში რევოლუციური სიტუაციის მოახლოება და მომწიფება ფაქტი გახდა. 1905—1907 წლების რევოლუციის ქარტეხილმა მას სწორედ ფოთში მოუსწრო.

იმ დროს ფოთში მუშათა საკმაოდ ძლიერი ძალა იყო თავმოყრილი და მუშათა რევოლუციური მოძრაობაც ფართო ხასიათს ღებულობდა.

---

1 იხ. ნ. ნიკოლაძის თხზულებანი, ტ. IV. გვ. 256. 421.

2 პრ. რატიანი, „ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციის საკითხისათვის". ჟურნ. „მნათობი", 1966 წ., გვ. 132.

ფოთის მუშების ძირითად ნაწილს ნავსადგურის მუშები შეადგენდნენ[1]. ამას ემატებოდა რკინიგზის, სახერხი ქარხნებისა და სხვა საწარმოთა მუშები.

გაფიცვებსა და ცარიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო მოძრაობაში ქალაქის მშრომელთა სხვა ფენები და მახლობელი სოფლების გლეხებიც იღებდნენ მონაწილეობას, ისინი თავიანთი მოთხოვნებით გამოდიოდნენ. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ფოთის სამოქალაქო სასწავლებლისა და გიმნაზიების მოსწავლეთა აქტიური გამოსვლები.

ნ. ნიკოლაძე მუშათა რევოლუციური გამოსვლების, მშრომელთა გაფიცვებისა და დემონსტრაციების გულგრილი მოწმე არ ყოფილა. თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად, მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ფოთის მშრომელთა მიტინგებსა და კრებებზე და წარმოუთქვამს სიტყვებიც[2].

თავის გამოსვლებში ნ. ნიკოლაძე თანაგრძნობით ეპყრობოდა ხალხის მოთხოვნებს, იცავდა მათ ინტერესებს, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი ჩაწვდა რევოლუციის არსს. მისი აზრით, ძალდატანებისადვის პირობები არ იყო შემზადებული და ბრძოლის ლეგალურ საშუალებათა გამოყენების უპირატესობისაკენ მიუთითებდა.

რადიკალურ-დემოკრატიული ხაზიდან ლიბერალური ხასიათის გადახვევები ნ. ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა სუსტი მხარეების შედეგი იყო, რომელიც XIX საუკუნის დასასრულიდან, ახალმა ვითარებამ უფრო გამოავლინა. აღნიშნულის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძემ არ დაკარგა წონასწორობა. მეფის თვითმპყრობელობას და მის რეაქციულ-ბიუროკრატიულ რეჟიმს ის არ შეურიგდა. „ნ. ნიკოლაძე,—წერს პროფესორი ვლადიმერ ზამბახიძე. — ბოლომდე ერთგული დარჩა იმ მთავარი აზრებისა, რომლებიც შეგნებული ცხოვრების გზაჯვარედინზე შეიმუშავა და იწამა"[3].

ნ. ნიკოლაძის ადრინდელი აზრები და შეხედულებებიც, რა თქმა უნდა, ვერ უპასუხებდნენ ახალი დროის მოთხოვნებს, იგი ვერ ამაღლდა კლასთა ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე, მაგრამ მას არასოდეს კავშირი არ გაუწყვეტია ხალხის ინტერესებთან.

---

1 ნ. ნიკოლაძის არქივი. 20—12, გვ. 31; გაზ. „ივერია", 1904 წ., № 282.

2 იხ. გაზ. „ივერია", 1905 წ., № 240.

3 ვლ. ზამბახიძე. „დიდი სამოციანელი". 1968 წ., გვ. 84.

ნ. ნიკოლაძე ყოველთვის განუხრელად მხარს უჭერდა მშრომელ მასებს. როგორც ცნობილია, ალიხანოვ-ავარსკის შავრაზმელთა ნაწილებმა 1906 წლის იანვარში ფოთს ალყა შემოარტყეს ზღვიდან და ხმელეთიდან და უნდოდათ აღეგავათ პირისაგან მიწისა[1]. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ ექსპედიციას მუშათა რაზმები დაუპირისპირდნენ. მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონერებმა დევნა განიცადეს, ზოგს სახლ-კარი გადაუწვეს, ოჯახები აუწიოკეს, რეპრესიების სიმძაფრე ფოთის მოსახლეობას მთელი სისასტიკით მაინც არ განუცდია. ამაში გარკვეული დამსახურება, როგორც ქალაქის თავს, ნ. ნიკოლაძეს მიუძღვის (ეს კარგად ჩანს როდიონ ქორქიას პიესაშიც „ნიკო ნიკოლაძე“).

ფოთში 1906 წლის მარტში ალიხანოვ-ავარსკის ჩამოსვლის დროს ნ. ნიკოლაძე იძულებული იყო ოფიციალურ ვითარებაში შეხვედროდა მას (იგი გუბერნიის მმართველიც იყო ამ ხანებში). ეს ფაქტი დამახინჯებულად გამოიყენეს ნ. ნიკოლაძის მოწინააღმდეგეებმა და ცილი დასწამეს, მშრომელთა ინტერესებს გაემიჯნაო. ნ. ნიკოლაძემ პრესის საშუალებით პასუხი გასცა ცილისმწამებლებს. გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის „წერილი რედაქციისადმი“ მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ამ წერილში ნ. ნიკოლაძე ყველას გასაგონად განმარტავდა, რომ საერთო არაფერი აქვს ცარიზმის ერთგულ მოხელეებთან და თავის თავს „მეშა ხალხის“ ინტერესების დამცველად თვლის[2].

ნ. ნიკოლაძე მის მიერ განხორციელებულ ყოველ ღონისძიებას ხალხის ინტერესებს უკავშირებდა. აქედანაც გამოდიოდა იგი, როცა მთავრობისაგან ფოთის ნავსადგურში საფუთო გადასახადის დაწესებას მოითხოვდა. ნ. ნიკოლაძე ამის შესახებ წერდა: „შემოსავლის უმეტესი ნაწილი ხომ მაინც ისეთ საქმეზე დაიხარჯება ფოთში, რომლის წინააღმდეგ ვერც ერთი ადამიანი ხმას ვერ ამოიღებს: პორტის ჩაღრმავება, განათება, ხალხის განათლება, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, სანიტარული წესებისა და მდგომარეობის შეცვლა და სხვა“.[3]

ცნობილია, რომ ფოთიდან მარგანეცის გატანით დაინტერესებული კაპიტალისტთა სავაჭრო-სანაოსნო გაერთიანებანი და მათი აგენტები ყოველნაირ ხერხს მიმართავდნენ მუშათა ექსპლოატაციის გასაგრძელებ-

---

1 გაზ. „ზარია“, 1906 წ., № 15.

2 გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, 1906 წ., № 135.

3 ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ი. მეუნარგიას ფონდი, № 181.

ლად. ისინი ადგენდნენ ე. წ. შტრეიკბრეხერთა რაზმებს და მათ კადრის ძუშებს უპირისპირებდნენ. ნ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაშიც მუშების მხარეზე იდგა. იგი წერდა: „თუ გვსურს, რომ მარგანეცმა ჩვენს ქვეყანას დიდი სარგებლობა მოუტანოს, უნდა ვეცადოთ, მან რაც შეიძლება მეტი ხელფასი დაუტოვოს ჩვენს მუშებს“.[1]

ვფიქრობთ, საგულისხმო უნდა იყოს ისიც, რომ 1905 წელს ნ. ნიკოლაძემ ფოთის საქალაქო სათათბიროს გამოატანინა დადგენილება უმუშევარი მუშებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე, რომელიც შემდგომ ქუთაისის გუბერნატორმა გააუქმა.[2]

ნ. ნიკოლაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ფოთში. მას სათანადო გავლენა ჰქონდა ქალაქის სათათბიროს წევრებზე. იგი შეეცადა ხმოსანთა ერთი ნაწილის მხარდაჭერით ქალაქის სათათბირო — ეს ბურჟუაზიული ორგანო — ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა. იგი არა მარტო ნავსადგურის საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეებით იყო დაინტერესებული, არამედ მრავალ ისეთ ღონისძიებას ატარებდა, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა ხალხის კეთილდღეობასთან. მაგრამ ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში ნ. ნიკოლაძის ასეთი ნაბიჯები და მისი პროგრესული მოღვაწეობა დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა და ბოლოს იგი თანამდებობიდან გადააყენეს.

ნ. ნიკოლაძის სახელი, როგორც მშრომელთა ქომაგისა — ფართოდ იყო ცნობილი. ამით აიხსნება ისეთი ფაქტები, როცა მას პოლიტიკური პატიმრებიც მიმართავდნენ თხოვნით დახმარებისათვის. ნ. ნიკოლაძეს საშუალამოდ გადასახლებულ ქართველ პოლიტიკურ პატიმართა ჯგუფის მინდობილობით ციმბირიდან მიეღია ვინმე ესტატე სოხაძის წერილი, მასში ვკითხულობთ: „გადავწყვიტეთ, მოგმართოთ თქვენ თხოვნით, აღმოგვიჩინოთ მატერიალური დახმარება, ვიცით ის, რომ თქვენ არა ერთხელ და ორჯერ აღმოგიჩენიათ დახმარება გაჭირვებულთათვის... და ამნაირად დაგვიხსნათ ჩვენ შიმშილის მსხვერპლისაგან“.[3] 1909 წელს ნ. ნიკოლაძეს ფოთში მიეღია აგრეთვე ოთხი გადასახლებულის წერილი, რომლებიც ითხოვდნენ დახმარება გაეწია მათთვის ფულით, ტანსაცმლითა და განსაკუთრებით „გონების გასახსნელად“ ლიტერატურითა და პარტიების პროგრამებით.[4]

1 გაზ. „აზრი“, 1914 წ., № 43.

2 იხ. ფოთის საქალაქო სათათბიროს 1905 წ. 27 იანვრის ოქმი.

3 ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—1143; მ. პაკორია, ფოთის წარსულიდან გვ. 272.

4 ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—1142, მ. პაკორია, ფოთის წარსულიდან გვ. 272—273.

ნ. ნიკოლაძეს წერილებს უგზავნიდნენ ჯარის ნაწილებში მყოფი ქართველებიც. ვინმე ანდრია დოლიძე წერდა: „გვსურს იცოდეს ჩვენი გაჭირვება თქვენისთანა საზოგადო მოღვაწემ და ტანჯულთა გულის თანამგრძნობელმა ქართველი ერის შვილმა. თქვენგან მოველით თანაგრძნობას და ამ ეკლიანი გზის გასავლელად გამამხნევებელი სიტყვების შემოძახებას"[1].

განსაკუთრებით ბევრ წერილებს იღებდა ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობისაგან: ისინი მას სხვადასხვა საკითხებზე რჩევისათვის მიმართავდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნ. ნიკოლაძე მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი პროგრესულ-დემოკრატიული პოზიციებიდან ქომაგობდა მშრომელ ხალხთა ფართო მასების ინტერესებს.

ნ. ნიკოლაძეს გულწრფელად სწამდა, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას ადრე თუ გვიან, „ძალდატანებით თუ მშვიდობიანად". აუცილებლად ბოლო მოეღებოდა, სამართლიანი ცხოვრება გამარჯვებას იზეიმებდა. ამას მოწმობს ნ. ნიკოლაძის როგორც პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ისე პრაქტიკული მოღვაწეობა და ბოლოს მისი დამოკიდებულებაც საბჭოთა ხელისუფლებასთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბავი ნ. ნიკოლაძემ საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნისას შეიტყო. მას სინამდვილემ უჩვენა, რომ ბრძოლის არა მშვიდობიანმა, არამედ რევოლუციურმა გზამ მოუტანა ხალხს თავისუფლება. იგი თავის მეუღლეს წერდა: „ჩემი ოცნებები და ქიმერები დაწყებული 1861 წლის რესპუბლიკანიზმით, შესრულდნენ მგონი გადაჭარბებით"[2].

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ხანდაზმულობის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძე აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობის ფერხულში. 1928 წლის 3 აპრილს ნ. ნიკოლაძის გარდაცვალების გამო ფილიპე მახარაძე გაზეთ „კომუნისტში" წერდა: „მე ვიცი პირადად, რომ საბჭოთა აღმშენებლობას იგი დიდად აფასებდა და ცდილობდა მის წარმატებას".

* * *

ამრიგად, ნ. ნიკოლაძემ დიდი შრომა გასწია ქალაქ ფოთის მშენებლობისა და მისი ნავსადგურის რეკონსტრუქციისათვის. აღნიშნულის

---

[1] იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი 40—1238; მ. პაკორიას დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

[2] ნ. ნიკოლაძის არქივი, 52—62.

მიუხედავად, თამამად უნდა ითქვას, რომ ფოთმა ნამდვილი თანამედროვე ქალაქის სახე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღო. ფოთელები დიდად აფასებენ ნ. ნიკოლაძის ამაგს. ამისი ერთ-ერთი დადასტურებაა მათი გადაწყვეტილება, უკვდავჰყონ ამ დიდი ადამიანის ღვაწლი, — აუგონ ძეგლი.

1921 წლიდან ფოთში ისე, როგორც მთელ საქართველოში, სრულიად ახალი—სოციალისტური მშენებლობისა და ცხოვრების ხანა იწყება. შენდება ფაბრიკა-ქარხნები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლები, სასურსათო და სავაჭრო შენობები. ბაღები. აშკარად იცვლის სახეს ნავსადგური, ძველი ქუჩები. თუ რევოლუციამდელ ფოთში მრეწველობა ის-ის იყო ფეხს იდგამდა, დღეს ფოთი მსხვილი ინდუსტრიული ქალაქია. ფოთის ნავსადგური თავისი სიდიდისა და ტვირთბრუნვის მიხედვით ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ნავსადგურია სსრ კავშირში.

ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელ ქარხანას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სსრ კავშირ-ს მრეწველობაში. მის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთაც. მთელს კავშირში სახელგანთქმულია ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანა.

ნაღები ხარისხის პროდუქციას უშვებენ აგრეთვე ფოთის ელექტროაპარატურისა და ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნები. პოპულარობით სარგებლობს თევზკომბინატი. „სამტრესტის“ ღვინის ქარხანა, ხორცისა და რძის კომბინატი, ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა, წისქვილკომბინატი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროთველოს საწარმოები, ტორფის. ტოლ-რუბეროიდისა და სხვა ქარხნები. 1969 წელს ფოთის საწარმოებმა 99.000.000 მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია მისცეს სახელმწიფოს.

თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეში ფოთის ტერიტორიაზე განლაგებულ მთელ რიგ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებს: საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს, სამშენებლო ტრესტებს და ორგანიზაციებს, ტრესტ „კოლხეთმშენს“ და ა. შ.

არნახულ სიმაღლემდეა აყვანილი ფოთში სახალხო განათლებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. დღეისათვის აქ 13 ზოგადი განათლების საშუალო, ერთი რვაწლიანი და ერთიც სკოლა-ინტერნატია 500-მდე მასწავლებლითა და 8000-ზე მეტი მოსწავლით. ფოთში მოქმე-

ებს 30-მდე მასობრივი ბიბლიოთეკა, შვიდი კლუბი, ექვსი კინოდანადგარი, გახსნილია პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის საცდელი სადგური, მელიორაციული ტექნიკუმი, სამედიცინო და მუსიკალური სასწავლებლები, სახელმწიფო დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურისა და დასვენების პარკი. გამოდის გაზეთი „ახალი კოლხეთი“.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შვიდი საავადმყოფო და კურორტი მალთაყვა.

მილიონობით მანეთი იხარჯება მუშა-მოსამსახურეთა ბინების მშენებლობის, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე. ქალაქის ბიუჯეტმა 1969 წელს 4.800.000 მანეთს მიაღწია. ქალაქში მცხოვრებთა რაოდენობა 50.000-მდე სულს აღწევს. წლითიწლობით იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ფოთი და მისი სახელგანთქმული ნავსადგური.

კოლხეთის ჭაობიანი მიწების ასათვისებლად ჩატარებულმა მიმდინარე ღონისძიებებმა და მდინარე რიონის რეგულირებამ ფოთს შეუქმნა განვითარების ფართო პერსპექტივები. ამ დიდი სამუშაოების განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დღეს სოციალისტური ფოთის მშრომელები, მთელი ჩვენი სამშობლოს ხალხთან ერთად, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ პარტიის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის პირნათლად განხორციელებისათვის.

ციალა ჟირია,
ელეონორა ცხაკაია

მიხაი ზიჩის

უცნობი ჩანახატები ზუგდიდის მუზეუმში

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართველიშვილისეული აკადემიური გამოცემა, რომელსაც ამშვენებს უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის უდიდესი სიფაქიზითა და სიყვარულით შესრულებული ილუსტრაციები.

მიხაი ზიჩი მოწვეული იყო რუსეთში იმპერატორის კარზე როგორც ალექსანდრე მეორის, ისე ალექსანდრე მესამის დროს. დიდი მხატვარი გატაცებული ყოფილა კავკასიით და განსაკუთრებით საქართველოთი, სწავლობდა ქართველების ყოფის ამსახველ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი. აი, რას წერდა მის შესახებ უნგრელი ხელოვნებათმცოდნე ილონა ბერკოვიჩი: „ზიჩი დიდი ინტერესით ეპყრობოდა კავკასიის ხალხებს, ეს სიმპათია თანდათან ღრმავდებოდა და კულმინაციურ წერტილს მიაღწია ქართველებთან მეგობრული დამოკიდებულების დროს. ამის შედეგია მისი ჩინებული ილუსტრაციები რუსთაველის ეპოსისა, შექმნილი მხატვრის მიერ რუსეთში მეორედ ჩამოსვლის შემდეგ“.

ზიჩის ინტერესი საქართველოსადმი განსაკუთრებით გამოჩნდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას. დიდმა ხელოვანმა თავს იდვა, სრულიად უსასყიდლოდ შეესრულებინა ეს მეტად რთული და საპატიო დავალება.

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათება მას დაუწყია 1884 წელს. მაგრამ უცხოელი მხატვრისთვის არც ისე იოლი იყო ღრმად ჩასწვდომოდა პოემის შინაარსს. მისთვის აუცილებელი იყო ტექსტის ზედმიწევნით ცოდნა. ამან წამოჭრა „ვეფხისტყაოსანის“ ფრანგულ ენაზე თარგმნის აუცილებლობის საკითხი. აი, რას ვკითხულობთ 1884 წლის 30 სექტემბრის „დროების“ № 211-ში: „... გუშინწინ საღამოს სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემლის ბ-ნ გ. ქართველიშვილის წინადადებით შემდგარა კომისია. რომელმაც უნდა განაგოს... ზიჩის მიერ სურათების დახატვის საქმე. კომისიის ვალია გადათარგმნოს ფრანცუზულ ენაზე ბ. ზიჩისათვის ის ადგილები „ვეფხისტყაოსნისა“, რომელნიც შეიცავენ აღწერას ზიჩის მიერ დასახატავად გამზადებული სურათებისა“.

ამასთან დაკავშირებით ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს, „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის რედაქციის მდივანს იონა მეუნარგიას დავალება ეთარგმნა შოთას პოემა ფრანგულ ენაზე.

ოთხი-ხუთი თვის ენერგიული მუშაობის შემდეგ იონა მეუნარგიას დაუმთავრებია პოემის თარგმნა პროზად და ერთი ეგზემპლარი გაუგზავნია ზიჩისათვის. ამას ადასტურებს იონას წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი (1884 წლის 16 დეკემბერი). აი, ეს წერილი: „ძვირფასო ძმაო ნიკო! შენი წიგნი მივიღე ვლადიკავკაზიდამ და სურათებს ამ კვირაში გამოგიგზავნი, თუმცა კი არ ვიცი დადიანის პორტრეტი როგორ გამოგიგზავნო. როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც მიდი ზიჩისთან. ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და თარგმანი და ცალკე წერილში მივწერე, ნიკოლაძე მოვა და თუ რამე საჭირო იქნება, იმას უთხარი-თქო; შენ იცი, რასაც ეტყვი თარგმანზე. მე მაგიხე რამდენიც გინდა. მხოლოდ წიგნის ღირსება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირდება-თქო“.

ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილი იონა მეუნარგიას სხვა წერილებიც მოწმობს იმას, რომ იონას ზიჩისათვის გაუგზავნია არა მარტო თარგმანი, არამედ სურათებიც ტიპების შესაქმნელად.

დიდმა ეროვნულმა საქმემ დაამეგობრა უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი და შოთას პოემის პირველი ქართველი მთარგმნელი იონა მეუნარგია. სწორედ ამ მეგობრობის შედეგად შეიქმნა 16 შარჟი და კარიკატურა, ფანქრით ჩახატული ზიჩის მიერ და მიძღვნილი იონა მეუნარგიასადმი. ერთ რვეულად აკინძული ეს შარჟები, — დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ამ ჩანახატებიდან ორი შექმ-

ნილია იონა მეუნარგიაზე; ორი „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველზე, დანარჩენი 12 კი — თვით პოემაზე.

ჩანახატებზე ვკითხულობთ:

1. „იონა აკადემიის კარებზე“ (იონას ხელთ უპყრია პოემის თარგმანი).

2. „იონა შეჰყავთ აკადემიაში“.

3. „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი პირველ გვერდზე“.

4. „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე“.

5. „ავთანდილი“ (შესრულებულია აკვარელით, როგორც გამონაკლისი).

6. „სცნო მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლაკსა, გახდა ზარი“.

7. „ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახა დიდხი ბენია, მას ზედა ჭვრეტად გავიდა, ძირსა დაბა ცხენია“.

8. „ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასადაგეს“.

9. „კარეის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩაკაკარაბაკე“.

10. „...ხედავთ, ინდოთა ტყვედ ჰყვანან ბუქნი რომელნი?.. მოგყიდონ, ფასი ბიეცით, რისაცა იყვნენ მნდომელნი“.

11. „დადრკნა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრა კედელსა, შეალეწა“.

12. „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“.

13. „დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელიღა ვრბოდე მე ველად“.

14. „ციხისა კარნი დახშულნი შეელნა მართ ვითა ღიანი; შეეიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანი“.

15. „გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბაღი შელმა შერაშენდა“.

16. „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი უკანასკნელ გვერდზე“. ზოგ ჩანახატს აქვს წარწერა ფრანგულ ენაზედაც.

ასეთია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მიხაი ზიჩის შარკები და კარიკატურები: ისინი დღემდე უცნობი იყო ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ზალვა შენგელი

ჩვენი ლადი

ზუგდიდელები თითქმის ყოველდღე ვხედავთ ნელა მოსიარულე ხანდაზმულ კაცს. სამხედრო კიტელი ჯერაც არ მოუცილებია. სამხრეებს არ ატარებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ თადარიგის პოლკოვნიკია.

გამოჩნდება ქუჩის თავში თუ მოსახვევში და ადამიანები მოკრძალებით, სიყვარულით გადაულაპარაკებენ ერთმანეთს: — ლადი ზაქარაია მოდის, ჩვენი ლადი.

* *

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში დაბადებულს სილარიბეში გაუტარებია ბავშვობა.

— საღდგომოდ ან საშობაოდ თუ გვიყიდდნენ ჩითის ბლუზებს. ეს იყო და ეს, — ამბობს ვლადიმერი.

ლადი ზაქარაია პარტიის წევრია 1917 წლიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდან იგი საპასუხისმგებლო სამუშაოებზეა.

* * *

1918 წელი. ვლადიმერ ზაქარაია არმიაშია, უკრაინაში იბრძვის. აგონდება ის დრო...

— მთელს ასეულში სამმა ვიცოდით წერა-კითხვა და ჯარისკაცებს ჩვენ ვუკითხავდითო შინიდან მოლებულ წერილებს. ო, რა წერილები იყო! რაღას არ იწერებოდნენ, ყველაფერს ვერც კი წაუკითხავდი ადრესატს.

მერე დემობილიზაცია დაიწყო, თუმცა ჯარისკაცთა უმრავლესობას

რეგულარულ წითელ ჯარში სურდა დარჩენილიყო. მათ შორის იყო ვლადიმერ ზაქარაიაც. მაკრამ აი, მეშვიდე არმიაში რევოლუციონერები მივიდნენ და გამოაცხადეს:

— კარგად იცით, რომ საქართველო მენშევიკების ხელშია. ამიტომ უეჭველად უნდა დაბრუნდეთ შინ, შეუერთდეთ იატაკქვეშელებს და იბრძოლოთ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ოდესიდან გემით წამოვიდა ვლადიმერი, ჯარისკაცის ზურგჩანთაში, სურსათ-სანოვაგის ქვეშ, პოლიტიკური ლიტერატურა და პროკლამაციები ჰქონდა დამალული.

ზუგდიდში ჩამოსვლისთანავე შეხვდა მიხეილ ბერულავას და ბეგი ხაბურზანიას. მათგან გაიგო, რომ ბოლშევიკების ცდა ამაო გამოდგა, ძალაუფლება ხელში ვერ აიღოთ, ხელმძღვანელები დაეპატიმრებინათ, ორგანიზაცია დაშლილიყო.

პოლიტიკური ლიტერატურის ნაწილი ბერულავასა და ხაბურზანიას გადასცა და არალეგალურ მუშაობას შეუდგა.

გავიდა დრო. წითელი პარტიზანული რაზმების შეტევას ვერ გაუძლეს მენშევიკებმა. 1921 წლის მარტში ზუგდიდში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

*

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია უნიკალური, ჯგუფურად გადაღებული ფოტოსურათი. სურათზე გამოსახული არიან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის პირველი თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკი. სერგო ორჯონიკიძე, ნესტორ ლაკობა, გრიგოლ როგავა, ვლადიმერ ზაქარაია და სხვები. სურათი გადაუღია ლავრენტი საბახტარაშვილს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში.

ფელიქს ძერჟინსკი ზუგდიდში იყო 1922 წლის ნოემბერში. მისი მეთაურობით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისია ამოწმებდა საქართველოში პარტიის პოლიტიკის დარღვევის ფაქტებს.

ამ ფოტოსურათთან დაკავშირებით ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლში" 1967 წლის 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა პოდპოლკოვნიკ კ. ხვიტიას წერილი. ამავე წელს ეს ფოტოსურათი გამოქვეყნდა ჟურნალ „ოგონიოკშიც". სადაც მოთავსებული იყო ი. მესხის ნარკვევი „ჩეკისტმა ყველაფერი უნდა იცოდეს".

საქმის ვითარება ასეთია:

მოსკოვის წარმოგზავნილები სოხუმიდან მოდიოდნენ. ისინი მანქანით მოვიდნენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯამდე. აქედან კი ცუდი გზის გამო, საპატიო სტუმრებმა ფეხით იარეს ენგურამდე და ბორნით გადმოვიდნენ ზუგდიდის ტერიტორიაზე. იქ მათ დახვდნენ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე გრიგოლ როგავა და ინფორპუნქტის უფროსი ვლადიმერ ზაქარაია.

ღამე ზუგდიდში გაათიეს. დილით კი, საუზმის შემდეგ, სტუმრები ქალაქში გამოვიდნენ და ბოტანიკური ბაღისაკენ გასწიეს.

ძერჟინსკიმ სვლა შეანელა, მხარზე ხელი გადასდო ვლადიმერ ზაქარაიას და ჰკითხა:

— ჯარში თუ იყავი?

— დიახ, ვიყავი, — მიუგო ვლადიმერმა.

— სადაური ხარ?

ამაზეც უპასუხა.

— გლეხებში რაიმე უკმაყოფილება ხომ არ შეგიმჩნევია?

— არა.

მერე ფოტოსურათი გადაიღეს.

უცებ ფელიქს ძერჟინსკი ისევ მიუბრუნდა ვლადიმერ ზაქარაიას:

— ხომ ვერ მაჩვენებთ იმ იშვიათ ხეს, რომლისგანაც როიალი კეთდება?

ვლადიმერს პასუხი შეუგვიანდა. გულახდილად უნდა ვთქვა, — „გონებს ლადი ზაქარაია, — ასეთ ხეზე არაფერი მსმენოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გახლდათ, ხის დარდი ვისა ჰქონდა, როცა ათასგვარი გაჭირვება იყო ყოველ ნაბიჯზე... როცა შემატყო, რომ იმ ხეზე არაფერი ვიცოდი, ძერჟინსკიმ გამიღიმა და მითხრა: „ჩეკისტმა თავისი მხარის ყველაფერი უნდა იცოდეს“. ეს სიტყვები მე არასოდეს დამვიწყებია და ხშირად დამხმარებია ამა თუ იმ საკითხის გადაჭრისას.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვლადიმერ ზაქარაია ზუგდიდელ ჩეკისტებს წინამძღოლობდა. ის იყო ორგანიზატორი იმ დიდი ბრძოლისა, რასაც ბანდიტების, კონტრრევოლუციონერებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ ეწეოდნენ ზუგდიდის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.. დიდი სამამულო ომის მონაწილე ვლადიმერ ზაქარაია, ვიდრე პენსიაზე გავიდოდა, ჯერ აპა-

რის შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე იყო, შემდეგ ფოთში — განყოფილების უფროსი. იქიდან ზუგდიდში გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე, შემდეგ — ქუთაისის რაიონში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, სამოქალაქო ომსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვლადიმერ ძიკის ძე ზაქარაია ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

იგი იყო და არის სპეტაკი ჩეკისტი, პარტიის ერთგული ჯარისკაცი. ამიტომაც მიულოცა მთელმა ზუგდიდმა ეს დიდი და საპატიო ჯილდო.

პოლკოვნიკი ამჟამად პენსიაზეა, მაგრამ პოსტზეა მისი შვილი კაპიტანი გული ვლადიმერის ძე ზაქარაია — სახელმწიფო უშიშროების მუშაკი.

მამამ პირადი მაგალითი უჩვენა შვილს, თუ როგორი უნდა იყოს უშიშროების ორგანოს კომუნისტი მუშაკი.

ცხოვრობს, მუშაობს ჩეკისტთა შესანიშნავი ოჯახი.

ქუჩაში გამოჩნდება ნელა მოსიარულე, ხანდაზმული კაცი, სამხედრო კიტელს რომ ატარებს, და ადამიანები ერთმანეთს სიყვარულით ჩაულაპარაკებენ:

— ვლადიმერ ზაქარაია მოდის, ჩვენი ლადი.

ელეონორა ცხაკაია

ექსპონატები მოგვითხრობენ

ზუგდიდში, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე რამდენიმე ნაგებობაა. მათ შორის თავისი სილამაზით განსაკუთრებით ერთი გამოირჩევა— ესაა სამეგრელოს მთავრის ყოფილი სასახლე, რომლის მშენებლობა დავით დადიანს დაუწყია და დაუმთავრებია მის მეუღლეს, დედოფალ ეკატერინეს. სასახლეს ამშვენებს ლამაზი ჩუქურთმები და ჩინებული, აღმოსავლური სტილით ნაგები ვეებერთელა აივანი.

იქვე ახლოს მეორე, შედარებით მცირე ზომის შენობაა. ესეც სასახლეა, რომელიც დავით დადიანს თავისი უფროსი ვაჟის ნიკოსთვის აეშენებია. სწორედ ამ მეორე შენობაშია მოთავსებული ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მაგრამ ვიდრე მის ექსპონატებს გავეცნობოდეთ, გავიხსენოთ თვით მუზეუმის შექმნის ისტორია.

ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მატერიალური და კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმე. ქართული კულტურის უძვირფასესი ნიმუშები, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი როგორც სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებში, ისე სამეგრელოს ყოფილი მთავრისა და მისი ნათესავების სასახლეებში. ამის თაობაზე ცნობილ ქართველ მეცნიერს, პროფესორ გ. ჩუბინაშვილს 1921 წლის დეკემბრის ბოლოს შეუდგენია სათანადო გეგმა, რომელიც გულისხმობდა ზუგდიდში მუზეუმის დაარსებას და იქ, პირველ

რიგში, პრინც მიურატისეული[1] ნივთების გადმოტანას სოფ. ჭკადუაშიდან (ზუგდიდის მაზრა) და სოფ. სალხინოდან (სენაკის მაზრა). ეს გეგმა მალე განხორციელდა კიდეც. საქართველოს რევკომის დადგენილებით, 1922 წლის 22 თებერვალს ზუგდიდში, ყოფილ „დედოფლის სასახლეში" დაარსდა სამეგრელოს მუზეუმი. მის პირველ დირექტორად დაინიშნა კულტურის ძეგლთა თავდადებული დამცველი აკაკი იანეს ძე ჭანტურია. ამავე დადგენილებით, ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს დაევალა გაენთავისუფლებინა ის ოთახები, ადგილობრივ დაწესებულებებსა და კერძო პირებს რომ ეკავათ სასახლეში.

ამას გარდა, „საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური დადგენილებით შეიქმნა განსაკუთრებული კომისია პროფესორ გ. ჩუბინაშვილის, სამეგრელოს მუზეუმის დირექტორის აკ. ჭანტურიას და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენლის ი. შონიას შემადგენლობით"[2].

აკაკი ჭანტურიას, რომელიც დანიშნული იყო ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მუზეუმის დირექტორად, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება არ დაუშურებია იმისათვის, რათა ეს დიდი, საშვილიშვილო საქმე ბოლომდე მიეყვანა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების სელშეწყობით მან თავი მოუყარა მრავალ ექსპონატს. მისივე თაოსნობით ზუგდიდის მუზეუმმა 1935—1936 წლებში აწარმოა ფრიად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრები შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ე. წ. დიხა გუძუბაზე. 1936 წელს ეს გორაკი დაათვალიერა განათლების სახალხო კომისარიატის კომისიამ პროფესორების გ. ნიორაძის, ბ. კუფტინის, ნ. სოვეტარიას, მხატვარ შევარდნაძის და ა. ჭანტურიას შემადგენლობით.

გათხრებმა ნიადაგის ქვედა ფენებში გამოაელინა ნაგებობათა ნაშთები, ქვის თითისტრები, ხორბლის საფქვავი ქვები, ხორბლისა და სხვა კულტურების თესლი, ცხოველების ძვლები, შავი კერამიკის ნიმუშები, ძვლის სადგისი და სხვა.

ყველაფერი ეს კი მიუთითებს ამ ადგილებში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებაზე.

1930 წელს ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ თაგილონის მახლობლად, რკინიგზის გაყვანის დროს შუშებმა იპოვნეს ოქროს, ვერცხლის,

---

1 ა. მიურატი — დაკით დადიანის სიძე.

2 ზ. შველიძე, ახალი საარქივო მასალები ზუგდიდის მუზეუმის დაარსების შესახებ. გაზ. „მებრძოლი", 1961 წ. № 35.

ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. ნივთები იქვე გაიყო ოთხმა მუშამ. სამი ძალგანი გაიქცა და ნაპოვნიც თან წაიღეს. მეოთხე კი იძულებული გახდა ნივთები სახელმწიფო ორგანოებისათვის ჩაებარებინა. მეორე დღეს აღმოჩენის ადგილზე მივიდა ზუგდიდის მუზეუმის დირექტორი აკაკი ჭანტურია. რომელმაც კიდევ რამდენიმე ნივთი აღმოაჩინა. ისინი დღესაც ინახება ზუგდიდის მუზეუმში. მთელი ეს ნაპოვნი თარიღდება I—II საუკუნეებით.

ამჟამად ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოთხმოც ათასამდე ექსპონატია დაცული. ისინი 19 დიდ, ნათელ დარბაზშია განლაგებული.

პირველი დარბაზი დათმობილი აქვს პირველყოფილ თემურ და მონათმფლობელურ წყობილებას. აქ ექსპონატებს ჩვენი წინაპრების შორეულ წარსულში გადავყავართ. ზუგდიდის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი პალეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. რაც შეეხება ნეოლითური ხანის ნამოსახლარებს, ისინი დღეისათვის აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ოდიშის სადგომი, რომელიც ზუგდიდიდან 6 კილომეტრითაა დაშორებული. აქ მიკვლეული მასალებით ირკვევა, „რომ ოდიშის ნეოლითის დროის სადგომის მკვიდრთ საკმაოდ განვითარებული სამეურნეო კულტურა ჰქონიათ, პირველ ადგილზე კი აუცილებლად მიწათმოქმედება ყოფილა დაყენებული“.[1]

აქვე ვეცნობით თაგილონში ნაპოვნი კოლხური ცულების ნიმუშებს და მის ჩამოსასხმელ ყალიბებს. კოლხური ცულები საქართველოში მხოლოდ ორ ადგილასაა ნაპოვნი, აღმოსავლეთ საქართველოში — თელოვანში, დასავლეთში — თაგილონში.

ადრეული რკინის ხანის ნივთებიდან აღსანიშნავია კოლხური ცულის ფორმის რკინის ცულები.

მუზეუმის პირველ სართულზეა გამოფენილი ნუმიზმატიკური მასალებიც. ჩვენ აქ ვხედავთ, ე. წ. „კოლხურ თეთრს“, რომელიც კოლხეთში იჭრებოდა ძვ. წ. IV საუკუნიდან და მიუთითებს კოლხეთის სამეფოში ალებ-მიცემობის დიდ განვითარებაზე.

დამთვალიერებელი გულდასმით გაეცნობა მუზეუმში წარმოდგენილ

---

1 ალ. ჯაანდრაძე. მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში. იხ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. IV, თბილისი, 1939 წ., გვ. 369.

ეთნოგრაფიულ მასალებსაც. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდის შემოტანამდე გავრცელებული იყო ღომის კულტურა. ამის შესახებ წერდა იტალიელი მისიონერი ჟან შარდენი, რომ „მხარის მოსახლეობის ჩვეულებრივ საჭმელს მარცვლეულის პურის ღომი შეადგენს. მას ცეხვავენ მხოლოდ ხარშვის წინ, ხოლო ხარშავენ მხოლოდ საჭმლის მიღებისას“.[1]

ეთნოგრაფიულ განყოფილებაში მნახველის ყურადღებას უეჭველად მიიქცევს ლაბაზად, დიდი სიზუსტით მოწყობილი შეგრელი გლეხის კარმიდამო, საოჯახო ნივთები. ტანსაცმელი, საომარი იარაღები და სხვ.

ეთნოგრაფიული მასალების გაცნობის შემდეგ მნახველი დიდხანს ჩერდება მეხუთე დარბაზში, რომელიც ასახავს უცაბედ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასა და საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდს.

ყმებით ვაჭრობის ამაღლებული სურათებია გადმოცემული ეროვნულის „მამელუკისთვის“ შესრულებულ ილუსტრაციებში. XVII საუკუნის დასაწყისიდან სამეგრელოს მთავარი იძულებული იყო წელიწადში ერთხელ ოსმალეთში გაეგზავნა ასი რჩეული ქალ-ვაჟი. ეს ამბავია ასახული დიდ ფერწერულ სურათზე „ბავშვების მოკრეფა ოსმალეთში ხარკად გასაგზავნად“.

ექსპოზიციაში ფართოდაა ასახული საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს შეერთება რუსეთთან, როგორც დიდი პროგრესული მოვლენა. 1812 წლის სამამულო ომისადმი მიძღვნილ სტენდზე გამოფენილია დიდი რუსი მხედართმთავრების კუტუზოვის, ბარკლაი დე ტოლის, რაევსკის, ქართველი გენერლების პეტრე ბაგრატიონის, გამსახურდიას, დადიანის და სხვ. პორტრეტები. აქვეა ნაპოლეონ პირველის სურათი, შესრულებული ფრანგი მხატვრის ლასალის მიერ, სურათები: „ნაპოლეონი ელბაზე გადასახლების წინ“. „ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე“, „ნაპოლეონის სიკვდილი“ და სხვ.

ყურადღებას იპყრობს ნაპოლეონის ნიღაბი, რომელიც ბრინჯაოსაგან ჩამოუსხამს მის პირად ექიმს ანტონმარკს. იგი თან ახლდა იმპერატორს წმ. ელენეს კუნძულზე. ამავე ოთახშია გამოფენილი ნაპოლეონის ზოგიერთი პირადი ნივთი. მათ შორის წიგნების კარადა. კედლიდან შემოგვცქერის ნაპოლეონ პირველის მარშალი იოახიმ მიურატი, ვისი მეოხებითაც მოხვდა ნაპოლეონის ნივთები ზუგდიდში. თავის მარშალს ნაპო-

---

[1] ჟ. შარდენი. მოგზაურობა სამეგრელოში, 13.

ლეონმა უბოძა ნეაპოლიტანიის (იტალია) ვეფობა ღა მიათხოვა თავისი უმცროსი და კაროლინა.

სწორედ ამ იოახიმ მიურატის ერთ-ერთმა შვილიშვილმა, აშილ მიურატმა, რომელიც პარიზში ცხოვრობდა, გაიცნო, შემდეგ კი (1868 წელს) ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის დაკით დადიანის ასული სალომე და ამგვარად დაუნათესავდა დადიანის ოჯახს.

პარიზის კომუნის გამო დაწყებულმა არეულობამ აშილ მიურატი აიძულა საცხოვრებლად საფრანგეთიდან სამეგრელოში გადმოსულიყო, სადაც მის მეუღლეს მემკვიდრეობით მიღებული ჰქონდა მთიანი სამეგრელო — ჭკადუაში და სალხინო. აშილმა სამეგრელოში ჩამოიტანა ნაპოლეონის პირადი ნივთები, რომლებიც მან ბებიისგან (ნაპოლეონის დისაგან) მიიღო მემკვიდრეობით. აშილ მიურატი გარდაიცვალა ზუგდიდში 1895 წელს, დასაფლავებულია ჭკადუაშში.

მომდევნო დარბაზში მნახველის ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობს სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის (1816—1882) დიდი ფერწერული სურათი, შესრულებული მხატვარ ვინტერჰალტერის მიერ. მხატვარმა ეკატერინე საფრანგეთში ყოფნის პერიოდში დახატა.

ეკატერინეს სურათის მარჯვნივ არის მისი უფროსი შვილის ნიკო დადიან-მინგრელსკის (1847—1903) პორტრეტი, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ სამთავროს ტახტი უნდა დაეკავებინა. მაგრამ 1867 წლის იანვარში სამეგრელოს სამთავრო ფაქტიურად გაუქმდა და ნიკო დადიანს მთავრის ტახტის ნაცვლად ერთი მილიონი მანეთი და წმ. ანდრიას ბრწყინვალე თავადის „მინგრელსკის“ ტიტული უბოძეს. სამთავრო მამული კი მაიორატის წესით დაუმტკიცეს.

ეკატერინეს პორტრეტის მარცხნივ მაღლიდან ოდნავ მომღიმარი სახით დაგვცქერის ანდრია დავითის ძე დადიანი (1850—1910), განთქმული მოჭადრაკე. რომელმაც 1906 წელს მილანში გამართულ შეჯიბრზე პირველი დიპლომი მიიღო. აქვე, სპეციალურ ვიტრინაში, გამოფენილია მისი სპილოს ძვლის ჭადრაკი და 1903 წელს კიევში გამოცემული მისივე წიგნი.

ამ ოთახშივეა თვითონ დავითის და მისი უმცროსი ძმის გრიგოლის პორტრეტები, დადიანისეული ძვირფასი ნივთები: ჩინური ლარნაკი, მოოქროვილ ყდაში ჩასმული სურათების ალბომი, სპილოს ძვლით მოხატული მაგიდა, ძვირფასი ჭურჭელი და მრავალი სხვა.

გაბატონებული კლასებისა და დაჩაგრული მასების მატერიალური ცხოვრების პირობების მონოგრაფიული დახასიათების, სოციალური ანტაგონიზმის მკაფიოდ ჩვენების შემდეგ სპეციალურ დარბაზში გამოფენი-

ლი სხვადასხვა ნივთების და დოკუმენტური მასალების მეშვეობით ნაჩვენებია სამეგრელოს მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა. ვიტრინებში გამოფენილ წერილობით მასალებში მოცემულია მოჯალაბეთა, მებეგარეთა, მსახურთა და აზატთა სოციალური დახასიათება.

ნატურის სახით ნაჩვენებია გლეხკაცის დასჯის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული საშუალება ხუნდი. ეს გახლავთ გრძელი, მრგვალი და მსხვილი ამოღრუტნული ძელი, რომელსაც ფეხების ჩაყოფის შემდეგ მაგრად გაეყრებოდა გათლილი სოლი. სოლის ამოღება ხუნდზე დასმულ კაცს სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო. ხუნდზე იჯდა დამნაშავე მთელი დღეებისა და კვირეების განმავლობაში. აქვეა მხატვრული სურათი „ხაჯალურით დაბმული გლეხი“ და თვით ხაჯალური.

ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებას მოჰყვა გლეხთა მოძრაობა 1857 წელს.

ერთ-ერთ დარბაზში დამთვალიერებელს თვალწინ წარმოუდგება სახალხო გმირის ეტუ მიქავას ორმეტრიანი მონუმენტი, იქვე ვკითხულობთ მის სიტყვას, რითაც თავად-აზნაურობას მიმართავ: „ვხედავ, არ მოგწონთ ჩემი ნათქვამი, მაგრამ იცოდეთ, თქვენ ყოველთვის არ იქნებით ყმა გლეხის დაუნდობელი ჭირისუფალი. გლეხკაცი ყოველთვის არ იქნება უცოდინარი, თვალახვეული და სხვისი შემყურე-მათხოვარი. მომავალი საბოლოოდ მშრომელ კაცს ეკუთვნის. თქვენი უღლისაგან იგი თავს მალე დაიხსნის, ბოროტებაზე დაფუძნებული ქვეყანა დღემოკლეა. ის დაიშლება ფეხქვეშ ხალხის ერთიანი სულის შებერვით“.

1864-71 წლების საგლეხო რეფორმამ არსებითად ხელუხლებლად დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა, ხოლო ზუგდიდისა და სენაკის მაზრის გლეხობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ამის პორტრეტი იყო 1876 წლის გლეხთა აჯანყება ზუგდიდის მაზრაში, რომელიც გამოირჩეოდა გლეხთა დარაზმულობითა და ერთსულოვნებით.

მუზეუმის ექსპოზიციაში საინტერესოდაა ნაჩვენები 1905-1907 წლების გლეხთა მოძრაობა ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურში, კახათში, რიყეში, ჭაქვინჯში.

დიდი ზომის მხატვრული პანო მიძღვნილია 1905 წლის დეკემბრის აჯანყებისადმი ზუგდიდში.

მხარის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში (1917—1921) — ასე ეწოდება საექსპოზიციო განყოფილებას, სადაც სხვადასხვა მასალებითაა წარმოდგენილი ზუგდიდის მშრომელების მონაწილეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გაძარჯ-

ვებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში და კომკავშირული ორგანიზაციების შექმნა.

დამთვალიერებელი ეცნობა ძველი ბოლშევიკის ვლადიმერ გაბრიელის ძე ჯიქიას (1893—1937) რევოლუციურ მოღვაწეობას. 1917 წლის ოქტომბერში იგი იყო პეტროგრადის ოლქის სამხედრო სასწავლებლის კომისარი და აქტიურად მონაწილეობდა პეტროგრადის გმირულ დაცვაში. ვიტრინაში გამოფენილია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ ჯიქიასადმი გაგზავნილი დეპეშის ფოტოასლი.

არანაკლებ საინტერესოა ზუგდიდის რაიონის კულტურისა და ყოფის გაცნობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ექსპონატები გვაცნობენ დიდ სამამულო ომში მონაწილე ამ კუთხის შვილებს, — ზუგდიდის რაიონი 7 საბჭოთა კავშირის გმირის აკვანია.

ამაღელვებელია მხატვარ მანჯავიძის მიერ შექმნილი ტილო „გრიგოლ სხულუბიას კოცონზე დაწვა“.

დამთავრდა ომი, ფრონტის გმირები შრომის გმირებმა შეცვალეს. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის 51 წევრს მიეკუთვნა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო ბრიგადირი თამარ ანდრიას ასული უუფუნია და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანთიმოზ მიხეილის ძე როგავა ორგზის სოციალისტური შრომის გმირები არიან.

ახალი ძალით გაიშალა შემოქმედებითი შრომა. ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება განახლდა უკრაინის სსრ ტალალაევკისა და ზუგდიდის რაიონის მშრომელებს შორის, — ამ შეჯიბრს ჯერ კიდევ 1938 წელს ჩაეყარა საფუძველი. ყველაფერი ეს ფართოდაა ასახული ექსპოზიციაში.

უზარმაზარი დარბაზი დათმობილი აქვს ზუგდიდისა და მისი მეზობელი რაიონების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევებს 1953—1965 წლებში.

ყურადღებას იპყრობს ფერწერული სურათი „ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი“, სადაც ასახულია ენგურჰესის უნიკალური მშენებლობა.

მხარის კულტურისა და ყოფის ამსახველ ექსპონატებს შორის დიდ ინტერესს იწვევს გამოფენა „ზუგდიდი — ჭადრაკის დედოფლის ქალაქი“. ამ მხრივ საყურადღებოა მოქანდაკე გ. თოიძის მიერ შესრულებული მარმარილოს ბიუსტი სამგზის მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილისა. სპეციალური სტენდი და ცალკე ვიტრინა დათმობილი აქვს ზუგდი-

დის რაიონის სახელოვან შვილებს, რომლებიც იღვწიან ისტორიის, მედიცინის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგში.

ზუგდიდის მუზეუმში დაცულია უნიკალური ავეჯი, ბროლის, ფაიფურის, ფაიანსის და სპილოს ძვლის იშვიათი ნაკეთობანი, შესანიშნავი პორტრეტები და სურათები — შესრულებული აკვარელით, ტუშით, ცარცით, ფანქრით. მუზეუმის კოლექცია შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნისა და სისტემის ძველ იარაღებს, ნუმიზმატიკის, ჭედური ხელოვნების მრავალრიცხოვან ნიმუშებს, უძველეს ხელნაწერებს.

მუზეუმში დაცულ სურათებს შორის ბევრია საქვეყნოდ ცნობილი მხატვრების: ი. ნ. კრამსკოის, ვ. ვერეშჩაგინის, კ. მაკოვსკის, ი. შიშკინის, ი. აივაზოვსკის, გ. გაგარინის, ი. მოშკოვის, ი. სვერჩკოვის და სხვათა მიერ შექმნილი ტილოები.

მუზეუმის დაარსების 50 წლის იუბილესათვის განზრახულია დადიანისეული სასახლის რესტავრაციის შემდეგ ფართოდ იქნას გამოფენილი ის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც ჯერ კიდევ ფონდებშია დაცული საექსპოზიციო ფართობის სიმცირის გამო.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბურაბ ბუნაპა

ენგურპეხი — უნიკალური მშენებლობა 3

შალვა შენგელი

ენგური ხალიჩაზე 8

პ ო ე ზ ი ა

აპოლონ ადონია

ალ. ხაჭაიას . . 22

*** (შენ და ენგური, ხალამოს ბინდი) . 22

*** (დღეს ხელი არის ზღვისფერი ქვაბი) 22

*** (ეს წელიწადში ერთხელ, მცირე ხნით) . 23

*** (მეხიზმრებოდა ლექსები წუხელ...) 23

ანტიფო არნანია

მიყვარს ჩემი ხაქართველო 24

იქნებ ჯობდა . . 24

*** (დიდხანია .დაგშორდი, ზღვაო) 25

.წვიმა 25

თამაზ ახალაია

ლამაზო დღეო 27

გივი ბერაია

იქნება . 28

ვიხეილ გიგიბერია

ლენინს 29

დაგენანება 29

ზაურ კალანდია

ღიმილი 30

*** (მინდერად ბიბინებს მწვანე ბალახი) 30

*** (ცას მიბჯენილი ჯიუტი თვალით) 31
*** (შენს სინათლეზე გამოტყუებას...) 31
*** (ახმაურდება ხადგური ღამით) . 32
ზაურ მოლაშხია
ხურათი 33
*** (წავიდა ჩემი მშფოთვარე ეკვი). 33
ტიტე ძვანია
ხოფლიხაკენ 34
ნაკადული . . . 35
*** (ტყეს ჩახატვია პატარა ლილე) 35
მელენტი ფიფია
ლენინი ჩემს ბიბლიოთეკაში . 36
ისაკი ქორთუა
ახალგაზრდობა . 37
ხიმღერები დედაზე 38
დამილოცეთ 40
აფხაზ მეგობრებს 41
შალვა შენგელი
კრემლის ხაათზე გავახწოროთ ყველა ხაათი . 42
ჯემალ შონია
1917 44
რაულ ჩილაჩავა
*** (წვიმა, რომელიც ანვიმდა ეგრიხს) . 45
*** (კოლიზეუმი?..) 45
გარნის უკანასკნელი მკვიდრი 46
ფარდა 47
პაპა მახარე . 47
რუბენ ჩხაპელია
ხოფლის ხურათები 48
ოლორი : 48
პოეტ-ჯარიხკაცს 49
ვახტანგ ხარჩილავა
*** (ამ უსაშველო ზამთარს გადავრჩით) 50

პროზა

რუსუდან ნორაკიძე
ეფინდო 51
შალვა ქვანია
კომკავშირული ხაგზური . 55
ციალა ქირია
რუხის ცხხის ხაიდუმლო (პიესა) 61

წერილები

ილ. გოგია

ორი მოგონება აკაკიზე 95

ვალიკო ადამია

„ხაკართველო“ ცვლის ადამიანებს . 101

ანზორ ბარამია

რეჟისორის ორი სპექტაკლი 105

ორდენ ზარქუა

ზუგდიდის მაზრის ბოლშევიკების ბრძოლა მიწის ნაციონალიზაციის განხორციელებისათვის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921—1923 წწ.) . 112

კარლო მიქაია

ნარაზენის რევოლუციური წარსულიდან . 118

მამანტი პაპკორია

ანაკლიის წარსულიდან . 127

ნიკო ნიკოლაძე და ფოთი . 135

ციალა ქირია, ელეონორა ცხაკაია

მიხაილ ზიჩის უცნობი ჩანახატები ზუგდიდის მუზეუმში 137

შალვა შენგელი

ჩვენი ლადი 146

ელეონორა ცხაკაია

ექსპონატები მოგვითხრობენ 161